2015

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური სომხების ელექტორული ქცევის

კვლევა

ელექტორულ პროცესებში რაოდენობრივი და ხარისხობრივი ჩართულობის ხელისშემშლელი ფაქტორების ანალიზი და რეაგირების მექანიზმები

თბილისი. საქართველო

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური სომხების ელექტორული ქცევის

კვლევა

ელექტორულ პროცესებში რაოდენობრივი და ხარისხობრივი ჩართულობის ხელისშემშლელი ფაქტორების ანალიზი და რეაგირების მექანიზმები

კვლევის კონსულტანტები:
ევა ჩილინსკი
გიორგი ბობღიაშვილი
თამთა კუპატაძე
ელენე პროშიაკიანი
თინათინ ჰაკობიანი

ISBN:

ამ პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორებისეულია და შესაძლოა არ გამოხატავდეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ან საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მოსაზრებებს

კვლევა ჩატარდა **საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველოს“** პროექტის ფარგლებში - „გაანზრებული მხარედაჭერა - ხელი შეეწყოს მომდევნო საარჩევნო ციკლებისათვის ახალქალაქის, ნინოწმინდის, ასპინძის, ახალციხის, წალკისა და ბორჯომის საარჩევნო ოლქებში მცხოვრები ეთნიკურად სომეხი ამომრჩევლების ფართო რაოდენობრივ და ხარისხობრივ ჩართულობას ელექტორალურ პროცესში“, **საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის** ფინანსური ხელშეწყობით. პუბლიკაცია მოამზადა **უმცირესობის საკითხთა ევროპულმა ცენტრმა - კავკასია (ECMI)**

EUROPEAN CENTRE for MINORITY ISSUES

შინაარსი

თავი 1: შემაჯამებელი დასკვნა 6

თავი 2: მეთოდოლოგია 12

2.1 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ეთნიკური სომხების წარმომადგენლობისა და მონაწილეობის დინამიკა 12

2.1.1 კვლევის დიზაინი 12

2.1.2 კვლევის მეთოდი 12

2.1.3 საარჩევნო უბნების და ოლქების შერჩევა 12

2.2 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში ეთნიკურად სომეხ ამომრჩეველთა მონაწილეობის დამაბრკოლებელი (შემაფერხებელი) ფაქტორების შესწავლა და ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობისთვის განხორციელებული აქტივობების ეფექტიანობის ანალიზი 14

2.2.1 კვლევის დიზაინი 14

2.2.2 რაოდენობრივი კვლევა 14

2.2.3 თვისობრივი კვლევა 17

თავი 3: 2014 წლისა და წინა არჩევნების შედარებითი ანალიზი – ეთნიკური სომხების წარმომადგენლობა და ელექტორული ქცევა 18

3.1 დარეგისტრირებული ამომრჩევლები და არჩევნებზე გამოცხადების მაჩვენებელი 18

3.2 ეთნიკური სომხების წილი სამიზნე საუბნო საარჩევნო კომისიებში 20

3.3 ეთნიკური სომხების მიერ დაკავებული ოფიციალური პოსტები საუბნო საარჩევნო კომისიებში 22

3.4 ეთნიკური სომხების წილი საოლქო საარჩევნო კომისიებში და მათ მიერ დაკავებული პოზიციები 23

თავი 4: ეთნიკურად სომხების ელექტორული ქცევა 25

4.1 სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები 25

4.1.1 სამიზნე მუნიციპალიტეტები; მონაწილეთა გენდერული და ასაკობრივი შემადგენლობა 25

4.1.2 ქალაქის/სოფლის მაცხოვრებელთა თანაფარდობა 26

4.1.3 განათლება 26

4.1.4 ენების ცოდნა 27

4.1.5 დასაქმება და სფერო 28

4.2 ზოგადი დამოკიდებულება არჩევნების მიმართ 29

4.2.1 ხმის მიცემის მნიშვნელობა და მონაწილეობის მიზეზები 29

4.2.2 არჩევნების მნიშვნელობა 33

4.2.3 არჩევნებთან დაკავშირებული ზოგადი პრიორიტეტები 33
4.2.4 მმართველი პარტიისთვის ხმის მიცემა 36
4.2.5 ქალი კანდიდატებისათვის ხმის მიცემა 39
4.3 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ანალიზი 40
4.3.1 მნიშვნელობა და მონაწილეობა 40
4.3.2 შეფასება და დარღვევები 43
4.3.3 ამომრჩეველთა სიები 45
4.3.4 პოლიტიკურ სუბიექტებზე ინფომრაციის დონე და წვდომა 46
4.3.5 პოლიტიკისადმი ინტერესი და პოლიტიკური პარტიების/პოლიტიკოსების ცნობადობა 47
4.3.6 არჩევნებთან დაკავშირებით ინფორმაციის წყარო. 49
4.4 2014 წლის არჩევნებში მონაწილეობის მაჩვენებლის ამაღლებისათვის გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობა 52
4.4.1 ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიების ეფექტიანობა– ღონისძიებები და აქტივობები 52
4.4.2 ცესკო-ს მედიის მხრივ მუშაობა 55
4.4.3 ცესკოს ღონისძიებები საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის 57
4.4.4 საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ დაფინანსებული პროექტები და არასამთავრობო ორგანიზაციები 59
თავი 5: დასკვნები და რეკომენდაციები 63
5.1 ცენტრალური საარჩევნო კომისია 63
5.2 საარჩევნო სისტემის განვითარების, რეფორმებისა და ტრენინგების ცენტრი 64
5.3 ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება 65
5.4 საერთაშორისო ორგანიზაციები და დიპლომატიური მისიები 66
5.5 პოლიტიკური პარტიები 67
5.6 მედია 68
5.7 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები 68

ცხრილი 1: სამიზნე საარჩევნო უბნები 13
ცხრილი 2: რესპონდენტთა რაოდენობა თითოეული სტრატიდან 16
ცხრილი 3: ეთნიკური სომხები პოზიციებზე საუბნო საარჩევნო კომისიებში 22
ცხრილი 4: ეთნიკურად სომხების რაოდენობა და დაკავებული პოზიციები საოლქო საარჩევნო კომისიებში 2013-2014 24

ცხრილი 5: არჩევნებს წასვლის ფაქტორები 31
ცხრილი 6: არჩვენებზე არ წასვლის მიზეზები..... 32
ცხრილი 7: დარღვევების ტიპები 2014-2012 44
ცხრილი 8: ადგილობრივი მმართველი პარტიისა და გამგებლის/მერის ცნობადობა..... 48
ცხრილი 9: ცესკო-ს განხორციელებული აქტივობები ენობრივი ბარიერის მოხსნისთვის 53
ცხრილი 10: ცესკო-ს მედია აქტივობების ეფექტურობა 56
ცხრილი 11: საუბნო სკ-ის წევრებისთვის ჩატარებული ტრენინგის ეფექტურობა 58
ცხრილი 12: ცენტრის მიერ მხარდაჭერილი პროექტების ეფექტურობა 61

დიაგრამა 1: რეგისტრირებულ და არჩვენებში მონაწილე სომეხთა რაოდენობა..... 18
დიაგრამა 2: ხმის მიცემის და რეგისტრირებულთა რაოდენობა 2010-2014 წლებში 19
დიაგრამა 3: ეთნიკურად სომხების რაოდენობა საუბნო საარჩევნო კომისიებში 20
დიაგრამა 4: უბნების დანიშნული და არჩეული წევრები (ეთნიკურად სომეხი)..... 20
დიაგრამა 5: საუბნო საარჩევნო კომისიების ეთნიკურად სომეხი წერები მუნიციპალიტეტების მიეხდვით, 2013-2014 არჩევნები 21
დიაგრამა 6: ეთნიკურად სომხების რაოდენობა საოლქო საარჩევნო კომისიებში..... 23
დიაგრამა 7: რესპ. გენდერული შემადგენლობა 25
დიაგრამა 8: რესპ. გენდერული შემადგენლობა მუნიციპალიტეტების მიხედვით..... 25
დიაგრამა 9: ასაკობრივი ჯგუფები 26
დიაგრამა 10: რესპონდენტთა დასახლების ტიპი მუნიციპალიტეტების მიხედვით..... 26
დიაგრამა 11: განათლება 27
დიაგრამა 12: განათლების დონე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით..... 27
დიაგრამა 13: ენების ცოდნის დონე 28
დიაგრამა 14: ენების ცოდნა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 29
დიაგრამა 15: დასაქმების სფერო..... 29
დიაგრამა 16: დასაქმება 29
დიაგრამა 17: არჩვენებში მონაწილეობის მნიშვნელობა - ზოგადად 30
დიაგრამა 18: არჩევნებზე წასვლის სიხშირე..... 30
დიაგრამა 19: არჩევნების მნიშვნელობა..... 33
დიაგრამა 20: ფაქტორები რომლებიც განაპირობებს პრიორიტეტებს პოლიტიკურ პარტიებთან მიმართებაში 34
დიაგრამა 21: ფაქტორები რომლებიც განაპირობებს პრიორიტეტებს კანდიდატებთან მიმართებაში 35
დიაგრამა 22: რამდენად მნიშვნელოვანი კანდიდატის ეთნიკურობა..... 36
დიაგრამა 23: "ერთი და იგივე" და სამთვარობო პარტიისადმი ხმის მიცემის სიხშირე 37
დიაგრამა 24: მისცემდით თუ არა ხმას არასასურველ პოლიტიკურ პარტიას/პოლიტიკოსს, რათა დამარცხდეს მმართველი ელიტა? 38
დიაგრამა 25: მისცემდით ხმას ქალ კანდიდატს 39
დიაგრამა 26: ქალი კანდიდატისთვის ხმის მიცემა მუნიციპალიტეტების მიხედვით..... 39
დიაგრამა 27: 2014 წლის არჩევნებზე მონაწილეობა..... 40
დიაგრამა 28: ფაქტორები, რომლებმაც განაპირობა არჩევნებში მონაწილეობის **არ** მიღება..... 41

დიაგრამა 29: ფაქტორები, რომლებმაც განაპირობა არჩევნებში მონაწილეობის მიღება 42
დიაგრამა 30; 2014 წლის არჩევნების შეფასება 43
დიაგრამა 31: 2014 წლის არჩევნების შეფასება მუნიციპალიტეტების მიხედვით 43
დიაგრამა 32: საარჩევნო სიებზე წვდომა 45
დიაგრამა 33: პოლიტიკური პარტიების/ პროგრამების ცნობადობა 2014 წლის არჩევნებზე 46
დიაგრამა 34: დაინტერესება პოლიტიკით 47
დიაგრამა 36: მედიის შეფასება 2014 წლის არჩევნებთან დაკავშირებით. 49
დიაგრამა 35: ახალი ამბების მიღება 2014 წლის არჩევნებზე 49
დიაგრამა 37: 2014 წლის არჩევნებისთვის ინფორმაციის წყაროები 50
დიაგრამა 38: ყველაზე ყურებადი ტელეარხები 51
დიაგრამა 39: არჩევნებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების ყველაზე ეფექტური/სასურველი ინსტრუმენტები 52
დიაგრამა 40: დიაგრამა 40: ცესკო/საუბნო სკ-ის მუშაობით კმაყოფილება 52
დიაგრამა 41: თანასწორი საარჩევნო გარემო ეთნიკური უმცირესობებისთვის 55
დიაგრამა 42: საუბნო სკ-ის წევრობის მოპოვება 57
დიაგრამა 43: ტრენერის კომპეტენტურობის შეფასება 58
დიაგრამა 44: არსამთავრობო ორგანიზაციების ეფექტურობა ზოგადად 59
დიაგრამა 45: სხვა არასამთავრობოების მიერ არჩევნებთან დაკავშირებული ღონისძიებების ეფექტურობა 62

თავი 1: შემაჯამებელი დასკვნა

ეთნიკური სომხები წარმოადგენენ ეთნიკური უმცირესობების რიგით მეორე, ყველაზე დიდ ჯგუფს საქართველოში. 2002 წლის აღწერის მიხედვით ისინი მთელი მოსახლეობის 6.5% შეადგენენ. თბილისის გარდა ეთნიკური სომხები კომპაქტურად არიან დასახლებულნი სამცხე–ჯავახეთისა და ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში.

ეთნიკური სომხების სამოქალაქო და პოლიტიკური ინტეგრაცია მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს საქართველოსათვის, განსაკუთრებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. ეს ასევე მოიცავს ელექტორულ ქცევასთან დაკავშირებულ პრობლემებს. მიუხედავად იმისა, რომ სომხები ხასიათდებიან არჩევნებში მონაწილეობის მაღალი მაჩვენებლით, მათი მხრიდან საარჩევნო პროცესებში გააზრებული ჩართულობა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გათვითცნობიერების დონე ჯერ კიდევ დაბალია.

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონები ყოველთვის წარმოადგენდა მმართველი პარტიებისათვის ხმების მოგროვების მნიშვნელოვან წყაროს და შესაბამისად, მათი ლეგიტიმაციის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. ეს გამოწვეულია რამდენიმე ფაქტორის გავლენით, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია საარჩევნო პროცესებთან მიმართებაში ცნობიერების დაბალი დონე, რაც დაკავშირებული იყო მათი უფლებების არცოდნასა და არჩევნების ზოგადი მნიშვნელობის გააზრების ნაკლებობასთან. ამ ფაქტორებს ემეტება სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონე და სომხურ ენაზე შესაბამისი ინფორმაციის შეზღუდულად მიწოდება, რაც საბოლოო ჯამში ეთნიკურ სომხებს სამოქალაქო ინტეგრაციის დაბალი დონით გამორჩეულ, მარგინალიზებულ ჯგუფად აქცევდა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია შესაბამისმა სახელმწიფო უწყებებმა, ინსტიტუტებმა, ადგილობრივმა ხელისუფლებამ და სამოქალაქო საზოგადოებამ ხელი შეუწყოს ეთნიკური სომხების ინტეგრაციის პროცესს დემოკრატიული პროცესებთან დაკავშირებით მათი ცოდნის დონის ამაღლების გზით.

ამ კვლევის მიზანია შესაბამისი რეკომენდაციების გაცემის გზით ხელი შეუწყოს ახალქალაქში, ახალციხეში, ასპინძაში, ბორჯომში, ნინოწმინდასა და წალკაში მცხოვრები ეთნიკური სომხების ინფორმირებულ ჩართულობას საარჩევნო პროცესებში.

კვლევა წარმოადგენს ეთნიკური სომხების ელექტორული ქცევის დეტალურ მიმოხილვას სამიზნე რეგიონებში და სთავაზობს დასკვნებს ყველა შესაბამის მხარეებს საარჩევნო პროცესებში ეთნიკური სომხების ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით.

მეორე თავში მიმოხილულია კვლევის მეთოდოლოგია. გამოყენებულია შერეული (რაოდენობრივი და თვისობრივი) მეთოდები, რაც მოიცავს სამაგიდო კვლევას, მასობრივ გამოკითხვას და ჯგუფურ ინტერვიუებს. სამაგიდო კვლევის შედეგად მოხდა ცესკოს მიერ მოწოდებული მონაცემების ანალიზი, რაც ეხება ეთნიკური სომხების საარჩევნო პროცესში მონაწილეობის დინამიკას და სომეხთა რაოდენობრივ მაჩვენებელს საარჩევნო ადმინისტრაციაში. გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა ელექტორული ქცევის სოციალური ასპექტები, ისევე როგორც ცესკოს მიერ მხარდაჭერილი ღონისძიებების ეფექტიანობის დონე. ჯგუფური ინტერვიუების შედეგების საფუძველზე მოხდა გამოკითხვის შედეგად გამოკვეთილი ტენდენციების სიღრმისეული ანალიზი და ინტერპრეტაცია.

მთლიანობაში **341** ანკეტა შეგროვდა რესპოდენტებს შორის ახალქალაქში, ახალციხეში, ასპინძაში, ბორჯომში, ნინოწმინდასა და წალკაში. მონაწილეთა შერჩევის მიზნით

გამოყენებული იქნა **სტრატიფიცირებული შემთხვევითი შერჩევის** მეთოდი. ამასთანავე ჩატარდა სამი ჯგუფური ინტერვიუ 36 ადამიანის მონაწილეობით, რომელნიც წარმოდგენილნი იყვნენ ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტიდან.

მესამე თავში მიმოხილულია სამაგიდო კვლევის შედეგები და ცესკოს მიერ მოწოდებული ოფიციალური მონაცემების ანალიზი, რაც ეხება სამიზნე მოსახლეობის საარჩევნო პროცესებში ჩართულობის დინამიკასა და მათ მონაწილეობას საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობაში.

მეოთხე თავი უშუალოდ ეხება სომეხთა ელექტორულ ქცევას და გამოკვეთს მონაწილეობა/არმონაწილეობის წამახალისებელ და ხელისშემშლელ ფაქტორებს. ამასთანავე კვლევა აფასებს თუ რამდენად ეფექტიანი აღმოჩნდა პროცესებში ჩართულ მხარეთა მიერ გატარებული ღონისძიებები, რაც მიმართული იყო არსებული პრობლემებს მოგვარებისაკენ.

მეხუთე თავში წარმოდგენილია ზოგადი და კონკრეტული ხასიათის რეკომენდაციები შესაბამისი უწყებებისა და ინსტიტუტებისათვის, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ღონისძიებათა ეფექტიანად განხორციელების ხელშეწყობის მიზნით.

ძირითადი მიგნებები

<u>სოციო–დემოგრაფიული სიტუაცია:</u>

- უმუშევრობა რჩება ყველაზე დიდ პრობლემად სამიზნე მოსახლეობაში. მონაწილეთა თითქმის ერთი მესამედი (31.4%) უმუშევარია. ერთი მეხუთედი თვითდასაქმებულია.
- ეთნიკური უმცირესობების სხვა წარმომადგენლებთან შედარებით სომხები გამოირჩევიან განათლების უფრო მაღალი დონით. მონაწილეთა 36.6% აღნიშნა, რომ ისინი ფლობენ უმაღლესი განათლებას.
- ახალგაზრდებში (18–27) განსაკუთრებით მაღალია მათი რაოდენობა, ვისაც უმაღლესი განათლება აქვს. გენდერული თვალსაზრისით, 10% მეტმა ქალმა აღნიშნა, რომ დამთავრებული აქვს უნივერსიტეტი მამაკაცებთან შედარებით. სოფლის მოსახლეობაში უმაღლესი განათლების დონე შედარებით დაბალია.
- სახელმწიფო ენის ცოდნა ისევ პრობლემად რჩება. ახალქალაქსა და ნინოწმინდაში განსაკუთრებით დიდია მათი წილი, ვინც ქართულ ენას არ ფლობს. ენის ცოდნის დონე შესამჩნევად დაბალია სოფლის მოსახლეობაში ქალაქთან შედარებით. ახალგაზრდები (18–27) ხასიათდებიან სახელმწიფო ენის ცოდნის ყველაზე უკეთესი მაჩვენებლით.

<u>არჩევნებში მონაწილეობა</u>

- ბოლო წლების განმავლობაში შეინიშნება არჩევნებში მონაწილეობის მაჩვენებლის საკმაოდ მნიშვნელოვანი კლება. 2010–2014 წლებში 125 საარჩევნო უბანზე ხმის მისაცემად გამოცხადებულ მოქალაქეთა რაოდენობა 70% დან 49.8% მდე შემცირდა 2010 წლის შემდეგ, რაც ნიშნავს, რომ 20.471 ადამიანით ნაკლები ამომრჩეველი გამოცხადდა 2014 წლის არჩევებზე.
- ნინოწმინდა და ახალქალაქი ხასიათდებოდა არჩევნებში მონაწილეთა ყველაზე მაღალი მაჩვენებლით 2010 წელს. 2014 წელს ორივე მუნიციპალიტეტმა მონაცემთა რადიკალური შემცირება განიცადა, 26% და 24% ნაკლები ადამიანი გამოცხადდა ხმის მისაცემად ნინოწმინდასა და ახალქალაქში 2014 წელს.

- შესამჩნევია დარეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობის კლება სამიზნე უბნებში. რეგისტრირებულთა მთლიანი მაჩვენებელი 6604 ადამიანით ნაკლები იყო 2014 წელს, რაც 7.7% შემცირებაზე მიუთითებს.

<u>საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში ეთნიკური სომხების წილი</u>

- საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა შორის ეთნიკური სომხების რაოდენობა გაიზარდა 2014 წელს 2013 წელთან შედარებით 86.7% დან 87.2% მდე.
- ეს ტენდენცია ძირითადად აიხსნება პოლიტიკური პარტიების მიერ მეტი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლის დანიშვნით (739 ადამიანი 2013 წელს და 750 2014 წელს), მაშინ როდესაც ოლქის მიერ არჩეული სომხების წილი უმნიშვნელოდ შემცირდა 669 წევრი 2013 და 666 2014 წელს.
- ახალქალაქისა და ნინოწმინდის საუბნო კომისიების წევრთა დიდი უმრავლესობა ეთნიკურ სომხებს წარმოადგენდა, შესაბამისად 97.9% და 98.6%. სამიზნე უბნებში 2013 წელს თავმჯდომარეთა 92.8% და მოადგილეთა 92% ეთნიკურად სომხები იყვნენ ეს მონაცემები უმნიშვნელოდ შემცირდა 2014 წელს 91.2% და 90.4% შესაბამისად.
- კვლევა აჩვენებს, რომ კომისიების თავმჯდომარეთა, მოადგილეთა და მდივანთა პოზიციაზე არჩეული ადამიანები იშვიათად იცვლებიან. ეს ერთი მხრივ შეიძლება იყოს უბნებში დემოკრატიული არჩევნების შედეგი, თუმცა ამასთანავე ეს ტენდენცია წევრობის საკითხთან დაკავშირებით ტრადიციულ მიდგომას ადასტურებს.
- საოლქო კომისიაში ეთნიკური სომხები წარმოდგენილნი არიან ახალქალაქში (7), ნინოწმინდაში (11), და ახალციხეში (1). თუმცა აღსანიშნავია, რომ კომისიაში წარმოდგენილ წევრთა რაოდენობა ამ მუნიციპალიტეტების ეთნიკური შემადგენლობის არაპროპორციულია (მოსახლეობის 55%, 94.3%, 36.6% შესაბამისად წარმოადგენენ ეთნიკურ სომხებს).

<u>არჩევნებში მონაწილეობის მნიშვნელობა და მონაწილეობა/არმონაწილეობაზე მოქმედი ფაქტორები, ძირითადი ტენდენციები 2014 წლის არჩევნებზე</u>

- მონაწილეთა 54.3% არჩევნებში მონაწილეობას ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევს, 35.4%– გარკვეულწილად მნიშვნელოვნად. მხოლოდ 10% თვლის, რომ არჩევნებში მონაწილეობა მნიშვნელოვანი არ არის.
- მონაწილეობის ხელისშემწყობი ფაქტორები არის შემდეგი: 1. სამოქალაქო ვალი 2. სასურველი კანდიდატის არჩევის სურვილი 3. მმართველი პარტიის/პოლიტიკოსის შეცვლის სურვილი. მონაწილეობის ხელისშემშლელი სამი ძირთადი ფაქტორია : 1. „ჩემი ხმა არაფერს შეცვლის“ მიდგომა 2. ადგილობრივი პოლიტიკოსებისადმი უნდობლობა 3. ამომრჩეველთა ინტერესების შესაბამისი კანდიდატის არარსებობა
- საპრეზიდენტო არჩევნები 35.9% მიერ მიჩნეულია ყველაზე მნიშვნელოვან არჩევნებად, 35.1% თვლის რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია ყველაზე მნიშვნელოვანი, ხოლო 29% გამოკვეთს საპარლამენტო არჩევნების დიდ მნიშვნელობას
- ძირითადი ფაქტორები, რომელიც იწვევს პოლიტიკური პარტიისა თუ პოლიტიკოსთათვის უპირატესობის მინიჭებას მდგომარეობს შემდეგში: კანდიდატის საარჩევნო პროგრამა; კანდიდატის პიროვნული მახასიათებლები და რეპუტაცია; კანდიდატის მიერ ადგილობრივი პრობლემების ცოდნის დონე
- სომხები არ გამორიცხავენ მმართველი ძალისადმი მუდმივი მხარდაჭერის ტენდენციის არსებობას. მათი რაოდენობა, ვინც მმართველ პარტიას ყოველთვის უჭერს მხარს ხუთჯერ მეტია იმ ამომრჩეველთა რაოდენობაზე, ვინც არასდროს უჭერს მხარს. ერთსა და იმავე

პარტიის/პოლიტიკოსისადმი მუდმივი მხარდაჭერა ასევე ერთ- ერთი მიღებული პრაქტიკაა ეთნიკურ სომხებში, თუმცა უფრო ნაკლები სიხშირით ხასიათდება.

- გენდერი როგორც ფაქტორი– კვლევის მონაწილეთა ორი მესამედი ხმას მისცემდა ქალ კანდიდატს. მხოლოდ 12.9% უპასუხა შეკითხვას უარყოფითად, ხოლო 21.6% პასუხის გაცემას თავი აარიდა.

<u>2014 წლის არჩევნები და ინფორმაციის წყაროები</u>

- 2014 წლის არჩევნებში მონაწილეობის მნიშვნელობის შეფასებისას 40.9% მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნია, 31.5%– გარკვეულწილად მნიშვნელოვნად და 9.2% უმნიშვნელოდ. დარჩენილ 18.4% არ გააჩნდა გამოკვეთილი პოზიცია ამ საკითხზე.
- მონაწილეობის მიღების ხელისშემშლელი ფაქტორები 2014 წელს იყო შემდეგი: 1. ადგილობრივი პოლიტიკოსებისადმი უნდობლობა 2. დროის უქონლობა 3. „ჩემი ხმა არაფერს შეცვლის“ მიდგომა.
- მონაწილეთა ერთმა მესამედმა მიუთითა, რომ ისინი აქტიურად ადევნებენ თვალს პოლიტიკურ მოვლენებს მუნიციპალიტეტში. რესპოდენტთა 39.6% აღნიშნა, რომ ისინი ხშირად უყურებდნენ არჩევნებთან დაკავშირებულ ახალ ამბებს 2014 წელს. მათი რაოდენობა, ვინც ახალ ამბებს ზოგჯერ ადევნებდა თვალს შეადგენს 34%, მონაწილეთა 7.5% არასდროს ინტერესდება ახალი ამბებით.
- მონაწილეთა ნახევარზე მეტმა (52.3%) ხაზი გაუსვა ტელევიზიის მნიშვნელობას არჩევნების შესახებ ინფორმაციის გავრცელების პროცესში, ტელევიზიას მოჰყვება კანდიდატთა წინასაარჩევნო შეხვედრები (36.1%), ინტერნეტი (35.2%) და მეგობრები/ოჯახის წევრები 20.6%
- სატელევიზიო არხებს შორის ყველაზე პოპულარული ტელეარხებია სომხური არხები, რუსული არხები და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი.
- მონაწილეთა დიდმა რაოდენობამ (53.7%) აღნიშნა, რომ კანდიდატთა წინასაარჩევნო კამპანიები ინფორმაციის მიღების ეფექტიანი საშუალებაა, წინასაარჩევნო რეკლამებთან და ტრენინგებთან/სემინარებთან ერთად. ცესკოს საინფორმაციო ქოლ-ცენტრს რესპოდენტთა მხრიდან ყველაზე ნაკლები მოწონება ხვდა წილად.

<u>თანაბარი გარემოს შექმნის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა ეფექტიანობის შეფასება</u>

- რესპოდენტთა უმრავლესობამ ცესკოსა და საუბნო კომისიების მუშაობა დამაკმაყოფილებლად მიიჩნია (56.5% და 58.3% შესაბამისად). მათი წილი, ვინც ძალიან კმაყოფილი დარჩა კომისიათა მუშაობით შედარებით მცირეა და უტოლდება 12.2% და 13.6%.
- მონაწილეთა 44.5% აღნიშნა, რომ საარჩევნო გარემო ქართველებისათვის შექმნილი გარემოს მსგავსია, 13% მიიჩნია რომ უკეთესია, ხოლო მათი რაოდენობა, ვინც უარყოფითი შეფასება მისცა საარჩევნო გარემოს ძალიან მცირეა.
- კვლევამ აჩვენა, რომ ცესკოს მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა მედიის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, ვერ უზრუნველყო დიდი ეფექტურობით ეთნიკური სომხების ცნობიერების დონის ამაღლება არჩევნებთან დაკავშირებით.
- საუბნო კომისიის წევრებმა მოწონება გამოხატეს ცესკოს მიერ გატარებული ღონისძიებებისადმი. მათ დადებითად შეაფასეს ტრენინგები. თუმცა შედარებით კრიტიკული განწყობა შეინიშნებოდა ტრენერების კომპეტენციის საკითხთან მიმართებაში. რაც შეეხება მოსახლეობას, გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა უკმაყოფილება გამოხატა საუბნო კომისიის წევრთა პროფესიონალიზმთან დაკავშირებით.
- ცესკოს მიერ მხარდაჭერილმა პროექტებმა ძირითადად დადებითი შეფასება დაიმსახურა, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს დაფარვის არეალთან დაკავშირებული პრობლემა. უმეტეს

შემთხვევაში სოფლის მაცხოვრებელნი პროექტების მიღმა იყვნენ დარჩენილნი. ასევე, ღონისძიებების ძირითად სამიზნეს ახალგაზრდობა წარმოადგენდა, რაც საშუალო ასაკისა და ხანშიშესული ადამიანების მარგინალიზებას იწვევდა. ეს უარყოფითად აისახა საარჩევნო პროცესების შესახებ მათი ინფორმირებულობის დონეზე.

<u>ძირითადი რეკომენდაციები</u>

- ცესკომ უნდა შეიმუშაოს შესაბამისი პოლიტიკა, რაც უზრუნველყოფს საუბნო კომისიის წევრთა გამჭვირვალე და სამართლიანი არჩევნებს, მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით. ცესკომ უნდა უზრუნველყოს პროცესის პოპულარიზაცია.
- ცესკომ უფრო მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს ადგილობრივ მედიასთან გრძელვადიანი პროექტების განხორციელების მიზნით, რაც გაზრდის არჩევნებში მონაწილეობისადმი ინტერესს
- თავისი კომპეტენციის შესაბამისად უნდა უზრუნველყოს საუბნო კომისიებში ეთნიკური სომხების დაბალანსებული წარმომადგენლობა შესაბამის მუნიციპალიტეტებში მათი რაოდენობის პროპორციათა გათვალისწინებით.
- უზრუნველყოს საუბნო კომისიის წვერთა მიერ პოლიტიკური აგიტაციის მკაცრი კონტროლი საარჩევნო უბნების სიახლოვეს. იმუშაოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად დაძაბული სიტუაციის აღმოსაფხვრელად საარჩევნო უბნების მიმდებარე არეალში, რაც მონაწილეობის ხელისშემშლელი ფაქტორია.
- სემინარები/ტრენინგები უფრო მეტი ინტენსიობით უნდა ტარდებოდეს სოფლებში, ვინაიდან კვლევის შედეგად გამოიკვეთა სოფელში მცხოვრებთა ჩართულობის დაბალი დონე ტრენინგებში.
- უზრუნველყოს მრავალენოვანი ქოლ-ცენტრის პოპულარიზაცია ეთნიკურ უმცირესობებს შორის
- უზრუნველყოს საარჩევნო სისტემის განვითარების, რეფორმებისა და ტრენინგის ცენტრის მიერ გაცემული გრანტების მეტად ხელმისაწვდომობა სამიზნე რეგიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის.
- რეკომენდირებულია საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მჭიდრო თანამშრომლობა ცესკოსთან სამიზნე რეგიონში საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიონალურ დონეზე განვითარების მიზნით.
- სამთავრობო ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყოს ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემების ადეკვატური ასახვა შემწყნარებლობის და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფციასა და 2015–2019 წლის სამოქმედო გეგმაში
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო ენის ხარისხიანი სწავლება სკოლებსა და ზრდასრულ თაობას შორის.
- განათლების და მეცნიერების სამინისტრომ უნდა მოახდინოს განხორციელებული და მიმდინარე პროგრამების ეფექტიანობის შეფასება, რათა გააუმჯობესოს ეთნიკური უმცირესობების სხვადასხვა სეგმენტისათვის ენის სწავლება.
- მნიშვნელოვანია ბიზნესის მხარდაჭერისა და ეკონომიკური განვითარების პროექტების განვითარება რეგიონში.
- რეგიონში მოქმედი დიპლომატიური მისიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის რეკომენდირებულია კვლევაში გამოვლენილი პრობლემების გათვალისწინება და სამოქალაქო საზოგადოების განზომილების დაფარვა თავიანთ საქმიანობაში.
- დონორმა ორგანიზაციებმა მხედველობაში უნდა მიიღოს სასოფლო არეალების განვითარებასთან დაკავშირებული გამოწვევები.

- პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა იმუშაონ ადგილობრივ მოსახლეობასთან ყოველდღიურად. ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა თვლის, რომ პოლიტიკოსებს ისინი მხოლოდ მაშინ ახსენდება, როდესაც მათი ხმები სჭირდებათ. ამგვარი დამოკიდებულების აღმოსაფხვრელად საჭიროა ხალხთან ხშირი კომუნიკაცია.
- პოლიტიკური პარტიებისათვის რეკომენდირებულია ადგილობრივი ახალგაზრდების და ახალგაზრდა პოლიტიკოსების ინტეგრაცია თავიანთ რიგებში, ვინაიდან ისინი ადგილობრივ პრობლემებში უკეთ ერკვევიან და აქვთ რეგიონის განვითარებაში წვლილის შეტანის სურვილი.
- ადგილობრივმა მედიამ უნდა მოახდინოს პოლიტიკოსთა მონიტორინგი და წინასაარჩევნო პერიოდში უნდა შეაფასოს მათ მიერ მიღწეული პროგრესი.
- ადგილობრივმა მედიამ უნდა უზრუნველყოს ანალიტიკური პროგრამების და დებატების უფრო ხშირი გაშუქება არჩევნებამდე, რაც საჭიროების შემთხვევაში მხარდაჭერილი უნდა იყოს სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ.
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა უნდა იმუშაონ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ბენეფიციარებთან. კვლევამ ცხადყო, რომ ახალგაზრდები სამოქალაქო განვითარების უფრო მაღალი დონით გამოირჩევიან სხვა ჯგუფებთან შედარებით. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა უნდა იმუშაონ საშუალო ასაკისა და ხანშიშესულ ადამიანებთან. სამიზნე ჯგუფს უნდა წარმოადგენდეს ქალთა ჯგუფიც.
- ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები უნდა ჩაერთონ ადვოკატირების პროცესში სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად და შექმნან კოალიციები, ფორუმები და პლატფორმები
- ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა აქტიურად უნდა ითანამშრომლოს მედიასთან რათა უზრუნველყოს საკუთარი საქმიანობის პოპულარიზაცია

თავი 2: მეთოდოლოგია

საკვლევის საგნის კომპლექსურობის გათვალისწინებით რაც გამოწვეულია 2 სხვადასხვა ტიპის მონაცემებით, კვლევისათვის შერჩეულია ორი მეთოდი. პირველი გამოყენებულია 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ეთნიკური სომხების წარმომადგენლობისა და მონაწილეობის შესადარებლად წინა არჩევნებთან (2010, 2012, 2013), ხოლო მეორე შერჩეულ მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ეთნიკური სომხების სოციო–დემოგრაფიული ასპექტების იდენტიფიკაციისათვის. ამ თავში ორივე მეთოდოლოგიური სტანდარტი დეტალურად არის ახსნილი.

2.1 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ეთნიკური სომხების წარმომადგენლობისა და მონაწილეობის დინამიკა

2.1.1 კვლევის დიზაინი

იმდენად რამდენადაც კვლევის ეს ნაწილი დათმობილია უკვე არსებული (ობიექტური) ინფორმაციის ინტერპრეტაციაზე, კვლევის შედეგების და დინამიკის მაქსიმალურად წარმოჩენისთვის შერჩეულ იქნა **შედარებითი კვლევის** დიზაინი. უფრო კონკრეტულად, ოთხი ასპექტი იქნა შესწავლილი წინა არჩევნების შესაბამის მონაცემებთან მიმართებაში. ამით შესაძლებელი გახდა ორი ძირითადი ცვლადის დინამიკაში აღქმა, რამაც კვლევას შესძინა სანდოობა. კერძოდ:

1. 2014 და 2010 წლების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებზე რეგისტრირებული და ხმის მისაცემად მისული ამომრჩევლების რაოდენობების შედარება
2. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებსა და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე საუბნო საარჩევნო კომისიებში ეთნიკურ სომეხ წევრთა რაოდენობების შედარება
3. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებსა და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე საოლქო საარჩევნო კომისიებში ეთნიკურ სომეხ წევრთა რაოდენობების შედარება
4. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებსა და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე საუბნო საარჩევნო კომისიებში თავჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის და მდივნის პოზიციებზე ეთნიკურ სომეხთა რაოდენობების შედარება

აღნიშნული მონაცემების გამოყენებით მოხდა არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით ინტერპრეტაციების გაკეთება და ეთნიკურ უმცირესობათა არჩევნებში მონაწილეობის დინამიკასთან მიმართებაში ემპირიული სურათის წარმოჩენა.

2.1.2 კვლევის მეთოდი

მეთოდი დაფუძნებული არის სამაგიდე კვლევაზე, არსებული ოფიციალური მონაცემების ანალიზი, რომლის მთავარ წყაროს წარმოადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სტატისტიკური მონაცემები. ეს მონაცემები შემაჯამებელი ოქმების სახით არის ცესკო-ს ვებგვერდზე განთავსებული და საჯაროდ ხელმისაწვდომია.

2.1.3 საარჩევნო უბნების და ოლქების შერჩევა

სამიზნედ შერჩეული იქნა 6 საარჩევნოდ ოლქი

- სამცხე-ჯავახეთში: **ახალციხე, ასპინძა, ახალქალაქი, ბორჯომი და ნინოწმინდა**
- ქვემო ქართლში: **წალკა.**

ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე არ ხდება ეროვნული კუთვნილების დაფიქსირება არჩევნების დროს ოფიციალურად წარმოებულ რომელიმე დოკუმენტში, ცესკო მოკლებული იყო შესაძლებლობას მოეწოდებინა მონაცემები მხოლოდ ეთნიკური სომხების შესახებ. ეს მუნიციპალიტეტები ძირითადად დასახლებულია სომხებით.

აქედან გამომდინარე მკვლევართა ჯგუფმა შეარჩია ის სამიზნე საარჩევნო უბნები ექვსი საარჩევნო ოლქიდან, რომლებიც იხსნება ეთნიკური სომხების კომპაქტურად ჩასახლებულ

საარჩევნო ოლქი		**საარჩევნო უბანი**	**სულ**
40	ახალქალაქი	1; 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 18; 19; 20; 21; 24; 25; 26; 27; 28; 29; 30; 31; 32; 33; 34; 35; 36; 37; 38; 39; 40; 41; 43; 44; 45; 46; 47; 48; 49; 50; 52; 55; 56; 57; 58; 59; 61; 62; 64; 65; 66; 67; 68; 69; 70	61
37	ახალციხე	1; 3; 5; 18; 19; 21; 24; 25; 26; 27; 29; 30; 31; 32; 33	15
39	ასპინძა	4	1
36	ბორჯომი	17; 24; 14	3
41	ნინოწმინდა	1; 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 14; 17; 18; 19; 20; 21; 22; 23; 24; 25; 26; 27; 28; 29; 30; 31; 32; 33; 34; 35; 36	32
25	წალკა	10; 25; 27; 28; 31; 34; 35; 36; 39; 42; 43; 44; 45	13
		სულ	131

ცხრილი 1: სამიზნე საარჩევნო უბნები სოფლებსა და ქალაქებში.

6 მუნიციპალიტეტში სოფლებისა და ქალაქების ეთნიკური შემადგენლობის შესახებ ინფორმაცია აღებულ იქნა 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების შესაბამისად. სოფლებიდან, სადაც სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები ცხოვრობენ მიღებული იქნა 80%-იანი სტანდარტი, რომლის მიხედვითაც მოხდა მათი სამიზნე უბნების სიაში შეყვანა. კერძოდ, თუ სოფლის მოსახლეობის 80% ან მეტი ეთნიკურად სომეხს წარმოადგენს, მაშინ ის ჩაითვალა სამიზნე საარჩევნო უბნად. შერჩევის ამ მიდგომით მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული პრინციპი რომ გამოკვლეული ყოფილიყო მხოლოდ სამიზნე ეთნიკური ჯგუფის 2014 წლის ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებზე ჩართულობის დინამიკა. ყოველივე ამის გათვალისწინებით შერჩეული იქნა შემდეგი სამიზნე საარჩევნო უბნები (ცხრილი 1). კვლევითმა ჯგუფმა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან გამოითხოვა ყველა რელევანტური ინფორმაცია. მიღებული მონაცემები განიხილა, გადამუშავდა და განთავსდა ერთიანი ბაზაში. მონაცემების გამოყენებით ჩატარებული კვლევა წარმოდგენილია მე–3 თავში

2.2 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში ეთნიკურად სომეხ ამომრჩეველთა მონაწილეობის დამაბრკოლებელი (შემაფერხებელი) ფაქტორების შესწავლა და ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობისთვის განხორციელებული აქტივობების ეფექტიანობის ანალიზი

პროექტის ამ კომპონენტში კვლევა მიმართულია სამი ძირითად საკითხისადმი:

1. სამიზნე 6 მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეთნიკური სომეხი ამომრჩევლის საარჩევნო პროცესში ჩართულობის და საჭიროებების შესწავლა; ძირითადი დამაბრკოლებელი ფაქტორების გამოკვეთა;
2. ცესკო-ს ადმინისტრაციის მიერ ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო პროცესებში ჩართულობის გასაზრდელად განხორცილებული ღონისძიებების ეფექტიანობა;
3. ცესკო-ს სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარებისა, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ მხარდაჭერილი და სხვა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული ცნობიერების ამაღლების აქტივობების ეფექტიანობა.

2.2.1 კვლევის დიზაინი

ამ კომპონენტის საჭიროებებიდან გამომდინარე შეირჩა ე.წ. **შერეული მეთოდების დიზაინი** (Mixed methods design), რაც გულისხმობს როგორც **რაოდენობრივი** ისე **თვისობრივი** კვლევის მეთოდების გამოყენებას.

ამის გათვალისწინებით კვლევის სტრატეგიად აღებული იქნა ე.წ. **ეტაპობრივი პროცედურები** (sequential procedures), რაც გულისხმობს რამდენიმე კვლევის მეთოდის თანმიმდევრული გამოყენებით სოციალური მოვლენის ახსნას. ეს მოპოვებული მონაცემების ღრმა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. შესაბამისად, სამიზნე ჯგუფში ძირითადი განწყობების და ტენდეციების დასადგენად პირველ ეტაპზე ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა, რომელიც რეპრეზენტატულობის მაქსიმიზიციის საშუალებას იძლევა. ხოლო შემდეგ მასობრივი გამოკითხვის საშუალებით გამოვლენილი სოციალური ტენდენციების უკეთ გაანალიზების მიზნით გამოყენებული იქნა თვისობრივი კვლევის მეთოდი.

2.2.2 რაოდენობრივი კვლევა

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში არასოდეს განხორციელებულა კვლევა, რომელიც დაადგენდა ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის პრობლემებსა და საჭიროებებს საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი იყო საკვლევი საგნის რაოდენობრივი განზომილებაში გადატანა.

რაოდენობრივი კვლევის მეთოდად შერჩეული იქნა ანკეტირება. უფრო კონკრეტულად, გამოყენებული იქნა თვითადმინისტრირებული ანკეტირება, რაც გულისხმობს მეთოდს, როდესაც ანკეტიორი აძლევს კითხვარს რესპონდენტს და ის დამოუკიდებლად ავსებს მას. ამ მეთოდის გამოყენებით მაქსიმუმამდე იქნა გაზრდილი რესპონდენტისთვის ანონიმურობის განცდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან უშუალოდ საკვლევი საკითხი არის მეტად მგრძნობიარე. ასევე, კვლევისთვის გამოყოფილ მცირე დროში შესაძლებელი გახდა ყველა სამიზნე გეოგრაფიული ობიექტის დაფარვა.

2.2.2.1 *კითხვარი*

კითხვარი რაოდენობრივი კვლევის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. ამ კვლევისათვის შემუშავდა კითხვარი, რომელიც 4 ბლოკში აერთიანებს 59 კითხვას (და შესაბამის ქვე-კითხვებს). კითხვარი მოიცავს როგორც ღია, ისე დახურულ და ნახევრად დახურულ კითხვებს. დახურულ კითხვებში გამოყენებული იქნა ისეთი მეთოდები როგორიცაა: შეფასების სკალა, რანჟირების სკალა და საკონტროლო სია.

კითხვარი აერთიანებს შემდეგ 4 ბლოკს:

- სოციო-დემოგრაფიული;
- ელექტორული ქცევა - ზოგადი;
- ელექტორული ქცევა - ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2014;
- 2014 წლის არჩევნების პროცესში გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობა;

კითხვარის გამოყენებით ჩატარდა პილოტური კვლევა (6 რესპონდენტზე). მიღებული შედეგი აისახა კითხვარის საბოლოო ვერსიაში, რომელიც გადაითარგმნა ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე.

2.2.2.2 *რესპოდენტთა შერჩევა*

კვლევის ამ კომპონენტში გენერალურ ერთობლიობას წარმოადგენდა ახალქალაქის, ასპინძის, ახალციხის, ნინოწმინდისა და წალკის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ეთნიკურად სომეხი საქართველოს მოქალაქეები, რომელთაც შეუსრულდათ 18 წელი.

ამ კრიტერიუმების მქონე ადამიანების საერთო რაოდენობის დასადგენად გამოყენებული იქნა:

1. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩვენებზე დარეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა **სამიზნე საარჩვენო უბნებზე**.

2. სამიზნე საარჩევნო უბნები განსაზღვრული იქნა 2002 წლის საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ეთნიკური შემადგელობის მიხედვით.

ორი მონაცემის გამოყენებით გენერალურმა ერთობლიობამ შეადგინა **84,743** ადამიანი. ამ ორი მონაცემთა ბაზის გამოყენებით გამორიცხული იქნა მუნიციპალიტეტში არა ეთნიკურად სომეხი ამომრჩევლის რაოდენობა, ისევე როგორც ეთნიკურად სომეხი არასრუწლოვანთა (18 წელს ქვევით) რაოდენობა.

კვლევის რეპრეზენტატულობის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტის შესაბამისად გამოსაკითხ ადამიანთა საერთო რაოდენობად აღებული იქნა 341. შერჩევის ეს მოცულობა ნდობის დონეს (confidence level) განსაზღვრავს 95 %-ით, ხოლო შერჩევის ცდომილების ზღვარს (Margin of Error) 5.3%-ით.

შერჩევითი ერთობლიობის განსაზღვრისას გამოყენებული იქნა **ალბათური შერჩევის** ისეთი ტიპი, როგორიც არის **სტრატიფიცირებული შემთხვევითი შერჩევა**. კერძოდ, გენერალური ერთობლიობა დაყოფილი იქნა სტრატებად შესაბამის 6 მუნიციპალიტეტში 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, ეთნიკური უმცირესობების რაოდენობის პროპორციულად. შესაბამისად რესპონდენტთა პროპორციული განაწილება შემდეგნაირად გამოიყურება (ცხრილი 2).

მუნიციპალიტეტი	ქალაქი/სოფელი	რესპოდენტთა რაოდენობა	სულ
ასპინძა	დამალა	6	6
ახალქალაქი	ახალქალაქი	60	147
	სოფ. ღადოლარი	11	
	სოფ. არაგვა	20	
	სოფ. ვაჩიანი	11	
	სოფ. სულდა	12	
	სოფ. ტურცხი	16	
	სოფ. დილისკა	17	
ახალციხე	ახალციხე	25	58
	სოფ. პამაჯი	7	
	სოფ. წყრუთი	8	
	სოფ. სხვილისი	6	
	ვალე	12	
ბორჯომი	სოფ. ტაბაწყური	4	6
	სოფ. მოლითი	2	
ნინოწმინდა	ნინოწმინდა	20	96
	სოფ. ფოკა	19	
	სოფ. სათხა	18	
	სოფ. განძა	29	
	სოფ. დიდი ხანჩალი	10	
წალკა	სოფ. ყიზილ–კილისა	15	28
	სოფ. ნარდევანი	13	
სულ		**341**	**341**

შემდეგი სტრატა, რომელიც შერჩევის დროს იქნა გამოყენებული კვლევის ინტერესებიდან

ცხრილი 2: რესპონდენტთა რაოდენობა თითოეული სტრატიდან

გამომდინარე იყო პროპორციული გადანაწილება დასახლებებში (ქალაქებსა და სოფლებში) მცხოვრები ეთნიკური სომხების რაოდენობის მიხედვით. კითხვარები დარიგდა შესაბამის ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობას შორის 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების საფუძველზე მიღებული მონაცემების გათვალისწინებით (ცხრილი 2).

2.2.2.3 მონაცემების შეგროვება და კომპიუტერიზაცია

ორ კვირიან შუალედში მკვლევართა გუნდმა შეძლო საჭირო რაოდენობის შევსებული კითხვარების შეგროვება. სომხურ ენაზე მოსაუბრე ანკეტიორმა დროულად მოახერხა საველე სამუშაოების ჩატარების შედეგად საჭირო ინფორმაციის მოგროვება.

ამავდროულად შეიქმნა მონაცემთა ბაზა და მოხდა შეგროვებული მონაცემების კომპიუტერიზაცია სპეციალურ სტატისტიკურ კომპიუტერულ პროგრამაში (SPSS 17.0). თვისობრივი კვლევის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე მონაცემთა ბაზა იყო სრულად ფორმირებული და მონაცემთა წინასწარი ანალიზი იყო უკვე ჩატარებული.

2.2.3 თვისობრივი კვლევა

თვისობრივი კვლევის მეთოდის გამოყენების შედეგად მოხდა რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე გამოვლენილი სოციალური ტენდენციების ღრმა და შინაარსობრივი ინტერპრეტაცია.

2.2.3.1 ფოკუს ჯგუფები

ფოკუს ჯგუფი შერჩეული იქნა როგორც თვისობრივი კვლევის მეთოდი, რათა მომხდარიყო გამოვლენილი ტენდენციების უფრო დეტალური განხილვა და ანალიზი. კვლევის ფარგლებში სულ ჩატარდება 3 ფოკუს-ჯგუფი: ორი ფოკუს-ჯგუფი ჩატარდება ნინოწმინდასა და ახალქალაქში. თითოეულის ხანგრძლიობა იყო 2.5 საათი. ჩატარდა ასევე მეორე ფოკუს ჯგუფიც, რომელიც გრძელდებოდა ორი დღის განმავლობაში. ის მოიცავდა სამ თემატურ სესიას:

1. ზოგადი დამოკიდებულება არჩევნების მიმართ;
2. 2014 წლის არჩევნებში მონაწილეობა;
3. სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობა.

2.2.3.2 შერჩევა

მონაწილეთა შერჩევა პირველი ორი ფოკუს ჯგუფისათვის მოხდა სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლების გათვალისწინებით, კერძოდ, ნინოწმინდა და ახალქალაქი შეირჩა ეთნიკურად სომეხი მაცხოვრებლების დიდი რაოდენობის გამო.

პირველ ორ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობის მისაღებად შეირჩა 10 ადამიანი, უმეტესობა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების წარმომადგენლები ან ადგილობრივი თემის ლიდერები. ხოლო ორ დღიანი ფოკუს ჯგუფისათვის ექვსივე სამიზნე მუნიციპალიტეტიდან შეიკრიბა 16 მონაწილე, შესაბამისი პროპორციის დაცვით. მონაწილეები ძირითადად იყვნენ სამოქალაქო საზოგადოების, მედიის და საგანმანათლებლო ინსტიტუტების წარმომადგენლები.

- ახალქალაქი–6
- ნინოწმინდა–4
- ახალციხე–2
- წალკა–2
- ასპინძა–1
- ბორჯომი–1

2.2.3.3 ინსტრუმენტი

მთავარი კითხვარისა და რაოდენობრივი კვლევის შედეგების გათვალისწინებით შეიქმნა ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი. დისკუსიებს წარმართავდა ფასილიტატორი, რომელიც იყენებდა ე.წ. “community mapping”-ის ტექნიკას. ამასთანავე მონაწილეებს ეძლეოდათ სხვადასხვა შიდა ჯგუფური დავალებები.

თავი 3: 2014 წლისა და წინა არჩევნების შედარებითი ანალიზი – ეთნიკური სომხების წარმომადგენლობა და ელექტორული ქცევა

3.1 დარეგისტრირებული ამომრჩევლები და არჩევნებზე გამოცხადების მაჩვენებელი

როგორც მეთოდოლოგიის თავში იქნა აღნიშნული (გვ. 12), ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ეთნიკურობის აღრიცხვას ოფიციალურ დოკუმენტებში ცესკოს არ ფლობს ოფიციალურ ინფორმაციას საქართველოს მოქალაქე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით. თუმცა აღნიშნული მეთოდოლოგიის გათვალისწინებთ დადგინდა, რომ რეგისტრირებული ეთნიკური სომხების რაოდენობა ექვს მუნიციპალიტეტში (125 საუბნო საარჩევნო კომისია) ოთხი წლის განმავლობაში შემცირდა 6,604 ამომრჩევლით, რაც პროცენტულად 7.7% ცვლილებას გულისხმობს. (იხ. დიაგრამა 1)

ორი ძირითადი მიზეზი, რაც დასახელდა ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა მიერ აღნიშული ტენდენციის ასახსნელად მდგომარეობს შემდეგში:

- ახალგაზრდა და საშუალო ასაკის სომხების ემიგრაციის მაღალი მაჩვენებელი, რაც ძირითადად უკავშირდება სამუშაოს ძიებას;
- დარჩენილი, უმეტესად ასაკოვანი მოსახლეობის სიკვდილიანობის დონე.

ამასთანავე, ოთხ წლიანი პერიოდის განმავლობაში მონაწილეობის მაჩვენებელი 125 სამიზნე საარჩევნო კომისიები # 41 და ახალქალაქის საუბნო უბანზე შემცირდა 70% დან 2010 წელს 49.8% მდე 2014 წელს. თუმცა, საქართველოში არსებულ ზოგად ტენდენციასთან შედარებით ეს მაჩვენებელი მაინც მაღალია 49.1%[1] და 43.3%[2] 2010 და 2014 წლებში, შესაბამისად.



დიაგრამა 1: რეგისტრირებულ და არჩევნებში მონაწილე სომეხთა რაოდენობა

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **20,471** ადამიანით ნაკლებმა გამოხატა თავისი არჩევანი 2014 წელს (იხ. დიაგრამა 1). აღსანიშნავია, რომ ორმა მუნიციპალიტეტმა სადაც მოსახლეობის 94%–ზე მეტს ეთნიკური სომხები შეადგენენ (ნინოწმინდის საუბნო

[1] http://www.cesko.ge/uploads/other/29/29070.pdf
[2] http://www.cesko.ge/uploads/other/28/28554.pdf

საარჩევნო კომისიები #40) 2010 წელს აჩვენა საქართველოს მასშტაბით არჩევნებზე გამოცხადების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი – 75% და 69.1%. 2014 წელს ეს მონაცემები საკმაოდ დაუახლოვდა საშუალო მაჩვენებელს.

დიაგრამა 2 აჩვენებს საარჩევნო სიაში დარეგისტრირებული მოქალაქეების რაოდენობის შემცირებას ექვსივე მუნიციპალიტეტში 2014 წელს 2010 წელთან შედარებით.



დიაგრამა 2: ხმის მიცემის და რეგისტრირებულთა რაოდენობა 2010-2014 წლებში

ახალქალაქს ჰყავდა დარეგისტრირებულთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ორივე წელს და ცვლილებაც ყველაზე თვალსაჩინოდ ამ მუნიციპალიტეტს შეეხო. მთლიანი მაჩვენებილი შემცირდა 3362 ადამიანით (რაც 8.7% –იანი შემცირების ტოლია). ნინოწმინდა იყო მეორე მუნიციპალიტეტი დარეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობის მიხედვით ორივე წელს. საერთო მაჩვენებელი ნინოწმინდაში შემცირდა 1567- ით (7.2%) 2014 წელს. ნინოწმინდას მოსდევს ახალციხე, სადაც რეგისტრირებულთა რაოდენობა 881–ით შემცირდა (6.6%). წალკაში მონაცემი შეიცვალა 6907 დან 6283 მდე, რაც ნიშნავს იმას, რომ 2014 წელს 624 (9%) ადამიანით ნაკლები დარეგისტრირდა საარჩევნო სიაში 2010 წელთან შედარებით. ბორჯომსა და ასპინძას ჰყავდა რეგისტრირებული ეთნიკური სომხების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2010 და 2014 წლებში. ბორჯომმა განიცადა ყველაზე უმნიშვნელო ცვლილება სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, მთლიანი მაჩვენებელი (1046) შემცირდა 13–ით (1.2%) 2014 წელს. ასპინძაში 157 ადამიანით ნაკლები რეგისტრირებულია არჩევნებში ხმის მისაცემად 2014 წელს 2010 წელთან შედარებით

ცესკოს მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით არჩევნებში ხმის მისაცემად გამოცხადებული ეთნიკურად სომეხი მოქალაქეების რაოდენობა შემცირდა ექვსივე სამიზნე მუნიციპალიტეტში. ახალქალაქის საარჩევნო უბნებზე გამოცხადდა ყველაზე მეტი ადამიანი ორივე წელს და ცვლილებაც ყველაზე შესამჩნევად ამ მუნიციპალიტეტს შეეხო. 11009 ადამიანით ნაკლები მივიდა უბანზე ხმის მისაცემად 2014 წელს 2010 წელთან შედარებით (–24.4%). ნინოწმინდას ჰყავდა მონაწილეების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ახალქალაქის მერე ორივე წელს და ცვლილებაც ახალქალაქის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვნად ამ მუნიციპალიტეტს

შეეხო –6345 ადამიანი (–25.7%). ნინოწმინდას მოსდევს ახალციხე, სადაც მთლიანი მაჩვენებელი შემცირდა 2268 ადამიანით 2014 წელს (–11.7%). წალკაში რაოდენობა შემცირდა 3989 დან 2288 მდე, რაც გულისხმობს საარჩევნო უბნებზე 601 ამომრჩევლით ნაკლების მისვლას 2014 წელს (–3.8%). ბორჯომსა და ასპინძაში ეთნიკურად სომეხი მოქალაქეების ყველაზე ნაკლები რაოდენობა გამოცხადდა ხმის მისაცემად 2010 და 2014 წლებში. ბორჯომმა განიცადა ყველაზე უმნიშვნელო ცვლილება, მთლიანი მაჩვენებელი შემცირდა 60 ით (–5%) ხოლო ასპინძაში 188 ადამიანით ნაკლები გამოცხადდა არჩევნებზე 2014 წელს, რაც პროცენტულად 7.1% უდრის.

აღნიშნული ცვლილების გამომწვევი მთავარი ფაქტორები, მათ შორის მონაწილეობა/არმონაწილეობაზე მოქმედი ფაქტორები ვრცლად მიმოხილულია მომდევნო თავებში, სადაც მოცემულია ელექტორული ქცევის სოციალური კვლევა.

3.2 ეთნიკური სომხების წილი სამიზნე საუბნო საარჩევნო კომისიებში

ეთნიკური სომხები საუბნო საარჩევნო კომისიებში საკმაოდ დიდი რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილნი ორივე 2013 წლის საპრეზიდენტო და 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე. ცესკოს მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით ეთნიკური სომხების წილი სამიზნე კომისიებში უმნიშვნელოდ გაიზარდა 2014 წელს, 86.7% დან 87.2% მდე (იხ. დიაგრამა 3).



დიაგრამა 3: ეთნიკურად სომხების რაოდენობა საუბნო საარჩევნო კომისიებში

ეთნიკური სომხების მაღალი მაჩვენებელი ძირითადად აიხსნება იმით, რომ მათი უმეტესობა პოლიტიკური პარტიების მიერაა დანიშნული (739 – 2013 წელს და 750– 2014 წელს), მაშინ როდესაც საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩეულ სომეხთა რაოდენობა შემცირდა 669 დან 666 მდე 2014 წელს (იხ. დიაგრამა 4).



დიაგრამა 4: უბნების დანიშნული და არჩეული წევრები (ეთნიკურად სომეხი)

კვლევამ ცხადყო, რომ საუბნო საარჩევნო კომისიების არჩეული/დანიშნული წევრების უმეტესობა იყო ერთი და იგივე ადამიანი ორივე არჩევნების პერიოდში. ეს ტენდენცია ასევე აღინიშნა ჯგუფური ინტერვიუების პროცესში. მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს ფაქტს, რომ საუბნო საარჩევნო კომისიაში არჩევის პროცესი დახურული და არაგამჭვირვალეა.

დიაგრამა 5 წარმოაჩენს ეთნიკური სომხების წილის შემცირებას სამიზნე საუბნო საარჩევნო კომისიებში ექვსივე მუნიციპალიტეტის მასშტაბით. დიაგრამის მიხედვით 2013 წელს ეთნიკური სომხები უმრავლესობაში იყვნენ წალკის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, ასპინძის და ბორჯომის

მუნიციპალიტეტების კომისიებში. ამ ხუთი მუნიციპალიტეტიდან ახალქალაქსა და ნინოწმინდაში ისინი დიდ უმრავლესობას წარმოადგენდნენ, შესაბამისად 97.9% და 98.6%. ეს ტენდენცია გამოწვეულია ამ ორ მუნიციპალიტეტში ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის დიდი რაოდენობით. მონაცემები მაღალი იყო წალკის, ასპინძის და ბორჯომის შემთხვევაში. წალკაში, სამიზნე საუბნო კომისიებიდან, მთლიანი შემადგენლობის 72.2% წარმოადგენდა ეთნიკურ სომეხს, ასპინძაში მათი რაოდენობა სამ მეოთხედზე მეტი იყო. ხოლო ბორჯომში 63.2%. ახალციხე ერთადერთი მუნიციპალიტეტია, სადაც სხვა ეთნიკური წარმომავლობის ხალხის წილი საუბნო კომისიებში აღემატებოდა ეთნიკური სომხების წილს. სომეხთა წილი შეადგენდა მთლიანი რაოდენობის 34.9%.



დიაგრამა 5: საუბნო საარჩევნო კომისიების ეთნიკურად სომეხი წერები მუნიციპალიტეტების მიეხდვით, 2013-2014 არჩევნები

მთლიანობაში საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში შევიდა მცირე ცვლილებები 2014 წელს 2013 წელთან შედარებით. 2014 წელსაც წინა წლის მსგავსად სხვა ეთნიკური ჯგუფები უმცირესობაში იმყოფებოდნენ წალკის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, ასპინძის და ბორჯომის მუნიციპალიტეტებში. ახალქალაქისა და ნინოწმინდის საუბნო საარჩევნო კომისიების დიდ უმრავლესობას ეთნიკური სომხები წარმოადგენდნენ, შესაბამისად 98.4% და 96.9%, რაც ძალიან ახლოს დგას წინა წლის მონაცემებთან. წალკაში კომისიების შემადგენლობის 69% სომხები იყვნენ, რაც 3.7% ით ნაკლებია წინა წელთან შედარებით. ასპინძაში 13 წევრიანი კომისია შეიცავდა სხვა ეთნიკური ნიშნის არაუმეტეს ორ ადამიანს, რამაც ეთნიკურ სომეხთა წილის 84.6%–იანი მაჩვენებელი გამოიწვია. ბორჯომმა განიცადა უმნიშვნელო ცვლილება, ოთხი ეთნიკური სომხის დამატებამ კომისიაში მაჩვენებელი 71.8% მდე შეცვალა. ახალციხის კომისიებში სომეხთა მთლიანი მაჩვენებელი გაიზარდა 15 ადამიანით წინა წელთან შედარებით. თუმცა ახალციხე ისევ ერთადერთ მუნიციპალიტეტს წარმოადგენდა, სადაც ეთნიკური სომხები საუბნო კომისიების შემადგენლობაში უმცირესობას წარმოადგენდა.

მთლიანობაში სამიზნე საუბნო კომისიებში შეინიშნებოდა ზრდის ტენდენცია ეთნიკურ სომეხთა წარმოდგენის კუთხით, და უმნიშვნელო 0.3%-ით 2014 წელს წინა წელთან შედარებით. ეს ცვლილება ძირითადად გამოიწვია პოლიტიკური პარტიების მიერ მეტი ეთნიკური სომეხის დანიშვნამ. ახალქალაქისა და ნინოწმინდის კომისიებში შენარჩუნდა ეთნიკური სომხების

ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, რაც ამ მუნიციპალიტეტებში ეთნიკურ სომეხთა თავმოყრის მაღალი მაჩვენებლით აიხსნება. ახალციხის მუნიციპალიტეტმა შეინარჩუნა ყველაზე დაბალი მაჩვენებილი, რაც ორი მიზეზითაა გამოწვეული:

- სომეხთა წილი ქალაქ ახალციხეში (7 სამიზნე საუბნო კომისია) ვარირებს 40% დან 46% მდე სხვადასხვა წყაროების მიხედვით, რაც იწვევს საუბნო კომისიების შერეულ შემადგენლობას, სადაც სომეხთა წილი მაქსიმუმ ორ ადამიანს უდრის. მიუხედავად იმისა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიები მუნიციპალიტეტის სოფლებში მთლიანად დაკომპლექტებული იყო ეთნიკური სომხებით, ქ. ახალქალაქში არსებულმა ტენდენციამ გავლენა იქონია მთლიან შედეგზე.
- ახალციხეში მცხოვრები ეთნიკური სომხები კარგად არიან ინტეგრირებულნი ქართულ საზოგადოებაში და კომუნიკაციის პრობლემა მოსახლეობასა და წევრებს შორის, რაც სახელმწიფო ენის არცოდნითაა გამოწვეული სხვა მუნიციპალიტეტებისაგან განსხვავებით აქ თავს ნაკლებად იჩენს.

3.3 ეთნიკური სომხების მიერ დაკავებული ოფიციალური პოსტები საუბნო საარჩევნო კომისიებში

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი იყო ეთნიკური სომხების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიებში წამყვანი პოზიციების დაკავების ტენდენციის გამოკვეთა. ამ გზით ცხადი გახდა, თუ რამდენად არიან ეთნიკური სომხები ჩართულნი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ოლქი	**უბნები**	**2013 არჩევნები**			**2014 არჩევნები**		
		თავმჯდომარე	მოადგილე	მდივანი	თავმჯდომარე	მოადგილე	მდივანი
ახალქალაქი	61	61	61	57	61	61	58
ახალციხე	15	7	5	4	6	6	4
ასპინძა	1	1	1	1	1	1	1
ბორჯომი	3	2	3	1	2	2	1
ნინოწმინდა	32	32	32	31	31	32	31
წალკა	13	13	13	4	13	11	6
სულ	125	116	115	98	114	113	101
	100%	92.8%	92%	78.4%	91.2%	90.4%	80.8%

ცხრილი 3: ეთნიკური სომხები პოზიციებზე საუბნო საარჩევნო კომისიებში

ცხრილი #3 აჩვენებს თავმჯდომარის, მოადგილისა და მდივნის პოზიციაზე არჩეული ეთნიკური სომხების რაოდენობასა და პროცენტულ მაჩვენებელს 125 სამიზნე უბანზე 6 მუნიციპალიტეტში.

ეთნიკური სომხების შედარებით დაბალი რაოდენობა დაინიშნა მდივნის პოზიციაზე სამიზნე უბნებზე. ეს ტენდენცია ჯგუფური ინტერვიუების დროს აიხსნა იმით, რომ სამდივნო პოზიცია საჭიროებს კომპეტენტურობის მაღალ დონეს სახელმწიფო ენის ცოდნის საკითხში. განსხვავებული სურათია ახალქალაქსა და ნინოწმინდაში, სადაც თითქმის ყველა პოსტი – თავმჯდომარის, მოადგილისა და მდივნის დიდწილად ეთნიკური სომხების მიერ იყო დაკავებული.

შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა სხვა ტენდენციაც. პირები, რომლებიც ირჩეოდნენ თავმჯდომარის, მოადგილისა და მდივნების პოზიციებზე დიდწილად არ იცვლებოდნენ. ეს ტენდენცია მიუთითებს საუბნო კომისიების შიგნით არსებულ ტრადიციულ მიდგომებზე (მართალია პროცესი დემოკრატიული უნდა იყოს) და შედეგად ახალმოსულები/მოსურნეები ხშირად პროცესის მიღმა რჩებიან. ფოკუს ჯგუფების მსვლელობისას ერთერთმა მონაწილეებმა აღნიშნა რომ თავად ის წლების განმავლობაში ინიშნებოდა „პირდაპირი წახალისებით“.

3.4 ეთნიკური სომხების წილი საოლქო საარჩევნო კომისიებში და მათ მიერ დაკავებული პოზიციები



დიაგრამა 6: ეთნიკურად სომხების რაოდენობა საოლქო საარჩევნო კომისიებში

ცესკოს მიერ მოწოდებული მონაცემები ცხადყოფს, რომ 2013 წელს საოლქო კომისიები წალკაში, ასპინძაში, ახალციხესა და ბორჯომში მთლიანად დაკომპლექტებული იყო არა-სომეხი მოსახლეობით. სურათი საგრძნობლად განსხვავდებოდა ახალქალაქისა და ნინოწმინდის შემთხვევებში. ნინოწმინდაში საოლქო კომისიის წევრთა დიდი უმრავლესობა იყო ეთნიკურად სომეხი (11 წევრი 13 დან), ხოლო ახალქალაქი წარმოადგენდა ერთადერთ მუნიციპალიტეტს საოლქო კომისიის დაბალანსებული შემადგენლობით, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის უმეტესობა აქ ეთნიკურად სომეხია.

2014 წელს უმნიშვნელო ცვლილება განხორციელდა ახალციხის მუნიციპალიტეტში. ცესკომ აირჩია ერთი ეთნიკური სომეხი (. 2013 წლის მონაცემების მსგავსად 2014 წელსაც საოლქო კომისიები წალკაში, ასპინძასა და ბორჯომში მთლიანად დაკომპლექტებული იყო არა-სომეხი მოქალაქეებით. 2014 წელს ნინოწმინდის საოლქო კომისიის დიდი უმრავლესობა (11 წევრი) იყო

ეთნიკურად სომეხი და ახალქალაქი ისვე ერთადერთ მუნიციპალიტეტს წარმოადგენდა დაბალანსებული შემადგენლობით (სომხები/ქართველები – 7/6).

ცხრილი #2 აჩვენებს, რომ ეთნიკური სომხები შედიოდნენ საოლქო კომისიების შემადგენლობაში ახალქალაქსა და ნინოწმინდაში ორივე წელს. ახალქალაქში საოლქო კომისიას ხელმძღვანელობდა სომეხი ორივე შემთხვევაში და 3/4 წევრი შვიდიდან დანიშნული იყო ცესკოს მიერ შესაბამისად 2013/2014, სომხები კი წარმოადგენდნენ კომისიის შემადგენლობის უმრავლესობას. 11 წევრიდან 5 ნინოწმინდაში დაინიშნა ცესკოს მიერ ორივე წელს. ახალციხეში ერთადერთი ეთნიკური სომეხი 2014 წელს დანიშნა ცესკომ, მაშინ როდესაც 2013 წელს კომისიაში არ შედიოდა არც ერთი სომეხი წევრი.

ოლქი	2013						2014					
	სულ	სომხები	ცესკოდან	თავმჯდომ	მოადგილ	მდივანი	სულ	სომხები	ცესკოდან	თავმჯდომ	მოადგილ	მდივანი
ახალქალაქი	13	7	4	1	.	.	13	7	4	1	.	.
ახალციხე	13	.	.	.	.	.	13	1	1	.	.	.
ასპინძა	13	.	.	.	.	.	13	.	.	.	.	.
ბორჯომი	13	.	.	.	.	.	13	.	.	.	.	.
ნინოწმინდა	13	11	5	1	.	1	13	11	5	1	.	1
წალკა	13	.	.	.	.	.	13	.	.	.	.	.
სულ	78	18	9	2	0	1	78	19	10	2	0	1

ცხრილი 4: ეთნიკურად სომხების რაოდენობა და დაკავებული პოზიციები საოლქო საარჩევნო კომისიებში 2013-2014

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ორი წლის განმავლობაში შეინიშნებოდა უმნიშვნელო პოზიტიური ცვლილებები სამიზნე საოლქო კომისიებში ეთნიკური სომხების წარმოდგენის კუთხით, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ბნ. კარაპეტ კირაკოსიანის არჩევით 5 წლის განმავლობაში ცესკოს მიერ ახალციხის საოლქო კომისიის წევრად. სხვა ცვლილებები ეთნიკური სომხების წილთან დაკავშირებით არ შეინიშნება.

მიუხედავად იმისა, რომ არჩევა/დანიშვნა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების ცესკოსა და შესაბამისი პოლიტიკური პარტიების მიერ დარეგულირებულია კანონით, რეალობა ცხადყოფს, რომ ეთნიკური სომხების წილი წალკის ახალქალაქისა და ახალციხის საოლქო კომისიებში არ შეესაბამება მუნიციპალიტეტების მთლიანი მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას (შესაბამისად 55%, 94.3%, 36.6% ეთნიკური სომეხი).

აღსანიშნავია ისიც, რომ არც ერთი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი (მათ შორის არც სომეხი) არ არის წარმოდგენილი ცესკოს შემადგენლობაში, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობის 16.24% წარმოადგენს ეთნიკური უმცირესობა.

თავი 4: ეთნიკურად სომხების ელექტორული ქცევა

4.1 სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები

4.1.1 სამიზნე მუნიციპალიტეტები; მონაწილეთა გენდერული და ასაკობრივი შემადგენლობა

კვლევის მეთოდოლოგიიდან და პრიორიტეტებიდან გამომდინარე ყველაზე დიდი რაოდენობა არჩეული იქნა ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებიდან სადაც სომხების ყველაზე დიდი რაოდენობაა თავმოყრილი. ამ ორ მუნიციპალიტეტს მოსდევს ახალციხე, წალკა, ბორჯომი და ასპინძა.



დიაგრამა 7: რესპ. გენდერული შემადგენლობა

გენდერული თვალსაზრისით კვლევა დაბალანსებულია. 341 მონაწილიდან 169 არის ქალი და 171 მამაკაცი, მონაწილეთაგან მხოლოდ ერთმა არ მიუთითა სქესი კითხვარში (იხ. დიაგრამა 7). მე-8 დიაგრამა აჩვენებს სამიზნე მუნიციპალიტეტებში რესპოდენტთა გენდერულ განაწილებას. თუ ახალქალაქში, ახალციხესა და ბორჯომში მამაკაცები არიან უმრავლესობაში 51%, 50.9% და 66.7% შესაბამისად, წალკაში, ნინოწმინდასა და ასპინძაში ქალთა რაოდენობა აღემატება მამაკაცთა რაოდენობას და შეადგენს იმ რესპოდენტების 53.6%, 51%, 66.7%, რომელთაც მიუთითეს სქესი კითხვარში.



დიაგრამა 8: რესპ. გენდერული შემადგენლობა მუნიციპალიტეტების მიხედვით

მეორე ცვლადი რესპოდენტთა შერჩევის პროცესში იყო ასაკი. კვლევაში გამოყოფილია ოთხი ასაკობრივი ჯგუფი, რეგიონის სოციო - ისტორიული მდგომარეობის/ხასიათი შესაბამისად. ასაკობრივ ჯგუფებში გადანაწილებული რესპოდენტების პროცენტული მაჩვენებელი მოცემულია მე-9 დიაგრამაზე.

ქვედა ასაკობრივი ზღვარს წარმოადგენს 18 წელი, რაც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით არის არჩევნებში მონაწილეობისათვის მინიმალური დადგენილი ასაკი. დიაგრამის კომპოზიციაში გათვალისწინებულია 2002 წლის აღწერის მონაცემები ეთნიკური სომხების შესახებ.

4.1.2 ქალაქის/სოფლის მაცხოვრებელთა თანაფარდობა



დიაგრამა 9: ასაკობრივი ჯგუფები

კვლევის ძირითად სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა სოფლის მოსახლეობა, ვინაიდან ექვსი მუნიციპალიტეტიდან მხოლოდ სამს (ახალქალაქი, ნინოწმინდა და ახალციხე) ჰყავს ქალაქებში დასახლებული ეთნიკური სომხების მნიშვნელოვანი რაოდენობა, მაშინ როდესაც დანარჩენ მუნიციპალიტეტებში მათი წილი უმნიშვნელოა.



დიაგრამა 10: რესპონდენტთა დასახლების ტიპი მუნიციპალიტეტების მიხედვით

მთლიანობაში 341 რესპოდენტიდან 126 (37.5%) არის ქალაქებიდან და 210 (62.5%) სოფლებიდან. ეს განაწილება ზუსტად შეესაბამება სამიზნე მუნიციპალიტეტების კომპოზიციას. დიაგრამა 10 წარმოაჩენს კვლევის მონაწილეთა გადანაწილებას დასახლების ტიპის მიხედვით. მონაცემები საკმაოდ თანაბრადაა განაწილებული ახალქალაქის შემთხვევაში, სადაც 50.3% და 49.7% შესაბამისად ცხოვრობს ქალაქსა და სოფლებში. ნინოწმინდაში 16.1% გამოიკითხა ქალაქში და 83.9% სოფელში. ახალციხეში გამოკითხულთა 63.8% ცხოვრობს ქალაქში და 36.2% სოფლებში. შედარებით არათანაბარი გადანაწილება დაფიქსირდა წალკის, ასპინძისა და ბორჯომის შემთხვევებში, სადაც რესპოდენტების 96.4%, 100%, 100% არიან სოფლის მაცხოვრებლები. ეს გამოწვეულია სოფლებში ეთნიკური სომხების კომპაქტური ჩასახლებების არსებობით.

დასახლების ტიპის ფაქტორი კვლევისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვინაიდან ელექტორული ქცევის გათვითცნობიერების დონეზე ამ ფაქტორს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს.

4.1.3 განათლება

როგორც აღინიშნა, მუნიციპალიტეტის, გენდერის, ასაკისა და დასახლების ტიპის გარდა კვლევაში შედარებით იშვიათად კონტროლდებოდა სხვა ცვლადის გავლენა ელექტორულ

ქცევაზე გამონაკლისების გარდა. თუმცა ეს სოციო-დემოგრაფიული ცვლადები დიდად მნიშვნელოვანია სამიზნე მოსახლეობაში ზოგადი სიტუაციის აღსაქმელად.

სხვა ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფებთან შედარებით სომხების განათლების დონე შედარებით მაღალია. გამოკითხულთა მთლიანი რაოდენობიდან 36.6% აღნიშნა, რომ მათ აქვთ უმაღლესი განათლება.

23%-ს აქვს პროფესიული განათლება ხოლო 33.3%-ს სრული საშუალო განათლება. 341 მონაწილედან მხოლოდ 18 (5.3%) არის არასრული საშუალო განათლების მქონე და 6 (1.8%) წერა კითხვის უცოდინარი (იხ. დიაგრამა 11).



დიაგრამა 11: განათლება

კვლევამ აჩვენა საინტერესო ტენდენცია ასაკობრივი ჯგუფებში განათლების დონის თვალსაზრისით. დიაგრამა 12 წარმოაჩენს მონაწილეთა განაწილების დონეს ასაკობრივი კატეგორიისა და განათლების დონის მიხედვით.

- უმაღლესი განათლების მქონეთა ყველაზე დიდი წილი მოდის ახალგაზრდებზე (18–27 ასაკობრივი ჯგუფი). ამ ჯგუფში არ გვხვდება წერა-კითხვის არმცოდნე ადამიანი.
- დაახლოებით იგივე ტენდენცია შეინიშნება საშუალო ასაკის ორივე კატეგორიის წარმომადგენლებში (28–44 და 45–60).



დიაგრამა 12: განათლების დონე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

4.1.4 ენების ცოდნა

ენების ცოდნის დონე შეიძლება ყოფილიყო ერთერთი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს ელექტორულ ქცევას, იმდენად რამდენადაც მაგალითად სახელმწიფო ენის არ ცოდნის გამო

შეიძლება უარი თქვან არჩევნებში მონაწილეობაზე.

რესპოდენტებმა შეაფასეს უნარები სამ ენასთან მიმართებაში; ქართული, სომხური და რუსული. დამატებითი გრაფა იყო მოცემული დამატებითი ენის





ცოდნის მისათითებლად, რომელიც შეივსო ინგლისური და ფრანგული ენებით ძალიან ცოტა შემთხვევებში. ენების ცოდნის ზოგადი დონე წარმოდგენილია მე-13 დიაგრამაზე.

- გამოკითხულთა 86% მა აღნიშნა, რომ სომხური ენა ესმით და საუბრობენ „ძალიან კარგად“ ან „კარგად“. არც ერთ მონაწილეს არ აღუნიშნავს, რომ არ ესმის სომხური ენა და მხოლოდ ერთმა მიუთითა, რომ ვერ საუბრობს ამ ენაზე.
- სამიზნე რეგიონში რუსული არის მეორე ენა, რომელიც მოსახლეობას კარგად ესმის და

დიაგრამა 13: ენების ცოდნის დონე

  რომელზეც კარგად საუბრობენ.
- სახელმწიფო ენის ცოდნის დონე საკმაოდ დაბალია. მოცემული სამი ენიდან ქართული არის ენა, რომლის გაგების უნარიც უმეტესობას არ შესწევს (მხოლოდ 10% საუბრობს ქართულად და 7.9% ესმის).
- მიუხედავად იმისა, რომ კვლევაში გამოიკვეთა პრობლემები ქართული ენის ცოდნასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია პოზიტიური ცვლილებები ახალგაზრდა თაობაში. ეს ტენდენცია ნაჩვენებია მე-14 დიაგრამაზე. იმ რესპოდენტთა რაოდენობა, რომელმაც აღნიშნა, რომ ქართულად საუბრობს „კარგად“ ან „ძალიან კარგად“ ყველაზე მეტია 18–27 ასაკობრივ ჯგუფში.) და უტოლდება 38.2%-ს.

4.1.5 დასაქმება და სფერო

დასაქმებულობა და დაუსაქმებლობა შეიძლება გახდეს ელექტორული ქცევის ერთერთი განმსაზღვრელი. შესაბამისად მნიშვნელოვანი იყო ამ სოციო-დემოგრაფიული ფაქტორის გათვალისწინებაც.





დიაგრამა 15: დასაქმების სფერო



დიაგრამა 16: დასაქმება

ძალიან მნიშვნელოვანი
გარკვეულწილად მნიშვნელოვანი
უმნიშვნელო

გამოკითხულთა მთლიანი რაოდენობიდან 206 რესპოდენტმა მიუთითა დასაქმების სფერო კითხვარში. დიაგრამა 15 აჩვენებს, რომ უმუშევრობის დონე არის 31.4%, რაც 11.1%–ით ნაკლებია დასაქმების დონესთან შედარებით (თვითდასაქმებული და დაქირავებით მომუშავე). მე-16 დიაგრამის მიხედვით თვითდასაქმებულთა უმეტესობა 43.3% დასაქმებულია საოჯახო ბიზნესში. მეორე პოპულარული დასაქმების სფერო არის განათლების სექტორი, 28.5% –იანია წილით. 10.3% აღნიშნა, რომ მუშაობს ადგილობრივ უწყებებში, მაშინ როდესაც მხოლოდ 6.3% არის დაქირავებული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. გამოკითხულთა 11.6% დასაქმებულია სხვა სფეროში. და არ აღემატება 3.3%–ს. სტუდენტებისა და პენსიონერების შესაბამისი წილები შეადგენს 12.1%/10.8%, რაც მთლიანობაში დაბალია უმუშევართა და დასაქმებულთა მაჩვენებლებთან შედარებით.

4.2 ზოგადი დამოკიდებულება არჩევნების მიმართ

4.2.1 ხმის მიცემის მნიშვნელობა და მონაწილეობის მიზეზები

გამოკითხვის შედეგების საფუძველზე ნათელია, რომ გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა არჩევნებში მონაწილეობას მნიშვნელოვნად მიიჩნევს, უფრო კონკრეტულად გამოკითხულთა 54.3% აღნიშნა, რომ მონაწილეობა არის „ძალიან მნიშვნელოვანი“, ხოლო 35.5% თვლის რომ

გარკვეულწილად მნიშვნელოვანია. მონაწილეთა მხოლოდ მეათედს მიაჩნია, რომ მონაწილეობა „არ არის მნიშვნელოვანი“ (დიაგრამა 17).

საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა ასაკობრივი ჯგუფისა და საცხოვრებლის ტიპის ცვლადების მიმართებაში ამ შეკითხვასთან:

- სოფლის მაცხოვრებელნი უფრო სკეპტიკურად არიან განწყობილნი არჩევნებისადმი, ვიდრე ქალაქის მაცხოვრებელნი. სოფლად 12.4% მიიჩნევს, რომ მონაწილეობა არ არის მნიშვნელოვანი, მაშინ როდესაც ქალაქად მათი წილი 7.2% შეადგენს.
- ახალგაზრდები (18–27) მიიჩნევენ, რომ არჩევნებში მონაწილეობა მნიშვნელოვანია (93%).

ყველაზე უფრო სკეპტიკურად განწყობილნი გვხვდებიან 60+ ასაკობრივ კატეგორიაში. ხანშიშესული მოსახლეობის 18.2% მონაწილეობას მნიშვნელოვნად არ მიიჩნევს.

არჩევნებზე ხმის მიცემის მაჩვენებელი დიდწილად მსგავსია 2010 და 2014 წლებში. ცესკო-ს მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სამიზნე რეგიონში არჩევნებში მონაწილეობის უფრო მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა, საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით. გამოკითხვის მიხედვით 341 მონაწილედან 232 აღნიშნა, რომ ისინი ყოველთვის მიდიან არჩევნებზე (69%). 28% მიუთითა, რომ ზოგჯერ მონაწილეობენ, ხოლო 3% არასდროს აძლევს ხმას (დიაგრამა 18).



დიაგრამა 17: არჩევნებში მონაწილეობის მნიშვნელობა - ზოგადად

კითხვარში მოცემული იყო შესაძლო მიზეზები, თუ რატომ მიდიან რესპოდენტები არჩევნებზე საკუთარი ნების გამოსახატად. ამისათვის გამოყენებულია ლიკერტის სკალა (იხ. ცხრილი 5). სკალამ წარმოაჩინა მონაწილეობასთან დაკავშირებული რიგი ურთიერთგამომრიცხავი მიზეზები.

ყველაზე ხშირად დასახლებულ მიზეზებს შორის იყო *“ხმას ვაძლევ, რათა აირჩეს ისინი, ვისაც ვენდობი და მომწონს”* (81.9%), შემდეგ მოდის *“ხმას ყოველთვის ვაძლევ, რადგან ეს ჩემი უფლება და მოვალეობაა“*(80.7%). ამ მიზეზების შესახებ დასახლებული იქნა ფოკუს ჯგუფების მონაწილეების მიერაც *„არჩევნების მნიშვნელოვანია რადგან სწორედ ასე ვწყვეტთ ჩვენს მომავალს“.*

- მონაწილეთა საკმაოდ მაღალმა პროცენტმა აღნიშნა, რომ მათ არჩევანზე გავლენას ახდენს მეგობრების, ოჯახისა და თემის ლიდერის აზრი (12.6%–13.3%). ეს ტენდენცია გამოიკვეთა ჯგუფური ინტერვიუების დროსაც. ერთ- ერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ *„სამოქალაქო საზოგადოება სამიზნე რეგიონში საკმარისად განვითარებული არა არის და არჩევნები ჯერ კიდევ კლანურ სისტემაზეა დაფუძნებული, რაზეც დიდ გავლენას ახდენს ოჯახი, მეგობრები და საზოგადოება.“*

დიაგრამა 18: არჩევნებზე წასვლის სიხშირე

- კიდევ ერთი მიზეზი, რაც ჯგუფური ინტერვიუების დროს წარმოჩინდა არის ის, რომ მონაწილენი მიიჩნევენ, რომ არჩევნებში ხმის მიცემით მოქალაქენი იცავენ საკუთარ ხმებს. *„იმ შემთხვევაშიც კი თუ გამორჩეული კანდიდატი არ გყავს, საჭიროა წახვიდე არჩევნებზე და*

გადახაზო ყველა კანდიდატი, რათა ხელი შეუშალო შენი საარჩევნო ბიულეტენის გამოყენებას სხვის მიერ.“

#	განცხადება	სრულად ვეთანხმები	გარკვეულწილად ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ეარს ვაცხადებ პასუხის გაცემაზე
1	ხმას ყოველთვის ვაძლევ, რადგან ეს ჩემი უფლება და მოვალეობაა	80.7%	13.0%	1.5%	4.8%
2	ხმას ვაძლევ, რათა აირჩეს ისინი, ვისაც ვენდობი და მომწონს	81.9%	13.6%	1.9%	2.6%
3	ხმას ვაძლევ ოჯახის წევრებისა და მეგობრების თხოვნით	13.3%	12.0%	68.7%	6%
4	ხმას ვაძლევ, თემის ლიდერების თხოვნით	12.6%	8.7%	72.3%	6.3%
5	ხმას ვაძლევ, ადგილობრივი პოლიტიკური პარტიების/პარტიების წარმომადგენლების იძულებით	2.9%	8.2%	85.3%	3.7%
6	ხმას ვაძლევ ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით	2.0%	5.7%	88.6%	3.7%
7	ხმას ვაძლევ, რადგან უბრალოდ მსურს შევცვალო მმართველი პარტია/პოლიტიკოსი	17.1%	16.3%	56.3%	10.2%

ცხრილი 5: არჩევნებს წასვლის ფაქტორები

მიუხედავად იმისა, რომ იმ რესპოდენტთა წილი, რომელნიც არჩევნებში ხმას არ აძლევენ საკმაოდ დაბალია, კითხვარი შესაძლებლობას იძლევა აღნიშნულიყო მიზეზები, თუ რატომ არ მონაწილეობდნენ ისინი ან მათ გარშემო მყოფი ადამიანები არჩევნებში (იხ ცხრილი 6).

#	განცხადება	სრულად ვეთანხმები	გარკვეულწილად ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ეარს ვაცხადებ პასუხის გაცემაზე
1	ხმას არ ვაძლევ, რადგან არასოდეს მაქვს არჩევნებში მონაწილეობის მიღების დრო	8.0%	9.4%	77.0%	5.6%
2	ხმას არ ვაძლევ, რადგან ჩემი ხმა არაფერს ცვლის	21.5%	9.0%	65.0%	4.5%
3	ხმას არ ვაძლევ, საქართველოში არჩევნების გაყალბების ზოგადი ტენდენციის გამო	10.0%	13.4%	68.9%	7.7%
4	ხმას არ ვაძლევ, რადგან არც ერთი პოლიტიკოსი და პოლიტიკური პარტია არ შეესაბამება ჩემს ინტერესებს	19.3%	22.2%	51.9%	6.6%
5	ხმას არ ვაძლევ, რადგან ქართული პოლიტიკა არ მაინტერესებს	10.0%	14.8%	67.5%	7.7%

6	ხმას არ ვაძლევ, რადგან არ ვენდობი ადგილობრივ პოლიტიკოსებს	21.3%	14.5%	54.6%	9.7%
7	ხმას არ ვაძლევ სახელმწიფო ენის ცოდნასთან დაკავშირებული პრობლემების გამო (მაგ: ჩემთვის გაურკვეველ ენაზე ბიულეტენების წაკითხვის პრობლემა)	5.8%	5.3%	87.0%	1.9%
8	ხმას არ ვაძლევ ტექნიკური პრობლემების გამო, როგორიცაა ამომრჩეველთა სიაში ჩემი გვარის არარსებობა	3.8%	7.7%	83.7%	4.8%
9	ხმას რა ვაძლევ, რადგან ეთნიკური კუთვნილების ნიშნით დისკრიმინაციის მსხვერპლი ვხდები საარჩევნო პროცედურებში მონაწილეობის მიღების დროს	4.8%	4.3%	80.7%	10.1%
10	ხმას არ ვაძლევ, რადგან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ვარ და გამუდმებით მექმნება ტექნიკურ პრობლემები	5.8%	5.3%	80.7%	8.2%
11	ხმას არ ვაძლევ, რადგან არ ვფლობ ინფორმაციას არჩევნებში მონაწილე პარტიების/პოლიტიკოსების შესახებ	15.5%	11.6%	64.7%	8.2%
12	ხმას არ ვაძლევ, რადგან შეზღუდული უნარების გამო არ შემიძლია საარჩევნო უბანზე მისვლა და უზრუნველყოფილი არ ვარ გადასატანი საარჩევნო ყუთით მომსახურებით	6.8%	3.4%	81.0%	8.8%
13	ხმას არ ვაძლევ, რადგან ჩემი ეთნიკური წარმომავლობის კანდიდატები მონაწილეობას არ იღებენ არჩევნებში	11.9%	6.9%	75.7%	5.4%
14	ხმას არ ვაძლევ, რადგან რელიგია მიკრძალავს	3.9%	1.5%	90.7%	3.9%

ცხრილი 6: არჩევნებზე არ წასვლის მიზეზები

- ყველაზე უფრო ხშირად ნახსენებ მიზეზს წარმოადგენდა იმ პოლიტიკოსის/პოლიტიკური პარტიის არარსებობა, რომელიც მონაწილეთა ინტერესებს შეესაბამება (41.5%)
- ერთ–ერთი მიზეზია თავად საარჩევნო სუბიექტები. 35.8% აღნიშნა, რომ ისინი არ ენდობიან ადგილობრივ პოლიტიკოსებს და შესაბამისად ვერ ხედავენ ხმის მიცემის აზრს. ეს ფაქტორი ასევე წარმოჩინდა ჯგუფური ინტერვიუების პროცესში ნინოწმინდასა და ახალქალაქში. *„პოლიტიკოსები მხოლოდ მაში ჩანან, როდესაც ჩვენი ხმები ესაჭიროებათ, სხვა დროს ისინი არ ზრუნავენ ხალხზე“,* –აღნიშნა ერთ–ერთმა მონაწილემ.
- მოსაზრება, რომ არჩევნები არაფერს ცვლის დაფიქსირდა როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი კვლევის პროცესში. ფოკუს ჯგუფის მონაწილემ აღნიშნა, რომ *„ჩემი ერთი ხმა გავლენას ვერ მოახდენს საბოლოო შედეგზე, ამგვარად მონაწილეობა აზრს მოკლებულია.“*
- არც ერთ მონაწილეს არ დაუსახელებია ტექნიკური პრობლემები ხელისშემშლელ ფაქტორად და ქართული ენის არცოდნა მხოლოდ ცოტასთვის წარმოადგენს დაბრკოლებას. შედეგად შეიძლება აღინიშნოს, რომ ცესკომ საკმაოდ ეფექტიანად იმუშავა სამართლებრივი და ფორმალური ბარიერების აღმოფხვრის თვალსაზრისით, რის გამოც ეთნიკურ უმცირესობებს არჩევანის გაკეთების პროცესში დაბრკოლებები ექმნებოდათ. თუმცა საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობის ეფექტიანობასთან დაკავშირებით გარკვეული შენიშვნები გააჩნდათ ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს, რომელზეც უფრო დეტალურად 4.4 თავში არის საუბარი.
- მონაწილეთა შედარებით მცირე რაოდენობამ აღნიშნა, რომ მათ არ აინტერესებთ ქვეყნის პოლიტიკა, ფოკუს ჯგუფების განმავლობაში ზოგიერთმა მონაწილემ ეს ტენდენცია ახსნა

იმით, რომ სომხეთის პოლიტიკა რამდენიმესთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პოლიტიკა საქართველოში.

4.2.2 არჩევნების მნიშვნელობა

კვლევის ერთ– ერთ მიზანს ასევე წარმოადგენდა სხვადასხვა დონის არჩევნებთან მიმართებაში რესპოდენტების დამოკიდებულების გამოვლენა. ამგვარად ერთ ერთი შეკითხვა მდგომარეობდა შემდეგში: „რომელი დონის არჩევნებს მიიჩნევთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად?“

კვლევის იმ მონაწილეთა რაოდენობა, რომელნიც საპრეზიდენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს მიიჩნევენ უფრო მნიშვნელოვნად თითქმის თანაბარია და უტოლდება 35.9% და 35.1%, მაშინ როდესაც საპარლამენტო არჩევნები რესპოდენტთა 29% არის ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი. ის ფაქტი, რომ 2013 წელს კონსტიტუციაში შესული ცვლილებების შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნები ბევრისათვის მაინც ყველაზე მნიშვნელოვან არჩევნებად რჩება მიუთითებს ინფორმაციული ვაკუუმის არსებობაზე ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მნიშვნელობაზე ყურადღება გამახვილდა ჯგუფური ინტერვიუების პროცესშიც. ძირითად მიზეზად დასახელდა ის, რომ ადგილობრივი პრობლემების მოსაგვარებლად მნიშვნელოვანია აირჩეს შესაბამისი უნარებისა და სურვილის მქონე კანდიდატები. მაშინ როდესაც საპრეზიდენტო და საპარლამენტო დონეზე მოქმედ პოლიტიკოსებამდე რთულია ადგილობრივი პრობლემების მიტანა.

- საინტერესო ფაქტია, რომ ქალაქის მაცხოვრებელთა 10%–ით მეტი მიიჩნევს ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებს ყველაზე მნიშვნელოვნად, სოფლის მაცხოვრებლებთან შედარებით.
- ქალი მონაწილეების რაოდენობა, რომელნიც საპრეზიდენტო არჩევნებს ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, 12%–ით აღემატება მამაკაცთა რაოდენობას, რომელიც მსგავსად ფიქრობს.

4.2.3 არჩევნებთან დაკავშირებული ზოგადი პრიორიტეტები



დიაგრამა 19: არჩევნების მნიშვნელობა

საარჩევნო პრიორიტეტების განმსაზღვრელი ფაქტორების გამოსავლენად კითხვარში მოცემული იყო ნახევრად ღია შეკითხვები სავარაუდო პასუხებით. დამატებითი ფაქტორების არსებობის



შემთხვევაში კითხვარი მათი მითითების საშუალებას იძლეოდა.

პირველი კითხვის შედეგად ირკვევა ფაქტორები, რომელნიც გავლენას ახდენენ პოლიტიკური პარტიისადმი ხმის მიცემაზე. შედეგები ასახული მე-20 დიაგრამაზე.

- მთლიანობაში მონაწილეთა ნახევარმა დაასახელა პარტიის პროგრამა ხმის მიცემის ერთ–ერთ განმაპირობებელ ფაქტორად. მას მოსდევს „პარტიის იდეოლოგია“. ეს პასუხები საკმაოდ რაციონალურია, თუმცა ჯგუფური ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა სხვა ტენდენციები. მონაწილეებს, რომელთაც არჩეული ჰქონდათ „პროგრამა“ და „იდეოლოგია“ მნიშვნელოვან ფაქტორებად ფასილიტატორმა შეკითხვით მიმართა დაესახელებინათ გარკვეული პუნქტები პროგრამიდან ან იდეოლოგიიდან. უმეტესობამ ვერ შეძლო დასახელება. შედეგად მივდივართ დასკვნამდე, რომ „პროგრამისა“ და “იდეოლოგიის“ არჩევას განაპირობებს საზოგადოდ მიღებული ნორმა ელექტორული ქცევისა და პრიორიტეტებისა, რომელიც ეფუძნება პროგრამასა და იდეოლოგიას.

დიაგრამა 20: ფაქტორები რომლებიც განაპირობებს პრიორიტეტებს პოლიტიკურ პარტიებთან მიმართებაში

- ამას გარდა ჯგუფური ინტერვიუების დროს გამოიკვეთა სამი მნიშვნელოვანი ფაქტორი:
  1. წინასაარჩევნო კამპანიები და მოსახლეობასთან პირდაპირი კონტაქტი ზრდის ნდობას;
  2. ადგილობრივ დონეზე არსებული პრობლემების გათვითცნობიერების დონე – ეს უპირატეს პოზიციაში აყენებს პარტიას, ვინაიდან მოსალოდნელია, რომ ის უფრო მეტად იმუშავებს ამ საკითხებზე ვიდრე სხვები;
  3. ეთნიკური უმცირესობების პრობლემებისადმი მიდგომა.
- კიდევ ერთი ფაქტორი, რაც გამოვლინდა ჯგუფური ინტერვიუების პროცესში იყო პოლიტიკური პარტიის ადგილობრივი ლიდერის/წარმომადგენლის ფაქტორი. ადგილობრივი ლიდერის რეპუტაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამიზნე რეგიონში.

„თუ მე ვიცი, რომ წარმომადგენელი დაფასებული ადამიანია ადგილობრივ საზოგადოებაში, ხმას უყოყმანოდ მივცემ მის პოლიტიკურ პარტიას“ – აღნიშნა ერთ–ერთმა რესპოდენტმა.

შედარებით განსხვავებული პრიორიტეტები გამოვლინდა კონკრეტული პოლიტიკოსისათვის მხარდაჭერის შემთხვევაში. ვინაიდან ეს კატეგორია დიდწილად ინდივიდუალისტურია შეკითხვაში ჩადებული იყო განმარტება „როდესაც ირჩევთ გამგებელს, პრეზიდენტს, პარლამენტის წევრს და ადგილობრივი საკრებულოს წევრს“ (იხ. დიაგრამა 21)

- მონაწილეთა ნახევარმა აღნიშნა, რომ კანდიდატის პროგრამა მნიშვნელოვანი ფაქტორია. თუმცა ამ შემთხვევაშიც ვერ მოხდა პროგრამიდან ვერც ერთი პუნქტის დასახელება ჯგუფური ინტერვიუების პროცესში.
- გამოკითხულთა 36.1% მოუთითა, რომ პოლიტიკოსები უნდა ერკვეოდნენ ადგილობრივად არსებულ პრობლემებში.
- ერთმა მესამედმა ხაზი გაუსვა პიროვნული მახასიათებლების მნიშვნელობას, ეს ტენდენცია გამოიკვეთა ფოკუს ჯგუფების დროსაც. „საჭიროა მას პატივს სცემდნენ ადგილობრივ დონეზე“, – აღნიშნა ერთ–ერთმა მონაწილემ.
- სხვა ფაქტორებს ისეთივე გავლენა აქვთ ამ შემთხვევაში, როგორიც პოლიტიკური პარტიის არჩევის შემთხვევაში.
- მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სოფლის მოსახლეობის 43.3% თვლის, რომ ადგილობრივი პრობლემების ცოდნა მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაშინ როდესაც ქალაქში იგივე მაჩვენებელი 23.3% უდრის. პოლიტიკური პროგრამა უფრო მნიშვნელოვანია სოფლის მაცხოვრებელთათვის.
- ახალგაზრდობა ყველაზე მეტად კანდიდატის ეთნიკურობას ანიჭებს უპირატესობას და ოჯახის გავლენა მათ არჩევანზე ყველაზე დიდია.
- გენდერული გადანაწილების კუთხით პასუხები მსგავსია, პოლიტიკოსთა პროგრამების შემთხვევის გარდა. მამაკაცთა 59% მიიჩნევს, რომ პროგრამა მნიშვნელოვანი ფაქტორია, ეს მაჩვენებელი ქალების შემთხვევაში მხოლოდ 44.1% უტოლდება.



დიაგრამა 21: ფაქტორები რომლებიც განაპირობებს პრიორიტეტებს კანდიდატებთან მიმართებაში

გამოკითხულთა 26.6% აღნიშნავს, რომ პოლიტიკოსთა ეთნიკურობა მნიშვნელოვანი ფაქტორია. კითხვარი მოიცავდა შეკითხვას: რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ეთნიკური ნიშანი ხმის მიცემის პროცესში.

რესპოდენტთა დიდი უმრავლესობისათვის ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია (დიაგრამა 22). თუმცა, როდესაც მონაწილეებს ჰკითხეს აირჩევდნენ თუ არა ეთნიკურად ქართველს გამგებლად ან მერად 35.7% დადებითად უპასუხა, 22.8% აღნიშნა, რომ ეთნიკურობას მნიშვნელობა არ აქვს, ხოლო 12.9% მიიჩნევს რომ მათი გამგებელი/მერი არ უნდა იყოს ეთნიკურად ქართველი.

ამ კუთხით უარყოფითი პასუხები უმეტესწილად დაფიქსირდა ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში, შესაბამისად 33% და 35.4%. ეს ტენდენცია გასაკვირი არაა, ვინაიდან მოსახლეობის უმრავლესობას ამ მუნიციპალიტეტებში ეთნიკური სომხები წარმოადგენენ.

სამივე ჯგუფური ინტერვიუს დროს მიმდინარეობდა დებატები ამ ფაქტორის გავლენასთან დაკავშირებით. უმეტესობა მიიჩნევდა, რომ მიზეზი, თუ რატომ არის უკეთესი ეთნიკური სომხის არჩევა არის შედარებით მარტივი მისაწვდომობა და კომუნიკაციის პრობლემების არარსებობა, რაც საბოლოო ჯამში იწვევს პრობლემების უფრო მარტივად გადაჭრას.

ზოგიერთი მონაწილე უფრო შორს წავიდა და აღნიშნა, რომ ერთი კანდიდატიც რომ იყოს სიაში რომლის გვარიც „იან“–ით ბოლოვდება მიიღებს მის ხმას, იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს კანდიდატი მისთვის უცნობია. ამ მონაწილეს სხვა მონაწილეებმა დაუპირისპირეს არგუმენტები საარჩევნო პროგრამების მნიშვნელობაზე და მექანიზმები, რომლითაც მოხდება ამ პიროვნების გაკონტროლება და მონიტორინგი.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ სამიზნე მოსახლეობას ესმის არჩევნების პროგრამების მნიშვნელობა და გამოკვეთილი აქვს პრიორიტეტები, თუმცა ყოველთვის არ ეცნობიან/კითხულობენ ამ პროგრამებს.

გარკვეულწილად ხმის მიცემაზე გავლენას ახდენს ნათესაური და პიროვნული კავშირები. როგორც ჯგუფური ინტერვიუების პროცესში წარმოჩნდა პოლიტიკური პარტიისადმი ხმის მიცემის დროს მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ პარტიის წარმომადგენლები ადგილობრივ დონეზე (ამ ადამიანების რეპუტაცია საზოგადოებაში. სიტყვა „ავტორიტეტი“ (როგორც სხვების მიერ პატივსაცემი პიროვნება, მისი მიღწევების გამო) არაერთხელ აღინიშნა ამასთან დაკავშირებით).

კანდიდატის ეთნიკურობას გავლენა აქვს ხმის მიცემის პროცესზე. საინტერესოა, რომ ეს ტენდენცია თავს იჩენს უმეტესად ახალგაზრდა თაობაში.



დიაგრამა 22: რამდენად მნიშვნელოვანი კანდიდატის ეთნიკურობა

4.2.4 მმართველი პარტიისთვის ხმის მიცემა

მიჩნეულია, რომ ეთნიკური უმცირესობები საქართველოში ხმას აძლევენ მმართველ პოლიტიკურ პარტიას/პოლიტიკოსს. მიუხედავად იმისა, რომ კვლევა ამ საკითხთან დაკავშირებით არ



დიაგრამა 23: "ერთი და იგივე" და სამთვარობო პარტიისადმი ხმის მიცემის სიხშირე

ჩატარებულა, ექსპერტთა დაკვირვებები ცხადყოფს ამ ტენდენციის არსებობას. თუმცა ბოლო ორმა არჩევნებმა აჩვენა, რომ ეს ჰიპოთეზა მცდარი შეიძლება იყოს.

ასევე ნაწილობრივ დადასტურებული ჰიპოთეზა არის ის, რომ ეთნიკური უმცირესობები მხარს უჭერენ ერთსა და იმავე პოლიტიკურ ელიტას.[3]

ამ კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა აღნიშნული საკითხის დაფარვა. რესპოდენტებმა უპასუხეს შეკითხვას: „რამდენად ხშირად აძლევთ ხმას მმართველ პარტიას/პოლიტიკოსს?“ და „რამდენად ხშირად აძლევთ ხმას ერთსა და იმავე პოლიტიკურ პარტიას/პოლიტიკოსს?“

23-ე დიაგრამაზე მოცემულია შედეგები, რომელიც ცხადყოფს, რომ „ერთსა და იმავე პოლიტიკურ პარტიას/პოლიტიკოსს“ უმეტესობა ხმას მხოლოდ **ზოგჯერ** აძლევს, მაშინ როდესაც ხმის **არ მიცემა** უფრო ნაკლებად მიღებული ტენდენციაა და ახასიათებს მხოლოდ 6.1%. შედეგები არის მსგავსი როდესაც საქმე ეხება მმართველ პოლიტიკურ პარტიას/პოლიტიკოსს. რესპონდენტების უმეტესობამ (43%) აღნიშნა, რომ ისინი ზოგჯერ უჭერენ მხარს მმართველ პარტიას/პოლიტიკოსს, ხოლო მათი წილი ვინც მმართველ ძალას არასდროს აძლევს ხმას 4.8% შეადგენს.

- პირები, რომელნიც ყოველთვის მმართველ პარტიას უჭერენ მხარს 11.3% ით მეტია იმ პირთა რაოდენობაზე რომელნიც ყოველთვის ერთსა და იმავე პარტიას უჭერენ მხარს.
- იმ რესპონდენტთა წილი რომელიც პერიოდულად უჭერს მხარს მმართველ პარტიას/პოლიტიკოსს 12.8%–ით ნაკლებია მათ წილზე, ვინც ერთსა და იმავე პარტიას აძლევს ხმას.
- იმ მონაწილეთა რაოდენობა, რომელნიც არასდროს უჭერს მხარს ერთსა და იმავე პარტიას 1.3%–ით მაღალია იმ მონაწილეთა რაოდენობაზე, რომელიც არასოდეს უჭერს მხარს მმართველ ძალას.

შედეგი ამტკიცებს ზემოთ მოყვანილ ჰიპოთეზას ეთნიკურ სომხებთან მიმართებაში. ის ფაქტი, რომ რესპონდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილმა უარყო ამგვარი დაშვება (მხოლოდ 16-მა 341-დან მმართველი ძალის შემთხვევაში და 20-მა ერთი და იმავე პარტიის შემთხვევაში) ადასტურებს, რომ ეს მიღებული პრაქტიკაა. ამასთანავე მონაწილეთა საკმაოდ მაღალმა მაჩვენებელმა თავი

[3] მაგალითად პარლამენტის წევრ ენზელ მკოიანის შემთხვევა, რომელიც 4 ჯერ იქნა ნინოწმინდიდან არჩეული მაჟორიტარად საქართველოს პარლამენტში (1999, 2004, 2008, 2012).

შეიკავა ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემისაგან (24.5% მმართველი ძალის შემთხვევაში და 21.7% ერთი და იმავე პოლიტ. პარტიის/პოლიტიკოსის შემთხვევაში).

- ახალგაზრდებს (18–27) ნაკლებად ახასიათებთ მმართველი პარტიისათვის ხმის მიცემა, სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით (დადებითი პასუხი შეკითხვაზე გასცა 17% ახალგაზრდებში, 27% 28–44 კატეგორიის წარმომადგენლებში, 32% 45–59 კატეგორიაში, 36% 60+ კატეგორიაში).



ჯგუფური ინტერვიუს მონაწილეებმა (ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა) დაადასტურეს ამ ტენდენციის არსებობა. როდესაც მათ ჰკითხეს მიზეზები 2 სავარაუდო პასუხი დასახელდა:

1. სომხებს ჰყავთ მნიშვნელოვანი დიასპორა საზღვარგარეთ და თემის ლიდერები მმართველ ძალებთან თანამშრომლობენ სტატუს-კვოს (სტაბილურობის) შესანარჩუნებლად. ამგვარად, თემების მკაცრად იერარქიული სტრუქტურის გათვალისწინებით, მოსახლეობა ხმას ძირითადად მმართველ ძალას აძლევს. ზოგიერთმა მონაწილემ ამ არგუმენტის საწინააღმდეგოდ, მაგალითად მოიყვანა ის რომ სომხებმა მაგალითად საფრანგეთში სარკოზისა და აშშ–ში ობამას წინააღმდეგ მისცემს ხმა, უმეტესწილად.
2. მეორე ახსნა უკავშირდება უშუალოდ საქართველოში მცხოვრებ სომხებს. ის პოლიტიკური ძალები/ელიტები, რომელნიც სომხურ თემებში ავტორიტეტით სარგებლობენ უმეტესად მმართველ გუნდთან ასოცირდებიან და ხალხი ხმას აძლევს იმ პარტიებს, რომელთაც ეს პიროვნებები წარმოადგენენ. როდესაც მმართველი ძალა იცვლება, ადგილობრივი ელიტები ხდებიან ახალი ძალების ერთგულნი და შესაბამისად ხალხიც ახალ მმართველ ძალას უჭერს მხარს. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში.[4]

3. რომ დავასკვნათ ბევრი მცდელობის მიუხედავად რომ რეგიონში დაარყებულიყო სამოქალაქო საზოგადოება, თემის მაინც ორგანიზებულია ნათესაობის, კლანის და ოჯახის პრინციპებზე, რომლებიც დიდწილად განსაზღვრავს სომხების ელექტორულ ქცევას. თუმცა ცვლის ტენდენციაც ძირითადად ახალგაზრდა თაობაში, რომლებზეც ნაკლებად მოქმედებს ტრადიციული ამომრჩევლის ღირებულებები.

ზემოთ მოყვანილი მტკიცებულების მიუხედავად არასასურველი პოლიტიკური პარტიისათვის/პოლიტიკოსისთვის ხმის მიცემის ტენდენცია მმართველი ძალის თავიდან მოშორების მიზნით (loss aversion) ეთნიკურ სომხებში საკმაოდ მკვეთრადაა გამოხატული (35.2%). (იხ დიაგრამა 24). თუმცა ის ფაქტი, რომ რესპოდენტთა უმეტესობამ თავი აარიდა ამ საკითხზე აზრის დაფიქსირებას საკითხის დელიკატურობაზე მიუთითებს. ეს ტენდენცია განსაკუთრებულად თავს იჩენს ბორჯომისა და ნინოწმინდის შემთხვევებში (60% და 51.6% შესაბამისად).

დიაგრამა 24: მისცემდით თუ არა ხმას არასასურველ პოლიტიკურ პარტიას/პოლიტიკოსს, რათა დამარცხდეს მმართველი ელიტა?

[4] ასე მოხდა 2014 წლის არჩევნებზე, როდესაც ყოფილი ერთიანი ... ახალქალაქიდან და ნინოწმინდიდან გადავიდნენ მმართველი პოლ... რიგებში

4.2.5 ქალი კანდიდატებისათვის ხმის მიცემა

კვლევაში აქცენტი გაკეთდა ქალების ჩართულობაზე პოლიტიკურ პროცესებში. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ არც ადგილობრივ და არც ეროვნულ დონეზე ქალები არ არიან წარმოდგენილნი ხელისუფლებაში. ნინოწმინდის საკრებულოში მხოლოდ ერთი ქალი წევრია, ხოლო ადმინისტრაციაში ქალები ძირითადად მდივნის პოზიციებზე არიან დასაქმებულები. ქალები არ არიან წარმოდგენილნი ახალქალაქის, წალკის, ბორჯომის, ასპინძის მუნიციპალიტეტების საკრებულოებში. ქალაქ ახალციხის საკრებულოში მხოლოდ ერთი ქალია წარმოდგენილი, ხოლო ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2 ეთნიკურად სომეხი ქალი.

გამოკითხვამ ცხადყო, რომ რესპოდენტთა ორი მესამედი ხმას მისცემდა ქალ კანდიდატს, 12.9% უარყოფითად უპასუხა შეკითხვას და 21.6% თავი შეიკავა პასუხის გაცემისაგან. ეს შედეგები რეალობისაგან მეტად განსხვავებულია (იხ. დიაგრამა 25).



დიაგრამა 26: ქალი კანდიდატისთვის ხმის მიცემა მუნიციპალიტეტების მიხედვით



დიაგრამა 25: მისცემდით ხმას ქალ

- გენდერის ცვლადთან მიმართებაში ამ შეკითხვის პასუხების განხილვა განსხვავებულ შედეგებს არ იძლევა. ქალ რესპოდენტთა უმნიშვნელოდ მეტი რაოდენობა მისცემდა ხმას ქალ კანდიდატს მამაკაცებთან შედარებით (62.7% კაცები და 68.3% ქალები).
- გასაკვირია, რომ წალკასა და ახალქალაქში, სადაც ქალები წარმოდგენილნი არ არიან საკრებულოებში, დაფიქსირდა ქალი კანდიდატებისადმი მხარდაჭერის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, ხოლო ნინოწმინდაში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (იხ. დიაგრამა 26)
- მხარდაჭერის მაჩვენებელი შედარებით უფრო დაბალია სოფლებში ქალაქებთან შედარებით.

ჯგუფური ინტერვიუების მონაწილეებმა გამოხატეს პოზიტიური დამოკიდებულება ქალი კანდიდატების არჩევასთან დაკავშირებით. ზოგიერთმა აღნიშნა, რომ ქალბატონს უნდა ჰქონდეს *„კარგი რეპუტაცია, რომ მან სათანადოდ წარმოადგინოს თავისი მხარდამჭერები ზედა საფეხურებზე.“*

შედეგები ახალ შესაძლებლობებს აძლევს სამიზნე რეგიონში მცხოვრებ ქალებს. თუმცა შეკითხვაზე მიიღებენ თუ არა მონაწილეობას მომდევნო არჩევნებში ქალთა უმეტესობამ პასუხის გაცემისას ხაზი გაუსვა წინასაარჩევნო კამპანიისა და პოლიტიკური გარემოს სტრესულ ხასიათს. *„ამასთანავე იყო ქალი პოლიტიკოსი გულისხმობს ორმაგ ზეწოლას საზოგადოების მხრიდან იმის გამო რომ ქალი ხარ“* აღნიშნა ერთ -ერთმა ქალმა სამოქალაქო საზოგადოებიდან

4.3 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ანალიზი

4.3.1 მნიშვნელობა და მონაწილეობა

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული მიზნობრივი ჯგუფის ერთი მესამედი თვლის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე საპრეზიდენტო და საპარლამენტო.

დიდმა უმრავლესობამ (72.4%) უპასუხა, რომ მონაწილეობა არის მნიშვნელოვანი. მხოლოდ 9.2 %-მა პროცენტმა აღნიშნა რომ არ არის მნიშვნელოვანი (იხილეთ ცხრილი 27)

- ახალქალაქში გამოკითხულთა უმეტესობა (52.1 %) მიიჩნევს, რომ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღეს უბანზე მისვლა იყო ძალიან მნიშვნელოვანი, რასაც მოჰყვება ახალციხე 40.4 %-ით. რესპოდენტთა უმრავლესობა ბორჯომში, ნინოწმინდასა და წალკაში თვლის, რომ მონაწილეობა გარკვეულწილად მნიშვნელოვანია. გამოკითხულთა ნაწილი, რომელიც ფიქრობს, რომ მონაწილეობა არ იყო მნიშვნელოვანი შედარებით მცირეა ყველა ექვსივე მუნიციპალიტეტში, განსხვავებით იმათგან ვინც კითხვას სხვაგვარად უპასუხა.
- მონაცემებიდან ირკვევა რომ ქალების ნაწილი ვინც დადებითად უპასუხა კითხვას არის 9.6 %-ით ნაკლები მამაკაცებთან.
- შედეგები აჩვენებენ, რომ უფრო მეტად სოფლების მოსახლეობა თვლის მონაწილეობას მნიშვნელოვანს, ვიდრე ქალაქის მაცხოვრებლები, თუმცა განსხვავება მცირეა და მხოლოდ 4.2 %-ს შეადგენს.
- შედეგებიდან ირკვევა რომ მონაწილეების რაოდენობა ვისაც არ აქვს ჩამოყალიბებული აზრი ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებით ყველაზე მაღალია ახალგაზრდებს შორის (17-27).
- ამავე დროს ახალგაზრდა მოსახლეობას ნაკლებად აინტერესებს



დიაგრამა 27: 2014 წლის არჩევნებზე მონაწილეობა

თვითმმართველობის არჩევნები სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით. უმრავლესობის ფონზე არიან ისეთი მონაწილეებიც, ვინც ფიქრობენ რომ მონაწილეობა სრულიად უმნიშვნელოა.

კვლევამ გვაჩვენა რომ გამოკითხულთა დიდმა უმრავლესობამ მიიღო მონაწილეობა 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებში. 80.4%-მა დადებითად უპასუხა შეკითხვას მონაწილეობაზე და 14.1 %-მა უარყოფითად. მხოლოდ 5.6 %-მა შეიკავა თავი პასუხის გაცემისაგან.

მათ, ვინც არ მონაწილეობდა 2014 წლის არჩევნებში ჰქონდათ საშუალება რომ მოენიშნათ ის ფაქტორები რამაც განაპირობა მათი არჩევნებზე არ წასვლა. ეს კითხვა მოიცავდა 12 სავარაუდო პასუხს (იხილეთ ცხრილი 28).

არჩვენებში მონაწილეობაზე უარის თქმას უმეტეს შემთხვევაში განაპირობებს სკეპტიციზმის ზოგადი ტენდენცია (როგორც ეს ჩანს მე-6-ე ცხრილიდან). მონაწილეების მიერ დასახელებული



*დიაგრამა 28: ფაქტორები, რომლებმაც განაპირობა არჩევნებში მონაწილეობის **არ** მიღება*

მიზეზების უმეტესობა იყო *„ჩემი ერთი ხმა ვერაფერს შეცვლიდა“.*

ანალოგიურად, არჩევნებთან დაკავშირებულ ზოგად სიტუაციაზე რესპოდენტების მესამედზე მეტმა აღნიშნა, რომ ისინი არ ენდობიან ადგილობრივ პოლიტიკოსებს, რაც ხმის მიცემისაგან თავის შეკავების ერთ-ერთი მიზეზია.

არჩევნებზე არ მისვლის მიზეზად 36.6 %-მა დაასახელა დროის უქონლობა, რაც საგრძნობლად მაღალია ზოგადად არჩევნებისადმი დამოკიდებულებაზე. 341-დან მხოლოდ 4-მა გამოკითხულმა (1.2 %) ვერ მისცა ხმა ტექნიკური პრობლემების გამო, რომელიც შეემთხვათ არჩევნების დღეს.

აქედან:

- 1 ამომრჩეველს ჩამორთმეული ჰქონდა საქართველოს მოქალაქეობა (ახალქალაქში)
- 1-მა ვერ შეძლო ინსტრუქციებს გასცნობოდა (ნინოწმინდაში)
- საარჩევნო უბანზე არმისული სოფლის მოსახლეობის დაახლოებით 72 %-ი ფიქრობს, რომ „ერთი ხმა ვერაფერს შეცვლის“.
- უბანზე არმისული ახალგაზრდა თაობა (18-27) მიზეზად ასახელებდა დროის უქონლობას, თუმცა აღსანიშნავია, რომ მათ შორის მათი სკეპტიციზმი მნიშვნელოვნად დაბალია სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით.
- ქალების თითქმის ორმაგი რაოდენობა უფრო მეტად იმედგაცრუებულია, რადგან არჩევნები რეალურად არაფერს ცვლის.

კვლევა კონცენტრირდებოდა ასევე იმ ფაქტორებზეც რაც დასახელდა არჩვენებზე წასვლის მიზეზად და რამაც შეიძლება მოტივაცია შეჰმატოს სხვა იმედგაცრუებულ ამომრჩეველს, რომ. მათ მიეცათ საშუალება აერჩიათ სხვადასხვა ვარიანტები და ასევე შესაძლო დამატებითი ფაქტორებით (იხილეთ ცხრილი 29).

არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლების აბსოლუტურმა უმრავლესობამ (80.2%) დააფიქსირა, რომ ხმის მიცემა არის მათი სამოქალაქო ვალი და უფლება. მეორე ყველაზე პოპულარული მიზეზი არის ის, რომ კენჭს იყრიდა მათი ფავორიტი კანდიდატი ან პოლიტიკური პარტია.

2014 წლის ამომრჩევლების 12%-მა განაცხადა, რომ მეგობრებმა და ოჯახის წევრებმა ითამაშეს დიდი როლი მათ გადაწყვეტილებაში. თუმცა ფოკუს ჯგუფების შეხვედრებზე ვერ მოხერხდა დამატებითი დეტალების გარკვევა ამ ფაქტორებთან დაკავშირებით.

- ასპინძის რესპოდენტებიდან, რომლებიც მხოლოდ ერთი ეთნიკურად სომხური სოფლიდან (დამალი) არიან, ჰქონდათ სხვანაირი მიდგომა ამ ფაქტორებისადმი. 4-დან 3 ამომრჩეველმა აღნიშნა, რომ ადგილობრივ თემის ლიდერმა იქონია გავლენა მათ გადაწყვეტილებაზე რომ წასულიყვნენ არჩვენებზე.
- შედარებით მაღალი წილია ახალგაზრდების (18-27) და უფროსების (60+) თაობებში ვინც აღნიშნა რომ მეგობრებმა და ოჯახის წევრებმა „შთააგონეს“ რომ მიეღოთ არჩევნებში



დიაგრამა 29: ფაქტორები, რომლებმაც განაპირობა არჩვენებში მონაწილეობის მიღება

მონაწილეობა.

4.3.2 შეფასება და დარღვევები

რესპოდენტებმა მოკლედ შეაფასეს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების სამართლიანობის ხარისხი. ასარჩევად ჰქონდათ 4 სავარაუდო პასუხი (იხილეთ ცხრილი 30).



დიაგრამა 30; 2014 წლის არჩევნების შეფასება

აბსოლუტურმა უმრავლესობამ შეაფასა არჩევნები როგორც თავისუფალი. დაახლოებით 30%- ფიქრობს რომ ის იყო „თავისუფალი და სამართლიანი“, 41%-მა კი „თავისუფალი, მცირე ხარვეზებით“. ეს პრობლემები შემდგომში გაანალიზებულია საუბნო საარჩევნო კომისიის დარღვევებთან მიმართებაშიც.

31-ე დიაგრამაში განხილულია თითოეული მუნიციპალიტეტის პერსპექტივა. ის აფიქსირებს, რომ ექვსიდან ხუთ მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა 41% აფასებს მას, როგორც „თავისუფალს, მცირე ხარვეზებით“ და „თავისუფალს ან თავისუფალს მცირე გადაცდომებით“. ასპინძა იყო ერთადერთი გამონაკლისი, სადაც რესპოდენტების შესაბამისი პროცენტი შეადგენდა 50%-ს. ბორჯომის და წალკის მუნიციპალიტეტებს ყავდათ რესპოდენტების უდიდესი რაოდენობა (60% და 66.7% შესაბამისად) ვინც აფასებდა არჩევნებს „თავის უფალ და სამართლიანად“. დარჩენილ 4 მუნიციპალიტეტში რესპოდენტების უმრავლესობამ შეაფასა არჩევნები როგორც „თავისუფალ, მცირე გადაცდომებით“, შესაბამისად 47.4%, 33.3%, 51.6%, და 35.9%.



დიაგრამა 31: 2014 წლის არჩევნების შეფასება მუნიციპალიტეტების მიხედვით

- სოფლის მოსახლეობის წილი ვინც თვლიდა, რომ „გაყალბდა არჩევნები იყო სამჯერ მეტი ქალაქის მოსახლეობაზე ვინც იგივენაირად ფიქრობდა (5.9% 1.6%).

სამი ფოკუს ჯგუფის დისკუსიებისას რამდენჯერმე აღინიშნა, რომ 2014 წლის არჩევნები იყო ყველაზე დემოკრატიული არჩევნები რაც კი ოდესმე ჩატარებულა ამ რეგიონებში. *„ნებისმიერ ძველ არჩევნებთან შედარებით ეს იყო ყველაზე დემოკრატიული არჩევნები ჩვენს რეგიონში. ყველას ჰქონდა შანსი მიეღო გადაწყვეტილება დამოუკიდებლად და ძალდაუტანებლად“.*

თუმცაღა ზოგიერთი ამტკიცებდა, რომ აგიტაცია ქმნიდა დაძაბულ ატმოსფეროს საარჩევნო უბანთან. მიუხედავად ამისა არ ყოფილა მნიშვნელოვანი გადაცდომები, გარდა საარჩევნო უბნის წევრების ტექნიკური ხარვეზებისა.

კვლევამ ასევე სთხოვა რესპოდენტებს, რომ შეეფასებინათ 5 ტიპიური დარღვევა, რაც შენიშნეს და შეედარებინათ ისინი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის. ფოკუს ჯგუფების შეხვედრების დისკუსიებისას გამოთქმული აზრის „ყველაზე დემოკრატიულ არჩევნებთან დაკავშირებით“, საპირისპიროდ დაფიქსირდა ოდნავ განსხვავებული ვითარება: ამომრჩეველთა უდრო დიდი ნაწილი მიიჩნევდა, რომ 2014 წლის არჩევნებისას დაფიქსირებული ხარვეზები იყო შედარებით მეტი ვიდრე 2012 წლის არჩევნებზე, თუმცა უმნიშვნელოდ. შედეგები მოცემულია მე-7 ცხრილში.

#	დარღვევის ტიპი	არჩევნები	ვეთანხმები	ნეიტრალური	არ ვეთანხმები	უარი პასუხზე
1	აგიტატორები ეუბნებოდნენ საარჩევნო უბანზე რომელი ნომერი შემოეხაზათ	2014	9.3%	19.6%	57.5%	13.6%
		2012	7.7%	15.8%	61.2%	15.3%
2	ხმის მიცემის მიზნით ხდება დაშინება/შანტაჟი	2014	5.2%	7.1%	76.2%	11.4%
		2012	3.6%	9.6%	76.6%	10.2%
3	პოლიტიკური პარტია ადგილზე ატარებს აგიტაციას	2014	11.1%	16.3%	56.3%	16.3%
		2012	11.9%	13.9%	56.7%	17.5%
4	კომისიის წევრებმა უთხრეს თუ რომელი ნომერი შემოეხაზა	2014	15.7%	8.6%	65.2%	10.5%
		2012	14.8%	10.7%	62.8%	11.7%
5	რელიგიური ლიდერები იყვნენ ჩართულნი აგიტაციაში	2014	5.2%	5.2%	76.2%	13.3%
		2012	4.1%	5.7%	75.8%	14.4%

ცხრილი 7: დარღვევების ტიპები 2014-2012

- აუცილებელია აღინიშნოს, რომ რესპოდენტების ოდნავ მაღალი წილი ვინც ფიქრობს, რომ 2014 წელს უფრო მეტი დარღვევა შენიშნა ცხოვრობენ ძირითადად ახალციხეში და ნაწილი ახალქალაქში. ისეთი დარღვევები როგორიცაა დაშინება, აგიტაცია უბანთან და უბნის წევრების მიერ შემოსახაზი ნომრების კარნახი შეინიშნებოდა ამ მუნიციპალიტეტებში, მაშინ როდესაც ნინოწმინდაში დაფიქსირდა სრულიად საპირისპირო ვითარება.
- ძალიან დიდი განსხვავებაა რესპოდენტების რაოდენობაში ვინც აღნიშნავდა დარღვევებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით - სოფლის/ქალაქის მოსახლეობა. ქალაქში მოსახლე რესპოდენტების რაოდენობა ვინც აღნიშნა დარღვევები, სამჯერ აღემატება (მე-4 და მე-3

დარღვევების ტიპები) სოფელში მოსახლეებს, რაც პროპორციული რაოდენობით თითქმის ორჯერ მეტია (12.7% 22.9%-ის წინააღმდეგ).

აგიტაციები აღნიშნეს ასევე ფოკუს ჯგუფის წევრებმაც. *„შარშან ვიყავი დამკვირვებელი და დავინახე როგორ მოყავდა ერთ-ერთ ადამიანს ამომრჩევლები მანქანით და უტარებდა ინსტრუქტაჟს თუ ვისთვის უნდა მიეცათ ხმა მაგრამ ეს ხდებოდა სკოლის ღობის უკან და მე არ შემეძლო ჩივილი“.* სხვა მონაწილეებმაც დაადასტურეს საარჩევნო უბნებთან მსგავსი შემთხვევები.

4.3.3 ამომრჩეველთა სიები

კვლევა ცდილობდა გამოევლინა პრობლემები, რომლებსაც აწყდებოდნენ ეთნიკურად სომხები საარჩევნო უბნებზე კედლებზე ღიად გამოკიდულ ამომრჩეველთა სიაში საკუთარი თავის პოვნისას. რესპოდენტებს დავუსვით კითხვა: *შესძელით თუ არა საკუთარი თავის გადამოწმება ამომრჩეველთა სიებში არჩევნების დღემდე?*



დიაგრამა 32: საარჩევნო სიებზე წვდომა

32-ე დიაგრამა წარმოაჩენს თუ რამდენად ჰქონდათ შესაძლებლობა გადაემოწმებინათ საკუთარი სახელები ამომრჩეველთა სიებში მიზნობრივ მუნიპალიტეტებში. გამოკითხულთა უმრავლესობამ ყველა მუნიციპალიტეტიდან, გარდა ასპინძისა, აღნიშნა, რომ მათ მოახერხეს სახელის გადამოწმება ონლაინ ან უშუალოდ საარჩევნო უბანში. ამომრჩევლების სრული რაოდენობა ვისაც შეექმნა ტექნიკური ან ენის პრობლემა სიებში სახელების შემოწმებისას არის შედარებით მცირე. ბორჯომში, ასპინძაში და წალკაში საერთოდ არ ფიქსირდება მსგავსი შემთხვევები, ხოლო ახალციხეში 7.3%, ნინოწმინდაში 8.4% და ახალქალაქში 5.6% გამოთქვა უკმაყოფილება ტექნიკურ/ენის პრობლემებზე სიების შემოწმებისას.

- პასუხებიდან ჩანს, რომ ყველა ასაკობრივ კატეგორიაში ამომრჩევლებმა გადაამოწმეს საკუთარი სახელები ამომრჩეველთა სიაში.

4.3.4 პოლიტიკურ სუბიექტებზე ინფომრაციის დონე და წვდომა

ელექტორული ქცევის მნიშვნელოვანი ნაწილის წარმოადგენს ის, თუ რამდენად გააჩნიათ ინფორმაცია ამომრჩევლებს საარჩევნო სუბიექტებზე. შესაბამისად, კითხვარის ფარგლებში რესპონდენტებმა უპასუხეს კითხვას: იცნობდით თუ არა ყველა პოლიტიკურ პარტია/პოლიტიკოსს, რომელიც 2014 წლის არჩევნებში იღებდა მონაწილეობას?



დიაგრამა 33: პოლიტიკური პარტიების/ პროგრამების ცნობადობა 2014 წლის არჩევნებზე

33-ე დიაგრამა წარმოაჩენს, თუ რამდენად ინფორმირებულები იყენებენ რესპონდენტები 2014 წლის არჩევნებში პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკოსების შესახებ. მონაცემების მიხედვით იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებმაც იცოდნენ პოლიტიკური სუბიექტების შესახებ, გაცილებით ნაკლებია (ყველა მუნიციპალიტეტიდან) მათზე ვისაც კი თუნდაც რაიმე ინფორმაცია გააჩნდა.

- ამასთან 60+ ასაკობრივ კატეგორიაში საკმაოდ დიდია (33.3%) იმ ადამიანების რაოდენობა, რომელთაც საერთოდ არ ჰქონდათ ინფორმაცია პოლიტიკური პარტიების/კანდიდატების შესახებ.
- ქალები უფრო ნაკლებად ინფორმირებულები იყვნენ ამ მიმართულებით (8.4%).
- სოფლის მაცხოვრებელსაც უფრო ნაკლები ინფორმაცია გააჩნდათ საარჩევნო სუბიექტების შესახებ ვიდრე ქალაქის მცხოვრებლებს.

უფრო მეტიც, კვლევის ფარგლებში რესპონდენტებმა უპასუხეს კითხვას თუ რამდენად ინფორმირებულები იყვნენ კანდიდატების/პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამების შესახებ 2014 წლის არჩვენებში.

დიაგრამის მიხედვით მათი რაოდენობა, ვისაც საერთოდ არ ჰქონდათ ინფორმაცია პროგრამების შესახებ ყველა მუნიციპალიტეტში არის გაცილებით ნაკლები მათზე, ვისაც რაიმე სახის ინფორმაცია გააჩნდა. პოლიტიკურ პარტიებთან და პოლიტიკოსებთან შედარებით, აქ თითქმის ორჯერ ნაკლები ადამიანია ინფორმირებული.

- მონაცემების მიხედვით 60+ ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე მეტი ადამიანი ასახელებს, რომ არ აქვთ ინფორმაცია საარჩევნო პროგრამების შესახებ.

ამ საინტერესო მონაცემების მიუხედავად, აუცილებელია აღინიშნოს, რომ სიტუაცია შეიძლება ოდნავ განსხვავებულია როგორც უკვე აღინიშნა ფოკუს ჯგუფების დროს მათ ვინც ახსენეს, რომ იცოდნენ საარჩევნო პროგრამების შესახებ ჩაუტარდათ ტესტი - უმეტესობა მათგანმა ვერ შეძლო დაესახელებინათ თუნდაც ერთი საკითხი მათ მიერ 2014 წელს არჩევნებში მხარდაჭერილი პოლიტიკური პარტიის პროგრამიდან.

4.3.5 პოლიტიკისადმი ინტერესი და პოლიტიკური პარტიების/პოლიტიკოსების ცნობადობა

რესპოდენტებმა პასუხი გასცეს შეკითხვას პოლიტიკურ მოვლენებში ჩართულობის დონესთან დაკავშირებით. მთლიანობაში სიტუაცია უარყოფითი ტენდენციებით ხასიათდება. სამიზნე მოსახლეობის 42% არ გამოხატა ინტერესი პოლიტიკისადმი. მხოლოდ ერთი მესამედი აღმოჩნდა პოლიტიკური მოვლენებით დაინტერესებული (დიაგრამა 34).



დიაგრამა 34: დაინტერესება პოლიტიკით

პასუხების გადანაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით განსხვავებულია. მონაცემები ცხადყოფს, რომ იმ რესპოდენტთა ყველაზე დიდი რაოდენობა, რომელიც პოლიტიკურ მოვლენებს თვალყურს ადევნებს ბორჯომში გვხვდება (75%). ახალციხეში იმ მოქალაქეთა რაოდენობა, რომელნიც ახალი ამბებით ინტერესდებიან თანაბარია მათი რაოდენობის, რომელიც პოლიტიკური მოვლენებით არ ინტერესდება და შეადგენს 36.5%. ასპინძაში რესპოდენტთა ნახევარმა გამოხატა პოლიტიკური მოვლენებისადმი ინდიფერენტულობა, ნინოწმინდაში მათი პროცენტული მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია და 61% უტოლდება. წალკასა და ახალქალაქში მოქალაქეთა უმეტესობამ ახალი ამბებისადმი ინტერესი გამოავლინა 38% და 46.4%. მათი წილი, ვინც პოზიციის დაფიქსირება არ ისურვა ყველაზე მაღალია ასპინძაში (33.3%). მას მოსდევს ახალქალაქი (29.9%), ახალციხე (26.9%), წალკა (17.9%) და ნინოწმინდა (17.4%).

- მონაცემები ცხადყოფს, რომ პოლიტიკური მოვლენები სამიზნე რეგიონებში ნაკლებად საინტერესოა მოსახლეობის უმეტესობისათვის, როგორც სოფლებში ისე ქალაქებში.
- კვლევის შედეგების მიხედვით გენდერული ფაქტორი მონაცემების გადანაწილებაზე უმნიშვნელოდ მოქმედებს. ორივე სქესის შედარებით ნაკლებმა რესპოდენტმა გამოავლინა ინტერესი პოლიტიკისადმი.
- 60+ კატეგორიას ჰყავს იმ ადამიანთა ყველაზე ნაკლები რაოდენობა, რომელნიც ჩართულნი არიან პოლიტიკურ მოვლენებში, რაც გამოკვეთს ტენდენციას, რომ საშუალო ასაკის მოსახლეობასთან შედარებით ასაკოვანი ადამიანები ნაკლებად ინტერესდებიან პოლიტიკით. ინტერესის ნაკლებობა შეინიშნება ახალგაზრდებს შორისაც, თუმცა

დაინტერესებულთა საერთო რაოდენობა მთლიანობაში 7.5%ით მაღალია 60+ კატეგორიის წარმომადგენლებთან შედარებით

ადგილობრივი პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური პარტიების ცნობადობის დონის გამოსარკვევად მონაწილეებმა პასუხი გასცეს შეკითხვას საკუთარი ქალაქის/მუნიციპალიტეტის მერის/გამგებლის შესახებ.

შეკითხვა მოიცავდა თოთხმეტ სავარაუდო პასუხს. მათ შორის მხოლოდ ერთი პასუხი შეესაბამებოდა თითოეულ თვითმმართველ ერთეულს (6 მუნიციპალიტეტი + 1 თვითმმართველი ქალაქი– ახალციხე).

ცხრილი #8 აფასებს პასუხების სისწორეს. მონაწილეთა 2/3 მეტმა შეკითხვას სწორი პასუხი გასცა, რაც დადებითი ტენდენციაა. ბორჯომისა და ასპინძის მუნიციპალიტეტებში, სადაც ეთნიკური სომხები კომპაქტურად არიან დასახლებულნი შედარებით მოშორებულ, იზოლირებულ სოფლებში, სწორი პასუხების რაოდენობა შედარებით ნაკლებია.

სიტუაცია დაახლოებით მსგავსია პოლიტიკურ პარტიებსა და გამგებლებთან მიმართებაში, თუმცა უარყოფითი პასუხების მაჩვენებელი ამ შემთხვევაში შედარებით მაღალია.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი საკმაოდ საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს, სადაც რესპოდენტთა 25% ამჟამინდელი გამგებლის პარტიად დაასახელა ყოფილი მმართველი პარტია, ცენტრალურ დონეზე ხელისუფლების ცვლილებამ გამოიწვია გამგებლის პარტიის ცვლილება. რესპოდენტთაგან ზოგიერთი ისევ მიიჩნევს, რომ მათი გამგებელი ძველ პარტიას წარმოადგენს. ეს ტენდენცია ადასტურებს მოსაზრებას, რომ ხმის მიცემაზე სამიზნე რეგიონებში ჯერ კიდევ მოქმედებს პიროვნება/ავტორიტეტი და არა პოლიტიკური პარტია, პროგრამა ან იდეოლოგია.

	გამგებელი/მერი			**გამგებლის/მერის პოლიტიკური პარტია**		
თვითმმართველი ერთეული	**სწორი**	**არასწორი**	**არ იცის**	**სწორი**	**არასწორი**	**არ იცის**
ახალქალაქი	72.5%	12.2%	15.3%	60.3%	2.2%	37.5%
ქ. ახალციხე	82.4%	5.8%	11.8%	86.1%	8.3%	5.6%
ახალციხის მუნიციპალიტეტი	73.7%	10.5%	15.8%	63.2%	15.7%	21.1%
ასპინძა	40%	40%	20%	66.7%	16.6%	16.7%
ბორჯომი	50%	0	50%	60.0%	20.0%	20.0%
ნინოწმინდა	84.7%	5.6%	9.7%	62.4%	27.9%	9.7%
წალკა	92.9%	7.1%	0%	88.9%	7.4%	3.7%
სულ	70.9%	11.6%	17.5%	69.66%	14.01%	16.33%

ცხრილი 8: ადგილობრივი მმართველი პარტიისა და გამგებლის/მერის ცნობადობა

როგორც გამოიკვეთა სოფლის მაცხოვრებელნი ნაკლებად ფლობენ ინფორმაციას პოლიტიკური პარტიის/პოლიტიკოსების შესახებ, ქალაქის მაცხოვრებლებთან შედარებით (სწორი პასუხების რაოდენობა სოფლებში 60%, ხოლო ქალაქებში 75%).

60+ ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებს ყველაზე ნაკლები ინფორმაცია გააჩნიათ პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური პარტიების შესახებ თავიანთ მუნიციპალიტეტებში, მსგავსი ტენდენცია შეინიშნება ახალგაზრდებშიც (63,6%)

4.3.6 არჩევნებთან დაკავშირებით ინფორმაციის წყარო.

კვლევა მოიცავდა კითხვებს რომლებიც გამიზნული იყო იმის გასაგებად თუ როგორ იღებენ რესპონდენტები ინფორმაციას არჩევნების შესახებ და თუ ასეა, რომელია ყველაზე პოპულარული ინსტრუმენტები ამისთვის.

35-ე დიაგრამაზე გადმოცემული 2014 წლის არჩევნებთან დაკავშირებული ახალია ამბების მიდევნების ტენდეცია: ყველა რესპონდენტიდან 321-მა უპასუხა კითხვას: **რამდენად ხშირად ადევნებდით თვალყურს 2014 წლის არჩევნებს?**

39.6%-მა აღნიშნა რომ ისინი ხშირად ადევნებდნენ თვალყურს ახალ ამბებს. ხოლო ვინც ხანდახან, მათი რაოდენობა 34%-ს შეადგენს. 19% ხშირად იღებდა ინფორმაცია, ხოლო 7.5% საერთოდ არ ეცნობოდა ახალ ამბებს.



დიაგრამა 36: ახალი ამბების მიღება 2014 წლის არჩევნებზე

- შედგები აჩვენებს, რომ ქალაქში მცხოვრები მოსახლეობა უფრო ხშირად ადევნებს თვალყურს ვიდრე სოფლად მცხოვრები, რომელთა უმეტესობა ამბობს რომ ახალ ამბებს მხოლოდ ხანდახან იღებდნენ.

ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით 60+ მოსახლეობას შორის ყველაზე მეტმა განაცხადა, რომ საერთოდ არ ადევნებდნენ თვალყურს ახალ ამბებს არჩევნებთან დაკავშირებით.





დიაგრამა 35: მედიის შეფასება 2014 წლის არჩევნებთან დაკავშირებით.

რესპონდენტებმა შეაფასეს აგრეთვე მედიის როლი 2014 წლის არჩევნებში. 47%-მა არ იცოდა პასუხი ამ კითხვაზე. 30%-თქვა, რომ მედია დაბალანსებული და ობიექტური იყო. 16.3.%-ის აზრით მედია ინდიფერენტული იყო არჩევნებთან მიმართებაში, და მხოლოდ 6.7% თვლის, რომ მედია იყო მიკერძოებული (დიაგრამა 36).

კითხვარი მოიცავდა აგრეთვე შეკითხვებს, თუ როგორ რა საშუალებებით ხდება ინფორმაციის მიღება რეგიონში. კითხვა

მოიცავდა სხვადასხვა შესაძლო პასუხებს.

37-ე დიაგრამის მიხედვით ნახევარზე მეტი (52.3%) რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ინფორმაციის მიღების მთავარი წყარო არის ტელევიზია. მას მოსდევს შეხვედრები კანდიდატებთან (36.1%), ინტერნეტი (35.2%) და მეგობრები და ოჯახი (20.6). სხვა წყაროები დაახლოებით იგივე დონეზე არის სამიზნე აუდიტორიისთვის.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ცესკო-ს ინსტრუმენტები ამ წყაროებში საკმაოდ ნაკლებად არის ნახსენები, ისევე როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები.

დასახლების სტიპის მიხედვით საინტერესოა ტენდეცია გამოიკვეთა:

- სოფლის მოსახლეობის მიერ ტელევიზიის და ინტერნეტის დასახლების სიხშირე 10%-ით ნაკლებია ქალაქში მცხოვრებლების მიერ დასახელებული რაოდენობისგან.
- ინტერნეტი საკმაოდ პოპულარულია ახალგაზრდა თაობაში (18-27) და უთანაბრდება თითქმის ტელევიზიის წილს (50%).
- უფრო მეტიც, სოფლის მოსახლეობის რაოდენობა, რომლებმაც დაასახელეს ცესკო-დან და არასამთავრობოებიდან მიღებული ინფორმაციის შესახებ, 2-ჯერ ნაკლებია ქალაქის მიერ დასახელებულ მონაცემებზე.



დიაგრამა 37: 2014 წლის არჩევნებისთვის ინფორმაციის წყაროები

ტელევიზიის ასეთი დიდი მნიშვნელობის გამო, რესპონდენტებმა უპასუხეს კითხვას თუ, რომელ არხებს უყურებენ ხოლმე ძირითადად. ამ შემთხვევაშიც მიცემული იყო სავარაუდო პასუხები (იხ. დიაგრამა 38).

შედგები აჩვენებს, რომ უცხოური მაუწყებლები არიან ყველაზე პოპულარული სამიზნე მოსახლეობაში. რესპონდენტების უმეტესობამ (55%) აღნიშნა რომ ისინი ძირითადად სომხეთის ტელეარხებს უყურებენ. მის შემდეგ მეორე ადგილზე მოდის რუსეთის ტელეარხები (34.2. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი (1-ლი არხი) კი 26.7%-ს ჰყავს დასახელებული. იმედი - 24.3%-ს ხოლო რუსთავი 2 - 23.1%-ს. მაესტრო, კიდევ ერთი ეროვნული დონის მაუწყებელი მხოლოდ 6.3%-ს.

სიტუაცია ოდნავ განსხვავდება მუნიციპალიტეტების მიხედვით. ადგილობრივი ტელეარხები არის საკმაოდ პოპულარული შესაბამის მუნიციპალიტეტებში. მაგალითად, ATV აღნიშნული იქნა ახალქალაქში რესპოდენტების 45.8%-ის მიერ და არის შესაბამისად მე-2 ადგილზე. ნინოწმინდაში ფარვანა TV დასახელებული იყო როგორც ნომერ პირველი მაუწყებელი მუნიციპალიტეტში. დაახლოებით იგივე სიტუაციაა ახალციხეში მე-9 არხთან დაკავშირებით.



დიაგრამა 38: ყველაზე ყურებადი ტელეარხები

ეს განწყობები დაფიქსირდა ფოკუს-ჯგუფებში დისკუსიების დროს. ბევრმა მონაწილემ აღნიშნა რომ ენის ბარიერის გამო ქართული ტელევიზიებიდან ინფორმაციის მიღება მათთვის შეუძლებელია. ამის გამო უცხოური ტელევიზიებიდან ინფორმაციის მიღება ხშირად წარმოადგენს მათთვის ერთადერთ საშუალებას საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

კვლევის ფარგლებში დასმული იყო აგრეთვე კითხვა, თუ რომელი საშუალებებით არის, მათი აზრით, ყველაზე ეფექტური ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობისთვის არჩევნებთან დაკავშირებით.

39-ე დიაგრამის მიხედვით ყველაზე ირად დასახელებული ინსტრუმენტი (53.7%, 159 ადამიანი) არის წინასაარჩევნო შეხვედრები კანდიდატებთან. სატელევიზიო რეკლამები მეორე ყველაზე ხშირად დასახელებული ინსტრუმენტია. შემდეგ მოდის სემინარები და ტრენინგები. ცესკო-ს ქოლ ცენტრს ერთერთი ყველა დაბალი რაოდენობა აქვს.

საცხოვრებლის ტიპის მიხედვით, ტელე რეკლამები უფრო ნაკლები პოპულარობით სარგებლობს სოფლის მოსახლეობაში. ისინი უფრო მეტ უპირატესობას საგაზეთო სტატიებსა და რეკლამებს აძლევენ ვიდრე ქალაქის მოსახლეობა.

ასაკობრივი ჯგუფების დაყოფით, ახალგაზრდა თაობა (18-27) უფრო მეტ პრიორიტეტს სატელევიზიო რეკლამებს ანიჭებს ვიდრე შეხვედრებს კანდიდატებთან, მაშინ როცა შუახნისებს (45-60) და ხანდაზმულებს (60+) ურჩევნიათ რომ წაიკითხონ ბუკლეტები და საგაზეთო



დიაგრამა 39: არჩევნებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების ყველაზე ეფექტური/სასურველი ინსტრუმენტები

სტატიები.

4.4 2014 წლის არჩევნებში მონაწილეობის მაჩვენებლის ამაღლებისათვის გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობა

4.4.1 ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიების ეფექტიანობა– ღონისძიებები და აქტივობები

კვლევის ერთ–ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენდა ცესკოს მიერ განხორციელებული კონკრეტული აქტივობების ეფექტიანობის შეფასება, რაც მდგომარეობდა ეთნიკური სომხებისათვის ეთნიკური ქართველების მსგავსი საარჩევნო გარემოს შექმნაზე. კვლევამ ასევე გამოავლინა საოლქო საარჩევნო კომისიების ეფექტიანობა 2014 წლის არჩევნების პროცესში.



დიაგრამა 40: დიაგრამა 40: ცესკო/საუბნო სკ-ის მუშაობით კმაყოფილება

40-ე დიაგრამაზე ასახულია ცესკოსა და საუბნო საარჩევნო კომისიების ეფექტიანობის შეფასებები 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებში. დიაგრამა ცხადყოფს, რომ რესპოდენტთა უმრავლესობამ ცესკოსა და საუბნო კომისიების მუშაობა დამაკმაყოფილებლად, ცესკოს შემთხვევაში 56.5% და საუბნო კომისიების შემთხვევაში 58.3%. იმ რესპოდენტთა წილი, რომელნიც ორივე კომისიის მუშაობით ძალიან კმაყოფილები იყვნენ შედარებით დაბალია. იმ მონაწილეთა პროცენტული მაჩვენებელი, რომელნიც კომისიების მუშაობით უკმაყოფილონი იყვნენ ყველაზე დაბალია 3.3% ცესკოს შემთხვევაში და 5.9% საუბნო კომისიების შემთხვევაში. 28% და 22.2% შესაბამისად თავი შეიკავა საკუთარი მოსაზრების დაფიქსირებისაგან ან არ ფლობდა სათანადო ინფორმაციას.

ფოკუს ჯგუფების დროს გამოვლინდა სხვადასხვაგვარი ტენდენციები. ზოგიერთმა მონაწილემ ხაზი გაუსვა პროფესიონალიზმის დაბალ დონეს საოლქო კომისიების თანამშრომლებთან მიმართებაში. *„როგორც დამკვირვებელმა 2014 წლის არჩევნებზე, შევნიშნე წესების დარღვევის ბევრი შემთხვევა საუბნო კომისიის წევრების მიერ. უმეტეს შემთხვევაში ეს არ იყო წესებს გააზრებული დარღვევა, მათ უბრალოდ არ იცოდნენ როგორ მოქცეულიყვნენ. ერთადერთი ადამიანი, რომელმაც წესები იცის არის საუბნო კომისიის თავმჯდომარე, დანარჩენები უბრალოდ მისი მითითებების შესაბამისად მოქმედებენ.“* მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საუბნო კომისიის მონაწილეთა არაკომპეტენტურობა ცესკოს არაეფექტიან მუშაობაზეც მეტყველებს.

ლიკერტის სკალის გამოყენებით აისახა ის ზომები და ღონისძიებები, რაც ცესკომ გაატარა ეთნიკური უმცირესობებისათვის ქართველ ამომრჩევლებთან გათანაბრებული საარჩევნო გარემოს შექმნის მიზნით, რაც ძირითადად მდგომარეობდა სხვადასხვა დოკუმენტების სომხურ ენაზე თარგმანში.

2014 წლის არჩევნები	არ ვიცოდი/ არ მქონდა გაგონილი	არ მქონდა გამოყენების/ნახვის/მოწილეობის მიღების შესაძლებლობა	ძალიან დამეხმარა	გარკვეულწილად დამეხმარა	არ დამეხმარა
ორენოვანი ბიულეტენები	19.9%	7.5%	48.6%	23.3%	0.7%
საინფორმაციო ბროშურები ხმის მიცემის პროცედურების შესახებ	24.2%	8.9%	41.6%	21.8%	3.4%
პლაკატები ხმის მიცემის პროცედურებთან დაკავშირებით	26.9%	10.2%	40.6%	21.6%	0.7%
ინტერნეტში განთავსებული ამომრჩეველთა სია სომხურ ენაზე	38.5%	19.3%	28.7%	12.4%	1.1%
სომხურ ენაზე ცხელი ხაზის მომსახურება	52.4%	10%	24.4%	8.1%	5.2%
შეხვედრებს, სემინარებს, დისკუსიებს, მოდელირებების	41.8%	25%	19.6%	12.9%	0.7%

ცხრილი 9: ცესკო-ს განხორციელებული აქტივობები ენობრივი ბარიერის მოხსნისთვის

ცხრილში შეფასებულია ცესკოს მიერ გატარებული ზოგიერთი ღონისძიება 2014 წლის არჩევნებისათვის. მონაცემები ცხადყოფს, რომ იმ რესპოდენტთა რაოდენობა, რომელთაც საშუალება ჰქონდათ ესარგებლათ ორენოვანი ბიულეტენებით, საინფორმაციო ბროშურებით და პლაკატებით უფრო მაღალია იმ რესპოდენტებთან შედარებით, რომელთაც ისარგებლეს ინტერნეტში განთავსებული ამომრჩეველთა სიით, ცხელი ხაზის მომსახურებით ან/და მონაწილეობა მიიღეს შეხვედრებში, სემინარებში, დისკუსიებსა და მოდელირებებში. იმ მონაწილეთა შორის, რომელთაც ისარგებლეს ზემოთ ხსენებული ღონისძიებებით, უარყოფითი შეფასება მხოლოდ მცირე ნაწილმა გამოავლინა.

ორენოვანი ბიულეტენის შემოღება ყველაზე უფრო ეფექტიან ზომად იქნა მიჩნეული (71.96%), ხოლო მათი წილი ვისაც არ უსარგებლია ბიულეტენით ან არ სმენია მის შესახებ (27.4%) გაცილებით ნაკლებია სხვა ღონისძიებებთან შედარებით.

293 ადამიანმა შეაფასა საინფორმაციო ბროშურების ეფექტიანობა. მათგან უმეტესობამ (66.8%) გამოიყენა ბროშურები და დადებითად შეაფასა (63.4%). მათი წილი, ვისაც არ ჰქონდა შანსი ბროშურების გამოყენების ან ვისაც არ სმენია ამ ღონისძიების შესახებ 33.1% ტოლია.

ცესკომ დაბეჭდა და საარჩევნო უბნებზე დაარიგა პლაკატები, სადაც ხმის მიცემის პროცედურა იყო აღწერილი. მონაწილეთა უმეტესობამ 62.2% პლაკატები დადებითად შეაფასა, ხოლო მათი პროცენტული მაჩვენებელი ვისაც ამ ღონისძიების შესახებ არ ჰქონდა ინფორმაცია ან არ მიეცა სანსი პლაკატების გამოყენების 37.1% შეადგენს.

ცესკომ უზრუნველყო ამომრჩეველთა სიის ხელმისაწვდომობა სომხურ ენაზე ინტერნეტის მეშვეობით ნინოწმინდის, ახალციხის და ახალქალაქის მაცხოვრებელთათვის. ცხრილიდან ირკვევა, რომ რესპოდენტთა უმეტესობა არ იყო ინფორმირებული ამ ღონისძიების შესახებ ან არ ჰქონდათ საშუალება ესარგებლათ სიით. მათი რაოდენობა 57.8% შეადგენს, მაშინ როდესაც 28.7%, 12.4% და 1.1% შესაბამისად შეაფასა ეს ღონისძიება როგორც ძალიან გამოსადეგი, გარკვეულწილად გამოსადეგი და გამოუსადეგარი.

რესპოდენტებმა ასევე შეაფასეს ცხელი ხაზის მომსახურების ეფექტიანობა, ნახევარზე მეტმა მონაწილემ (52.4%) აღნიშნა, რომ მათ არ სმენიათ ცენტრის შესახებ, ხოლო 10% არასდროს უსარგებლია მისი მომსახურებით. ამ სერვისმა ასევე მიიღო უარყოფითი შეფასების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი.

- ცესკომ ორგანიზება გაუწია შეხვედრებს, სემინარებს, დისკუსიებსა და მოდელირებებს ეთნიკური უმცირესობებისათვის. 66.8% აღნიშნა, რომ მათ არ სმენიათ ამ ღონისძიებების შესახებ ან არ ჰქონიათ მონაწილეობის საშუალება და მხოლოდ 19.6% შეაფასა ისინი დადებითად. მონაცემები ცხადყოფს, რომ სოფლის მაცხოვრებლებს ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდათ ცესკოს მიერ გატარებული ღონისძიებებით სარგებლობის ქალაქელებთან შედარებით
- მათი წილი, ვინც ინტერნეტში განთავსებული სიით ისარგებლა 27% ით მაღალია ქალაქში სოფლებთან შედარებით



დიაგრამა 41: თანასწორი საარჩევნო გარემო ეთნიკური უმცირესობებისთვის

- 44.2%-მა სოფლებში განაცხადა, რომ მათ არ ჰქონიათ შესაძლებლობა ცესკოს მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში, სემინარებსა და დისკუსიებში მონაწილეობის.

რესპოდენტებმა კითხვარის მეშვეობით შეაფასეს საარჩევნო გარემო. 44.5% აღნიშნა, რომ ის მსგავსი იყო ქართველებისათვის შექმნილი გარემოსი. 13% მიუთითა, რომ მათი გარემო უკეთესი იყო, ვიდრე ქართველების. მხოლოდ მცირე ნაწილი 1.6% მიიჩნევს საწინააღმდეგოდ.

ჯგუფურმა ინტერვიუებმა დაადასტურა ეს ტენდენცია. თუმცა პასუხების გადანაწილება რეგიონების მიხედვით განსხვავდება. წალკის, ნინოწმინდის, ახალციხის რესპოდენტების უმრავლესობამ საარჩევნო გარემო მიიჩნია ქართველებისათვის შექმნილი გარემოს მსგავსად, შესაბამისად 70.4%, 44.9%, 54.9%. ბორჯომში, ასპინძასა და ახალქალაქში მონაწილეთა უმრავლესობამ ვერ (ან არ) შეძლო 49.3% გარემოს პარალელის გავლება, 75%, 66,7%, შესაბამისად. მათი წილი, ვინც უკეთესად ან უარესად მიიჩნევს ქართველებისათვის შექმნილ გარემოსთან შედარებით მცირეა ყველა მუნიციპალიტეტში: 3.9%/3.9%ახალციხეში, 0%/0% ასპინძაში, 18%/0% ნინოწმინდაში, 11.3%/2.1% ახალქალაქში, 22.2%/0% წალკაში, 25%/0% ბორჯომში.

- საარჩევნო გარემომ საკმაოდ დადებითი შეფასება მიიღო ქალაქებში, ისევე როგორც სოფლებში. ორივე ტიპის დასახლებაში მონაწილეთა უმეტესობამ გარემო შეაფასა, როგორც მსგავსი ქართველებისათვის შექმნილ გარემოსთან ან უკეთესი.
- პასუხებში არ გამოიკვეთა განსხვავებები ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით, უმეტესობამ ყველა ასაკობრივ ჯგუფში გარემო პოზიტიურად შეაფასა.

4.4.2 ცესკო-ს მედიის მხრივ მუშაობა

თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნის გარდა ცესკომ გადადგა ნაბიჯები უმცირესობებისათვის ცნობიერების დონის ამაღლების კუთხით არჩევნების საკითხებზე, ამისათვის გადაიდგა ნაბიჯები მედიის ეფექტიანობის გაუმჯობესების კუთხით. მიზანს წარმოადგენდა ცენტრალური და ადგილობრივი მედია საშუალებების მეშვეობით ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სომხურ ენაზე. კვლევაში შეფასდა ცესკოს მიერ ამ კუთხით განხორციელებული ქმედებები.

ცესკომ მხარი დაუჭირა საზოგადოებრივ მაუწყებელზე „საარჩევნო სატელევიზიო დაიჯესტის“ სომხურ ენაზე გაშუქებას. 37.5% თვლის, რომ პროგრამა ძალიან ეფექტიანი იყო, თუმცა მათი წილი ვინც არ ფლობდა ინფორმაცია პროგრამის თაობაზე ან ვისაც არ ჰქონდა მისი ნახვის საშუალება საკმაოდ მაღალია –51.4%. 10.5% და 0.7% შეაფასეს პროგრამა, როგორც გარკვეულწილად ეფექტიანი და არაეფექტიანი.

ღონისძიებები	არ ვიცოდი/არ მქონდა გაგონილი	არ მქონდა ნახვის/წაკითხვის შესაძლებლობა	ძალიან ეფექტიანი	გარკვეულწილად ეფექტიანი	არაეფექტიანი
სატელევიზიო პროგრამა „საარჩევნო სატელევიზიო დაიჯესტი“	35.5%	15.9%	37.5%	10.5%	0.7%
რეკლამები არჩევნების შესახებ	35.9%	14.3%	39%	9.8%	1%
სტატიები ხმის მიცემის პროცედურების შესახებ	33.2%	7.1%	46.8%	12.5%	0.4%

ცხრილი 10: ცესკო-ს მედია აქტივობების ეფექტურობა

ცესკომ ათარგმნინა ათი რეკლამა სომხურ ენაზე და განათავსა ისინი ადგილობრივ არხებზე, მე–9 არხი, ATV 12, Farvana TV, ისევე როგორც საზოგადოებრივ მაუწყებელზე. ამ შემთხვევაშიც მათი რაოდენობა, ვისაც რეკლამების შესახებ გაგონილი არ ჰქონდა ან ვისაც მათი ნახვის საშუალება არ მიეცა საკმაოდ მაღალია– 50.2%. 39%-მა ღონისძიება დადებითად შეაფასა, დანარჩენმა 10.8% კი მათ ნაწილობრივ ეფექტიანი ან არაეფექტიანი უწოდა.

ცესკომ მხარი დაუჭირა საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით ერთ გვერდიანი სტატიის დაბეჭდვას და გამოქვეყნებას სომხურ გაზეთში „ვრასტანი“. უმეტესობამ სტატიას დადებითი შეფასება მისცა (46.8%), 40.3% აღნიშნა, რომ ისინი ინფორმაციას არ ფლობდნენ სტატიის შესახებ ან საშუალება არ მიეცათ მისი წაკითხვის, მხოლოდ 0.4% მიიჩნია სტატია არაეფექტიანად, ხოლო 12.5% მას გარკვეულწილად ეფექტიანი უწოდა.

- კვლევამ გამოავლინა, რომ ცესკოს მიერ მედიის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ სოფლის მაცხოვრებლები მეტად იყვნენ ინფორმირებულნი და დადებითი შეფასების მაჩვენებელიც სოფლებში უფრო მაღალი იყო. მაგალითად, მათი წილი, ვისაც არ სმენია საარჩევნო სატელევიზიო დაიჯესტის“ შესახებ 16.6% ნაკლებია სოფლებში ქალაქებთან შედარებით, ამასთანავე მათი პროცენტული მაჩვენებელი ვინც გადაცემა დადებითად შეაფასა 19% მაღალია სოფლად.
- მონაცემები ნათელყოფს, რომ მათი რაოდენობა, ვისაც სატელევიზიო პროგრამის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა ყველაზე მეტია ხანშიშესულ ადამიანების ასაკობრივ ჯგუფში (60+), და ყველაზე დაბალი საშუალო ასაკის ადამიანთა კატეგორიებში. მონაწილენი, რომელთაც ცესკოს მიერ გატარებულ ღონისძიებებს დადებითი შეფასება მისცეს ძირითადად საშუალო ასაკის კატეგორიაშია თავმოყრილი (28–44/45–60 51.6%/49.4% სატელევიზიო პროგრამასთან მიმართებაში, 53.6%/48.1% რეკლამებთან მიმართებაში, 61.9%/64% სტატიის შემთხვევაში)

ჯგუფური ინტერვიუს მონაწილეებმა მედიის ეფექტიანობის შეფასებისას კმაყოფილება გამოხატეს სომხურ ენაზე რეკლამების არსებობასთან დაკავშირებით ადგილობრივ ტელეარხებზე. თუმცა ამ ადამიანთა წილი საგრძნობლად დაბალია. არც ერთ მონაწილეს არ უხსენებია „სატელევიზიო დაიჯესტი“. ხანშიშესულმა მონაწილეებმა აქცენტი გააკეთეს ბეჭდური მედიის მნიშვნელობაზე, ვინაიდან მათი გავრცელება სოფლის მოსახლეობაში საკმაოდ იოლია.

4.4.3 ცესკოს ღონისძიებები საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის

ცესკომ გაატარა ღონისძიებები საუბნო კომისიის წევრი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა პროფესიონალიზმის ამაღლების მიზნით, ასევე იმ მონაწილეთათვის სათანადო სამუშაო გარემოს შესაქმნელად, რომელთაც არ გააჩნდათ სახელმწიფო ენის ცოდნის თვალსაზრისით შესაბამისი კომპეტენცია. კვლევამ შეაფასა ღონისძიებათა ეფექტიანობა.

ამ მიზნით 8 ქვე-კითხვა იქნა დასმული. პირველი ქვე-კითხვა მიზნად ისახავდა საუბნო კომისიის წევრების იდენტიფიკაციას 2014 წლის არჩევნებში.



როგორც აღმოჩნდა გამოკითხულთაგან 44 ადამიანი (12.9%) იყო საუბნო კომისიის წევრთა რიგებში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სულ მცირე ერთი საუბნო სკ-ის წევრი იყო ყველა მუნიციპალიტეტიდან, ხოლო ქალები ორჯერ მეტნი იყვნენ ვიდრე მამაკაცები. წევრთა უმეტესობა საშუალო ასაკის ხალხს წარმოადგენდა.

დიაგრამა 42 აჩვენებს, რომ საუბნო კომისიის წევრთა დაახლოებით ორი მესამედი შეირჩა ამ სამსახურისათვის მაშინ როდესაც 22% დაინიშნა პოლიტიკური პარტიების მიერ.

12.2% აღნიშნა, რომ მათ თანამდებობაზე მიღებისათვის რეკომენდაცია გაუწია მეგობარმა.

ცესკომ მოამზადა ინსტრუქცია სომხურ ენაზე სადაც გაიწერა საუბნო კომისიის წევრთა ფუნქციები. კითხვარმა შეაფასა ინსტრუქციის დოკუმენტის ეფექტიანობა. ნახევარზე მეტმა მონაწილემ აღნიშნა, რომ დოკუმენტი ძალიან გამოსადეგი იყო (54.8%), ერთ მესამედზე მეტი მას გარკვეულწილად ეფექტიანად მიიჩნევდა, მაშინ როდესაც მათი რაოდენობა ვინც დოკუმენტს არაეფექტიანად თვლიდა ან ვისაც დოკუმენტის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა ნულს უტოლდება. მხოლოდ ოთხ ადამიანს არ ჰქონდა საშუალება დოკუმენტის გამოყენების (ნინოწმინდაში, ახალციხესა და ბორჯომში).

დიაგრამა 42: საუბნო სკ-ის წევრობის მოპოვება

2014 წლის არჩევნებისათვის ცესკომ ორგანიზება გაუწია ტრენინგებს საუბნო კომისიის დანიშნული/არჩეული წევრების ფუნქცია მოვალეობების საკითხზე. ლიკერტის სკალის გამოყენებით და საერთაშორისო სტანდარტების დაცვით შეფასდა ტრენინგების ეფექტიანობა.

#	ცესკოს მიერ ორგანიზებული ტრენინგები საუბნო საარჩევნო კომისიის არჩეული/დანიშნული წვერებისათვის	სრულიად ვეთანხმები	ნეიტრალურად ვარ განწყობილი	სრულიად არ ვეთანხმები
1	მონაწილეობა და ინტერაქცია ტრენინგის პროცესში შესაძლებელი იყო	91.7%	5.6%	2.8%
2	ტრენინგი ჩატარდა გასაგებ ენაზე	94.6%	2.7%	2.7%
3	ტრენინგიდან მიღებული გამოცდილება ძალიან გამომადგა მუშაობის პროცესში	100%	0%	0%
4	ტრენერი კომპეტენტური იყო	51.6%	25.8%	22.6%
5	ტრენინგისათვის გამოყოფილი დრო საკმარისი იყო	90.6%	9.4%	.0%

ცხრილი 11: საუბნო სკ-ის წევრებისთვის ჩატარებული ტრენინგის ეფექტურობა

ცხრილიდან ნათელი ხდება, რომ ტრენინგები მთლიანობაში საკმაოდ დადებითად შეფასდა საუბნო კომისიის წევრთა მიერ. ხოლო შეკითხვაზე, რომელიც ტრენერის კომპეტენტურობას ეხებოდა მხოლოდ 51.6%-მა აღნიშნა, რომ ის ფლობდა სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო



დიაგრამა 43: ტრენერის კომპეტენტურობის შეფასება

უნარებს.

ტრენერის კომპეტენტურობით უკმაყოფილება უკეთ არის ასახული 43-ე დიაგრამაზე. ახალციხეში მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია და 45%-ს უტოლდება, მას მოსდევს ახალქალაქი 33.3%-ით. ნინოწმინდაში დიდი უმრავლესობა ნეიტრალურად იყო განწყობილი, ხოლო კმაყოფილება შედარებით მცირე რაოდენობამ გამოხატა. ბორჯომიდან ერთმა დააფიქსირა

ნეიტრალური პოზიცია, ხოლო წალკაში ტრენერის კომპეტენტურობას ყველაზე დადებითი შეფასება ჰქონდათ (66.7%).

ძალიან მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საუბნო კომისიის წევრებმა სოფლებიდან გაცილებით ნაკლები კმაყოფილება გამოხატეს ტრენერის უნარების შეფასებისას ქალაქელებთან შედარებით (43.5% სოფლად/75% ქალაქში).

ტრენერის კომპეტენტურობასთან დაკავშირებით უკმაყოფილება გამოიხატა ჯგუფური ინტერვიუების პროცესშიც ნინოწმინდასა და ახალქალაქში. ერთ –ერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ თბილისიდან ჩამოსული ტრენერი მხოლოდ საბაზისო აწვდიდა ინფორმაციას და ასევე ამჯერად ტრენერები საუბრობდნენ რუსულ ენაზე, წინა წლებისაგან განსხვავებით, როდესაც კომუნიკაციის ენა სომხური იყო. თუმცა ენასთან მიმართებაში მთლიანობაში ყველაზე ნაკლებად გამოიკვეთა უკმაყოფილება.

სხვა თემა, რომელიც წინა პლანზე წამოვიდა ეხებოდა საუბნო კომისიის წევრთა ზერელე დამოკიდებულებას ტრენინგებისადმი. ბევრი მათგანი ტრენინგებს არ ესწრებოდა და შესაბამისად ვერ მოხერხდა მათი აღჭურვა სათანადო უნარებით. *„იყო ისეთი შემთხვევაც, როდესაც კომისიის წვერი მხოლოდ არჩევნების დღეს გამოჩნდა“,* –აღნიშნა ერთმა მონაწილემ. ეს ტენდენცია ყველაზე მეტად პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნულ წევრებთან მიმართებაში შეინიშნებოდა.

4.4.4 საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ დაფინანსებული პროექტები და არასამთავრობო ორგანიზაციები



დიაგრამა 44: არსამთავრობო ორგანიზაციების ეფექტურობა ზოგადად

კვლევის უკანასკნელი ბლოკი შეეხება ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ეფექტიანობის შეფასებას. კვლევის შედეგების საფუძველზე იკვეთება შემდეგი ტენდენცია: რესპოდენტთა დიდმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათ არასდროს სმენიათ სამიზნე მუნიციპალიტეტებში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, ზოგადად.

იმათ შორის ვინც ინფორმაციას ფლობდა დიდი უმრავლესობა ორგანიზაციათა საქმიანობას ძალიან ან გარკვეულწილად ეფექტიანს უწოდებს. მათი წილი, ვინც არასამთავრობო სექტორის მუშაობით უკმაყოფილოა ძალიან მცირეა.

- იმ რესპოდენტთა პროცენტული მაჩვენებელი, რომელნიც ინფორმირებულნი არ არიან ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ თავიანთ მუნიციპალიტეტებში ვარირებს 25.9%–52% შორის, უმაღლესი მაჩვენებელი ფიქსირდება ახალქალაქში (52%), ხოლო ყველაზე დაბალი წალკაში (25.9%).
- მათი წილი, ვინც ორგანიზაციათა აქტივობებს უარყოფითად აფასებს შედარებით დაბალია ყველა მუნიციპალიტეტში. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდება ასპინძასა და

ბორჯომში. ამ მუნიციპალიტეტებში არც ერთ მონაწილეს არ აღუნიშნავს არასამთავრობო ორგანიზაციათა არაეფექტიანობა, მაშინ როდესაც ნინოწმინდა გამოირჩევა უკმაყოფილო რესპოდენტების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით (12.8%).

- ხუთ მუნიციპალიტეტში (ახალქალაქის გარდა) რესპოდენტთა უმრავლესობამ ორგანიზაციათა საქმიანობას ძალიან ეფექტიანი ან გარკვეულწილად ეფექტიანი უწოდა. მათ შორის წალკა გამოირჩევა დადებითი შეფასებების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით (70.9%), მას მოსდევს ბორჯომი, ახალციხე, ასპინძა (60% და მეტი მაჩვენებლებით) და ნინოწმინდა 53.5%-იანი მონაცემით.

სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ხალხმა არასამთავრობო ორგანიზაციათა საქმიანობას განსხვავებული შეფასებები მისცა.

- ყველა ასაკობრივ ჯგუფში იმ ადამიანთა წილი, რომელნიც ინფორმირებულნი არ არიან თავიანთ მუნიციპალიტეტებში მოქმედი არასამთავრობოების შესახებ საკმაოდ მაღალია. მონაწილეთაგან ხანდაზმული ხალხი (60+) ყველაზე ნაკლებად ფლობენ ინფორმაციას ამ ორგანიზაციებზე, ხოლო ახალგაზრდები ყველაზე უკეთ ერკვევიან (18–27 კატეგორია).
- ის მონაწილენი, რომელთაც პოზიტიურად შეაფასეს არასამთავრობო ორგანიზაციათა საქმიანობა უმრავლესობას შეადგენენ ყველა ასაკობრივ კატეგორიაში, ხანშიშესულთა ჯგუფის გარდა (60+).
- იმ რესპოდენტთა უმრავლესობა, რომელთაც არასამთავრობოებს პოზიტიური შეფასებები მისცეს საშუალო ასაკის კატეგორიის წარმომადგენელნი არიან (45–60) 60% წილით და ყველაზე ცოტა მათგანი გვხვდება ხანშიშესულთა კატეგორიაში.
- მათი წილი, ვინც ორგანიზაციათა საქმიანობას არაეფექტიანად მიიჩნევს შედარებით დაბალია და განსაკუთრებით თავს იჩენს ახალგაზრდების ჯგუფში (13%), ყველაზე ნაკლებად კი მოხუცების ჯგუფში (3.7%).

შეკითხვას პასუხი გასცა ორივე სქესის წარმომადგენლებმა. შედეგები ცხადყოფს, რომ ქალებისა და მამაკაცების შეფასებებს შორის დიდი განსხვავება არ გვხვდება.

- იმ რესპოდენტთა წილი, რომელნიც არ არიან ინფორმირებულნი ორგანიზაციების შესახებ მაღალია ორივე სქესის წარმომადგენლებს შორის (მამაკაცები/ქალები 40%/41.7%)
- ნახევარზე ოდნავ მეტმა მონაწილემ დადებითად შეაფასა ორგანიზაციათა საქმიანობა ორივე შემთხვევაში
- მათი წილი, ვინც არასამთავრობოების აქტივობებს არაეფექტიანს უწოდებს შედარებით დაბალია ამ სიტუაციაში და უტოლდება 6.2% მამაკაცებში, 7.3% ქალებში

ცესკო-მ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის საშუალებით, ხელი შეუწყო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გატარებულ ღონისძიებებს, რაც მიზნად ისახავდა ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის მაჩვენებლის ზრდას 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. 6 ორგანიზაცია ფოკუსირდა ნინოწმინდის, ახალქალაქის, ახალციხის, ასპინძის, წალკისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტებზე.

კვლევამ შეაფასა ამ ორგანიზაციათა მიერ განხორციელებული პროექტების ეფექტიანობის დონე.

ორგანიზაცია	ღონისძიება	რეგიონი	ძალიან ეფექტიანი/ საჭირო	გარკვეულწილად ეფექტიანი/ საჭირო	არაეფექტიანი	არ გვსმენია/ არ გვინახავს
ახალგაზრდა ინიციატორთა კლუბი	ტრენინგები და არჩევნების სიმულაციები	ახალქალაქი ახალციხე ასპინძა ბორჯომი ნინოწმინდა	4.3%	0.9%	0%	94.7%
„სამოქალაქო განვითარების ქართულ-ბერძნული ფონდი - გეორგია ელადა“	სპეციალური გამოშვების გაზეთი სომხურად	წალკა	10.7%	7.1%	0%	82.1%
ქალი და განვითარება	სემინარები არჩევნების შესახებ სომხურად	ახალქალაქი ახალციხე ასპინძა ნინოწმინდა	6.5%	0%	0%	93.5%
ქალი და განვითარება	ბუკლეტები არჩევნების შესახებ სომხურად		14.6%	6.5%	2.1%	76.8%
დემოკრატიისა და განვითარების ცენტრი	არჩევნების სიმულაცია სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერისტეტისათვის	ახალციხე	4.2%	4.2%	0%	91.5%
დემოკრატიისა და განვითარების ცენტრი	ბუკლეტები, პოსტერები, ფლაერები		20.8%	16.7%	0%	62.5%

ცხრილი 12: ცენტრის მიერ მხარდაჭერილი პროექტების ეფექტურობა

მე-12 ცხრილში მოცემულია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ განხორციელებული აქტივობები სამიზნე მუნიციპალიტეტებში. მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეთა უდიდესი უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ არ ფლობდნენ ინფორმაციას ღონისძიებათა შესახებ (ან არ უპასუხეს კითხვას), საბოლოო შედეგზე დადებითი შეფასებების გავლენა მაინც თვალსაჩინოა, რადგან 341-იანი შერჩევაში დადებითი პასუხების რაოდენობა მიანიშნებს გარკვეულ წარმატებაზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ აქტივობების უმეტესობა *(საზოგადოებრივი დამცველისა* და *ქალი და განვითარების* გარდა) განხორციელდა ურბანულ არეალში, შედეგად სოფელში მცხოვრებნი ნაკლებად ფლობენ მათზე ინფორმაციას.

ამასთანავე ღონისძიებათა უმრავლესობას სამიზნე ჯგუფად არჩეული ჰყავდა ახალგაზრდობა, რაც კარგი ტენდენციაა. თუმცა საბოლოო ჯამში ამას შედეგად მოჰყვა საშუალო და ასაკოვანი ხალხის ინფორმირებულობის დაბალი დონე აღნიშნულ ღონისძიებებთან დაკავშირებით. საინტერესოა, რომ ჯგუფურ ინტერვიუებში მონაწილე, სამოქალაქო საზოგადოების

წარმომადგენელთაგან არც ერთი არ ფლობდა ინფორმაციას განხორციელებული პროექტების შესახებ.

ჩამოთვლილი პროექტების გარდა რესპოდენტებს მოეთხოვათ აღენიშნათ 2014 წლის არჩევნებთან დაკავშირებით ცნობიერების დონის ამაღლების მიზნით ჩატარებული სხვა ღონისძიებები, რაშიც მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული. 36 (10%) აღნიშნა, რომ მათ ჰქონდათ ეს შესაძლებლობა და მათი შეფასება შესაბამისი ღონისძიებებისადმი დიდწილად დადებითი გამოდგა (მხოლოდ ერთმა ადამიანმა შეაფასა აქტივობები უარყოფითად).



დიაგრამა 45: სხვა არასამთავრობოების მიერ არჩევნებთან დაკავშირებული ღონისძიებების ეფექტურობა

შესაბამისად დასკვნის სახით შეიძლება ითქვას რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ძირითადად კონცენტრაციას აკეთებენ ურბანულ ცენტრებზე და მხედველობის არის მიღმა რჩებათ ადამიანების სოფლის მოსახლეობა. იგივე ვრცელდება საზოგადოების სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებზე.

თავი 5: დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ის ძირითადი პრობლემები, რამაც გამოიწვია არჩევნებში მონაწილეობის მაჩვენებლის მნიშვნელოვანი შემცირება ეთნიკურ სომხებში.

რამდენიმე ფაქტორის კომბინაციამ – სკეპტიკურმა დამოკიდებულებამ, კლანურმა ურთიერთობებმა ადგილობრივ დონეზე, სამოქალაქო საზოგადოების არარსებობამ, სამოქალაქო განათლების დაბალმა დონემ, პოლიტიკური ელიტებისადმი უნდობის მაღალმა მაჩვენებელმა და პოლიტიკისადმი ნაკლებმა ინტერესმა გამოიწვია არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობის შემცირება წლიდან წლამდე. პრობლემის კომპლექსურობა საჭიროებს შესაბამისი ინსტიტუტების მხრიდან სტრატეგიული ნაბიჯების გადადგმას.

მასობრივი გამოკითხვისა და ჯგუფური ინტერვიუების შედეგად გამოკვეთილი პრობლემების საფუძველზე შემდეგი ძირითადი რეკომენდაციების შემუშავება გახდა შესაძლებელი იმ ინსტიტუტებისადმი, რომელნიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ეთნიკური სომხების არჩევნების პროცესში მონაწილეობის ხარისხის გაუმჯობესების კუთხით.

5.1 ცენტრალური საარჩევნო კომისია

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ცესკოს მიერ განხორციელებული აქტივობები, რაც მიმართული იყო ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისაკენ, რათა ენობრივი ბარიერი არ გამხდარიყო არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმის მიზეზი. მიუხედავად ამისა ჯერ კიდევ არსებობს პრობლემები, რომელიც მოგვარებას საჭიროებს. შესაბამისად მნიშვნელოვანია რომ ცესკომ:

- განავითაროს შესაბამისი პოლიტიკა, რაც ხელს შეუწყობს საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა გამჭვირვალე და სამართლიან არჩევას, მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით და მოახდინოს ამ პროცესის პოპულარიზაცია. სოფლებში მიიჩნევენ, რომ ამ პოზიციებზე არჩეული ადამიანები არ იცვლებიან. ერთი და იმავე ადამიანის არჩევის პროცესი ხელს უწყობს ამომრჩეველთა გაუცხოებასა და ფრუსტრაციას.
- უზრუნველყოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა დასწრება ტრენინგებზე (მათ შორის იმ პირთა, რომელნიც დანიშნულნი არიან პოლიტიკური პარტიების მიერ), რათა თავიდან იქნეს აცილებული სიტუაცია, როდესაც მხოლოდ თავმჯდომარეები ფლობენ ინფორმაციას წესების შესახებ.
- უზრუნველყოს სათანადოდ კომპეტენტური და მოტივირებული ტრენერების არჩევა, რომელთაც უნარი შესწევთ დახმარება გაუწიონ მონაწილეებს იმ ენაზე, რომელიც მათთვის გასაგებია.
- განაგრძოს წარმატებით მუშაობა ქართული ენის არმცოდნე ამომრჩეველთათვის სრული საარჩევნო მომსახურების შეთავაზების თვალსაზრისით.
- მოახდინოს მრავალენოვანი ქოლ-ცენტრის პოპულარიზაცია ეთნიკურ უმცირესობებში
- უფრო ხშირად გაუწიოს ორგანიზება სემინარებს/ტრენინგებს სასოფლო არეალში, ვინაიდან კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სოფლის მაცხოვრებლებს ნაკლები ხელმისაწვდომობა აქვთ ამ ტიპის ღონისძიებებზე.
- უფრო მჭიდროდ ითანამშრომლოს ადგილობრივ მედიასთან გრძელვადიანი პროექტების განხორციელების კუთხით, რაც მიმართული იქნება არჩევნებისადმი მონაწილეთა ინტერესის ზრდისკენ (მხარი დაუჭიროს პროგრამებს, პოლიტიკურ თოქ–შოუებს).
- გააუმჯობესოს აქტივობები, რომელმაც მედიის ეფექტიანობის გაზრდის თვალსაზრისით შესაბამისი შედეგები ვერ გამოიღო.

- თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს საოლქო საარჩევნო კომისიებში ეთნიკურ უმცირესობათა დაბალანსებული წარმოდგენა მუნიციპალიტეტებში მათი პროპორციის გათვალისწინებით (მაგ: წალკაში, ახალციხეში).
- იმუშაოს ამომრჩეველთა სიის განახლებაზე.
- სამთავრობო ინსტიტუტებთან და პარლამენტთან თანამშრომლობით უზრუნველყოს იმ წესების დახვეწა, რომელიც კრძალავს საარჩევნო უბნებთან აგიტაციას. კლანურ სისტემაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში აგიტაციას დიდი გავლენა აქვს მონაწილეთა არჩევანზე.

5.2 საარჩევნო სისტემის განვითარების, რეფორმებისა და ტრენინგების ცენტრი

ცენტრის საქმიანობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს საარჩევნო პროცესებში ეთნიკური სომხების ჩართულობის გაძლიერების თვალსაზრისით. საგრანტო მექანიზმის შემოღება არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, რაც მიმართულია უმცირესობათა ცნობიერების ამაღლებისაკენ, სასიკეთო და მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს. თუმცა უკეთესი შედეგის მისაღწევად საჭიროა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- უზრუნველყოს გრანტების მეტად ხელმისაწვდომობა სამიზნე რეგიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის. რეგიონულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს გაცილებით უკეთესი წვდომა აქვთ ადგილობრივ მოსახლეობასთან, განსაკუთრებით სასოფლო არეალში და მათი უპირატესობა ყველაზე მოწყვლადი სეგმენტის დაფარვის კუთხით თბილისში დაფუძნებულ ორგანიზაციებთან შედარებით აშკარაა.
  - ჯგუფურმა ინტერვიუებმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ცხადყო, რომ მხოლოდ ცოტა მათგანი იყო ინფორმირებული ამ შესაძლებლობაზე. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ცენტრმა მოახდინოს საგრანტო პროგრამების პოპულარიზაცია
  - მათ შორის, ვინც საგრანტო პროგრამებზე ინფორმაციას ფლობდა ძირითად სირთულეს წარმოადგენდა პროექტის მონახაზის შექმნა ქართულ ენაზე, ვინაიდან სახელმწიფო ენის ცოდნა ჯერ კიდევ პრობლემად რჩება რეგიონში, განსაკუთრებით საშუალო ასაკის ადამიანებში, რომელნიც დიდი რაოდენობით შედიან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში. ეს რესურსი წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების თვალსაზრისით, განსაკუთრებით იმიტომ, რომ არ არსებობს კომუნიკაციის პრობლემა ბენეფიციარებსა და სერვისის მიმწოდებლებს შორის. ამგვარად, მნიშვნელოვანია ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წახალისება საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, თუნდაც რუსულ ენაზე (უმჯობესია სომხური ენა). ეს გამოიწვევდა სამიზნე რეგიონში მოქმედი ორგანიზაციებიდან აპლიკაციების მოზიდვას
  - საგრანტო პროცესში მონაწილეობის პროცედურები რთულია და არამკაფიოდაა განსაზღვრული, ამდენად მნიშვნელოვანია ცენტრმა უზრუნველყოს ტრენინგის ჩატარება სააპლიკაციო პროცედურებთან და განაცხადის მომზადებასთან დაკავშირებით, რაც გაურკვევლობებს აღმოფხვრის.
- პროექტის შეფასებისას გათვალისწინებული იქნას კრიტერიუმი, რომელიც განსაზღვრავს ყველაზე მეტად მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობას (45–60 და 60+ ასაკობრივი ჯგუფები, ქალები). რეკომენდირებულია ისეთი პროექტების შერჩევა, რომელიც სოფლებს

დაფარავს, რათა გაუმჯობესდეს სამოქალაქო უფლებების გათვითცნობიერების დონე სოფლის მაცხოვრებლებში

- რეკომენდირებულია ცენტრის მჭიდრო თანამშრომლობა ცესკოსთან სამიზნე რეგიონში საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიონალურ დონეზე განვითარების მიზნით
  - საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა სერტიფიცირება– ეს მექანიზმი ეთნიკურ უმცირესობათა შორის ნაკლებადაა ცნობილი. საოლქო საარჩევნო კომისიებთან თანამშრომლობით რეკომენდირებულია განხორციელდეს ამ მექანიზმის პოპულარიზაცია, განსაკუთრებით ახალგაზრდებში.
  - მიუხედავად იმისა, რომ რეგისტრაცია დეცენტრალიზებულია სერტიფიცირების პროცესის შემთხვევაში უფრო ეფექტიანი იქნება თუ ტესტირება ჩატარდება რეგიონულ ცენტრებში, რაც მგზავრობის პრობლემას გადაჭრის. ამასთანავე ეს ინსტრუმენტის პოპულარიზაციისაკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება.
  - რეკომენდირებულია განხორციელდეს მონიტორინგი ტრენინგებში მონაწილეობაზე, რათა საუბნო კომისიების წევრებმა შეძლონ მაღალ დონეზე მუშაობა.
- როგორც გრანტის გაცემაზე პასუხისმგებელმა ორგანიზაციამ, ცენტრმა უნდა უზრუნველყოს პოლიტიკური სუბიექტების მიერ ეთნიკურ უმცირესობათა საკითხების გათვალისწინება. რეკომენდირებულია პრიორიტეტი მიენიჭოს პოლიტიკური პარტიების ისეთ პროექტებს, რომელიც ხელს შეუწყობს პოლიტიკური პარტიებისათვის ამ დოკუმენტში მიცემული რეკომენდაციების პრაქტიკაში შესრულებას

5.3 ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება

ყველზე მნიშვნელოვანი აქტორები, რომელთაც საარჩევნო პროცესებში ჩართულობაზე პოზიტიური გავლენის მოხდენა შეუძლია არის ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებმა მოახდინეს ეთნიკური უმცირესობების საკითხის ძირითად თემად შეყვანა თავიანთ პროგრამებში, ჯერ კიდევ ბევრი ცვლილებაა განსახორციელებელი. მდგრადი შედეგი მიიღწევა მხოლოდ ამ უწყებათა კოორდინირებული მუშაობის საფუძველზე.

ყველაზე მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორები, რაც მონაწილეთა მიერ აღინიშნა არის ნდობის დაბალი ხარისხი და სკეპტიკური დამოკიდებულება საარჩევნო სუბიექტებისადმი. რეკომენდირებულია სამთავრობო უწყებების ხელმძღვანელთა ხშირი ვიზიტი რეგიონში და მათი შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან.

საჯარო უწყებებისათვის რეკომენდირებულია:

- <u>შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს:</u> სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემების ადეკვატური ასახვის უზრუნველყოფა შემწყნარებლობის და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფციასა და 2015–2019 წლის სამოქმედო გეგმაში, განსაკუთრებით ყველაზე მოწყვლად ჯგუფებთან მიმართებაში
- <u>მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს:</u>
  - სახელმწიფო ენის ცოდნა სამოქალაქო და პოლიტიკური ინტეგრაციის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. კვლევამ აჩვენა, რომ ქართული ენის ცოდნა ჯერ კიდევ პრობლემას წარმოადგენს რეგიონში. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს სახელმწიფო ენის ხარისხიანი სწავლება სკოლებსა და ზრდასრულ თაობაში.

- განათლების და მეცნიერების სამინისტრომ უნდა მოახდინოს განხორციელებული და მიმდინარე პროგრამების ეფექტიანობის შეფასება, რათა გააუმჯობესოს ეთნიკური უმცირესობების სხვადასხვა სეგმენტისათვის ენის სწავლება.
- იმუშაოს ადამიანური რესურსის განვითარებაზე რეგიონის საგანმანათლებლო დაწესებულებებში.
- სამოქალაქო განათლების კურსი, სადაც შესულია საარჩევნო საკითხთან დაკავშირებული თემები პოზიტიურ ნაბიჯს წარმოადგენს. თუმცა ამ კურსის სწავლების ხარისხი რეგიონებში დაბალია. ამდენად მნიშვნელოვანია სამინისტროს ჰყავდეს ადეკვატური ადამიანური რესურსი რეგიონში. თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება ადგილობრივ დონეზე პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ გზას წარმოადგენს.
- უზრუნველყოს მასწავლებელთა მიერ იმიტირებული საარჩევნო პროცესების ხშირი ჩატარება სკოლებში

- <u>ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს:</u> პოლიტიკური და სამოქალაქო ინტეგრაცია ისევე როგორც ელექტორული ქცევა დიდწილად განპირობებულია რეგიონში ეკონომიკური განვითარების დონით. რეკომენდირებულია წახალისდეს ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი პროექტები რეგიონში.
- <u>რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო:</u> სამიზნე რეგიონში არსებული ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ ცუდ მდგომარეობაშია. მნიშვნელოვანია ისეთ დაშორებულ რეგიონს, როგორიც ამ კვლევის სამიზნე რეგიონია დროული და ხარისხიანი წვდომა ჰქონდეს სახელმწიფო სერვისებსა და საქონელზე. ინფრასტრუქტურის განვითარება მოსახლეობასაც შეუქმნის განცდას, რომ ცენტრალური ხელისუფლება და პოლიტიკოსები მათი კეთილდღეობისთვისაც მუშაობენ.
- <u>შინაგან საქმეთა სამინისტროს:</u> უზრუნველყოს ეთნიკურობის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრა, განსაკუთრებით არჩევნების დღეს. კანონის უზენაესობის პრინციპის, წესრიგისა და უსაფრთხოების ნორმების დარღვევა უარყოფითად მოქმედებს მოსახლეობის ჩართულობის დონეზე არჩევნების პროცესში.
- <u>ადგილობრივ ხელისუფლებას:</u> არჩევნების საკითხთან მიმართებაში უკმაყოფილების მიზეზი ძირითადად დაკავშირებულია პოლიტიკურ პარტიებთან. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელნი მუდმივ კონტაქტში უნდა იყვნენ მოსახლეობასთან. „წარმომადგენელთა“ მექანიზმის გააქტიურებით, ხშირი ვიზიტებითა და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზებით მნიშვნელოვანია ამომრჩეველთან მუდმივი კავშირის შენარჩუნება, იმ შემთხვევაშიც კი თუ პოლიტიკოსებს არ შესწევთ ძალა შეასრულონ მოსახლეობისათვის მიცემული დაპირებები.

5.4 საერთაშორისო ორგანიზაციები და დიპლომატიური მისიები

საერთაშორისო ორგანიზაციები და დიპლომატიური მისიები თავიანთი მანდატის ფარგლებში აქტიურად მოღვაწეობენ რეგიონში. თუმცა:

- მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებების გაგრძელება. მცირე ზომის ადგილობრივ ორგანიზაციებისათვის მარტივი არ არის დონორების პოვნა მცირე გრანტების მოთხოვნის მიზნით. ამდენად მნიშვნელოვანია გამარტივდეს დონორთა ხელმისაწვდომობა და გაიოლდეს საგრანტო პროექტების შემუშავების ფორმები.
- შეინარჩუნონ ადგილობრივ ორგანიზაციებთან კავშირი და ჩაერთონ ადვოკატირების პროცესში ხელისუფლებასთან ურთიერთობისას.

- რეკომენდირებულია კვლევაში გამოვლენილი პრობლემების გათვალისწინება და სამოქალაქო საზოგადოების განზომილების დაფარვა თავიანთ საქმიანობაში.
- საარჩევნო პროგრამების მონიტორინგი. რეკომენდირებულია გრძელვადიანი მონიტორინგის პროექტების განხორციელება ადგილობრივ დონეზე.
- დონორმა ორგანიზაციებმა მხედველობაში უნდა მიიღოს სასოფლო არეალში მცხოვრები მოსახლეობის სამოქალაქო განვითარებასთან დაკავშირებული გამოწვევები.
- მხარდაჭერა გამოუცხადონ მედია ინიციატივებს რომლებიც მოყვანილია ამ რეკომენდაციებში.

5.5 პოლიტიკური პარტიები

პოლიტიკური პარტიები და მათი წარმომადგენლები ხშირად იწვევენ ამომრჩეველთა უკმაყოფილებას არჩევნების პერიოდში.

- პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა იმუშაონ ადგილობრივ მოსახლეობასთან ყოველდღიურად. ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა თვლის, რომ პოლიტიკოსებს ისინი მხოლოდ მაშინ ახსენდება, როდესაც მათი ხმები სჭირდებათ. ამგვარი დამოკიდებულების აღმოსაფხვრელად საჭიროა მოსახლეობასთან ხშირი კომუნიკაცია.
- პარტიებმა უნდა იმუშაონ ადგილობრივ მოსახლეობაში ნდობის მოპოვების საკითხზე. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ წინასაარჩევნო შეხვედრები მნიშვნელოვნად განაპირობებს მონაწილეთა არჩევანს.
- ერთ ერთი ფაქტორი, რაც ხმის მიცემაზე ახდენს გავლენას არის ეთნიკურ უმცირესობათა საკითხების შეტანა პარტიის/კანდიდატების პროგრამაში. ამგვარად პარტიების ინტერესებში უნდა შედიოდეს უმცირესობათა საკითხების დაფარვა საკუთარ პროგრამებში.
- რეკომენდირებულია ადგილობრივი ახალგაზრდების და ახალგაზრდა პოლიტიკოსების ინტეგრაცია პარტიის რიგებში, ვინაიდან ისინი ადგილობრივ პრობლემებში უკეთ ერკვევიან და აქვთ რეგიონის განვითარებაში წვლილის შეტანის სურვილი.
- დომინანტური პარტიების გარდა არც ერთი სხვა პარტია/პოლიტიკოსი არ ახორციელებს აქტიურ კამპანიებს რეგიონში. შედეგად მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე ძირითადი პარტიების გარდა სხვა პარტიების შესახებ დაბალია. პოლიტიკური პარტიების ცენტრალური ოფისები უნდა ჩაერთნონ პერიფერიებზე მოქმედი წარმომადგენლობების საქმიანობათა მონიტორინგის პროცესში, რათა გამოარკვიოს თუ რამდენად ეფექტიანია მათი ნაბიჯები მოსახლეობისათვის პროგრამის გაცნობის თვალსაზრისით.
- პოლიტიკური პარტიის პროგრამები უნდა ითარგმნოს სომხურ ენაზე. ბუკლეტის სახით წარმოდგენილი ვერსიები უფრო ეფექტიანია.
- პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა უზრუნველყოს მოტივირებული წევრების დანიშვნა საოლქო და საუბნო კომისიებში და მათი მუდმივი დატრენინგება, რათა თავიდან იქნეს აცილებული დარღვევები.
- მიზანშეწონილი იქნება თუ არჩევნების დამკვირვებელნი პოლიტიკური პარტიებიდან არ ცხოვრობენ იმ დასახლებაში სადაც არჩევნებს აკვირდებიან.
- ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემების ცოდნის დონეს პოლიტიკური პარტიების/პოლიტიკოსების მხრიდან რესპოდენტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ამდენად პარტიებმა უნდა შეისწავლონ ადგილებზე არსებული პრობლემები.

- ითანამშრომლონ მედიასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან რათა ხელი შეუწყონ კონკურენტი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა შორის დიალოგს და აქტიურ დისკუსიებს.

5.6 მედია

მედია მნიშვნელოვანი როლი აკისრია არჩევნებში მონაწილეობის პოპულარიზაციის კუთხით რეგიონში. ადგილობრივ მედია საშუალებებს, რომელნიც ინფორმაციას სომხურ ენაზე იძლევა უპირატესობა გააჩნია ცენტრალურ დონეზე მოქმედ ეროვნულ მედია საშუალებებთან შედარებით ადგილობრივი მოსახლეობის მოტივაციის გაზრდის თვალსაზრისით.

- ადგილობრივი ტელევიზიებისათვის/რადიოსთვის რეკომენდირებულია ადგილობრივი პოლიტიკოსების საარჩევნო კამპანიების ყოველდღიური დაფარვა.
- ადგილობრივმა მედიამ უნდა მოახდინოს პოლიტიკოსთა მონიტორინგი და წინასაარჩევნო პერიოდში შეაფასოს მათ მიერ მიღწეული პროგრესი პროგრამების შესაბამისად.
- პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებული ანალიტიკური სატელევიზიო და რადიო პროგრამები დიდ წვლილს შეიტანდა არჩევნებში მონაწილეობის მიღების საკითხის პოპულარიზაციის პროცესში.
- ადგილობრივი და ეროვნული ლიდერების მონაწილეობით ჩატარებული თოქ–შოუები გაზრდის ინტერესს არჩევნებისადმი. მედიის რეიტინგიც შესაბამისად გაიზრდება და ადგილობრივი მოსახლეობა პოლიტიკით უფრო მეტად დაინტერესდება.
- ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიების ადმინისტრაციის წარმომადგენლები მონაწილეობას უნდა იღებდნენ თოქ–შოუებში.
- საარჩევნო დებატები კონკურენტ პოლიტიკოსებს შორის შესაძლებელია იყოს მოტივაციის ამაღლების კიდევ ერთი ფაქტორი. ეს კამპანიებს მეტ გამჭვირვალობას შესძენს და პოლიტიკური დაპირისპირებები ქუჩებიდან სტუდიაში გადაინაცვლებს. ეს ინიციატივები კომერციული თვალსაზრისით მომგებიანია მედიისათვის. სხვა დაინტერესებული მხარეების, მათ შორის ცესკოს, დონორების მხრიდანაც უნდა მოხდეს ამ ნაბიჯების წახალისება.
- ეროვნულ დონეზე მოქმედი არხები კავშირში უნდა იყვნენ ადგილობრივ ტელეარხებთან, რათა უზრუნველყონ შესაბამის ენაზე (სომხურ) ნათარგმნი მათი მაუწყებლობის ეფექტიანად მიწოდება ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ეს ორივე დონეზე მოქმედი მედიისათვის იქნება ხელსაყრელი და ხელს შეუწყობს ეთნიკური სომხების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციას.

5.7 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საკმაოდ ეფექტიანად მუშაობენ საზოგადოების კულტურული განვითარების მიმართულებით. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ასპექტი ჯერ კიდევ საჭიროებს ყურადღების მიპყრობას:

- კვლევამ აჩვენა, რომ რესპოდენტთა 41% არ ფლობს ინფორმაციას თავიანთ მუნიციპალიტეტებში მოქმედი ორგანიზაციების შესახებ. ეს ძირითადად აიხსნება ორგანიზაციათა აქტივობების არეალის შეზღუდულობით, რომელნიც სამიზნედ ძირითადად ქალაქის მაცხოვრებლებს ირჩევენ. თბილისში დაფუძნებულმა ორგანიზაციებმა რეკომენდირებულია მოიცვას ურბანული ცენტრებიდან მოშორებით მდებარე სოფლები და დასახლებები.

- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა უნდა იმუშაოს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ბენეფიციარებთან. კვლევამ ცხადყო, რომ ახალგაზრდები სამოქალაქო განვითარების უფრო მაღალი დონით გამოირჩევიან სხვა ჯგუფებთან შედარებით. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა უნდა იმუშაოს საშუალო ასაკისა და ხანშიშესულ ადამიანებთან. სამიზნე ჯგუფს უნდა წარმოადგენდეს ქალთა ჯგუფიც.
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა უნდა დაფარონ არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები და იმუშაონ ცნობიერების დონის ამაღლებაზე.
- ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ საგრანტო კონკურსებში. მონაწილეობის მიღება „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსებში მნიშვნელოვანია, ვინაიდან ადგილობრივ ორგანიზაციებს უფრო ახლო კონტაქტი აქვთ მოსახლეობასთან, ვიდრე საქართველოს სხვა რეგიონებში მდებარე ორგანიზაციებს.
- ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები უნდა ჩაერთონ ადვოკატირების პროცესში სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად და შექმნან კოალიციები, ფორუმები და პლატფორმები.
- ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა აქტიურად უნდა ითანამშრომლოს ადგილობრივ მედიასთან რათა უზრუნველყოს საკუთარი საქმიანობის პოპულარიზაცია და ინფორმაციის ფართოდ გავრცელება.
- ორგანიზაციებმა უნდა იმუშაონ სხვადასხვა დონორებთან ორგანიზაციული მდგრადობის შენარჩუნების მიზნით.